# არსენალი

№ 10 (27). ოქტომბერი. 2006. „კვირის პალიტრა". სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი



## ქართველი სარდლის უკანასკნელი საბრძოლო გაფრენა

## საქართველოს კონფლიქტების რუსული სცენარები

## ნადირობა ჰიტლერზე

1425/2
2006

## ქართველი მაშველები

## ექსკლუზივი: საქვეყნოდ ცნობილი „მაიერის ტყვია" აბასთუმნიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა




ГРВЗ გადის, NATO შემოდის 4





უკანასკნელი საბრძოლო გაფრენა 8





ფრანგული „ლეკლერკი" ყველაზე „ჭკვიანი" და ყველაზე ძვირი ტანკი 25

ქართველი მაშველები 30







ექსკლუზივი

საქვეყნოდ ცნობილი „მაიერის ტყვია" აბასთუმნიდან 22





„კრასავჩიკი" კალაშნიკოვისგან 54

# სარჩევი


**თვალსაზრისი**

4 ГРВЗ გადის, NATO შემოდის...

**კალეიდოსკოპი**

6 უცხოური ამბები

**მოგონება**

8 უკანასკნელი საბრძოლო გაფრენა

**საფრთხე**

10 „ისრებისა" და „ნემსებისგან" თავდასაცავად

**სპეცოპერაცია**

11 გერმანელი დივერსანტები

**სპეცსამსახურები**

15 მსტოვრობის ისტორია საქართველოში (ნაწილი III)

**გამოჩენილი სამხედროები**

19 ცალთვალა მხედართმთავრები

**ექსკლუზივი**

22 საქვეყნოდ ცნობილი „მაიერის ტყვია" აბასთუმნიდან

**ექსპერტის აზრი**

24 როგორ დავიცვათ ქართული ცა

**იარაღი**

25 ყველაზე „ჭკვიანი" და ყველაზე ძვირი ტანკი

**პროფესიონალები**

30 ქართველი მაშველები

**კომპანიონი**

36 რომაელი ლეგიონერების საბრძოლო ძაღლები

37 სამხედრო ლექსიკონი

**არქივი**

38 ნადირობა ჰიტლერზე

**საქართველოს ისტორია**

42 ქართული არტილერია XVIII საუკუნეში

**ასჯერ გაზომე...**

44 საქართველოს კონფლიქტების რუსული სცენარები

**კროსვორდი**

47 არსენალვორდი

**ისტორიული ექსკურსი**

48 „არსენალის" თვის კალენდარი

**სუპერმობილი**

50 ახალი თაობის RAV-4

**კონსულტაცია**

52 კვალიფიციური რჩევები

**„არსენალის" იარაღის მაღაზია**

54 „კრასავჩიკი" კალაშნიკოვისგან


## რედაქტორის სვეტი

საქართველოს პრეზიდენტმა გაეროს მაღალი ტრიბუნიდან ყველაფერს თავისი სახელი დაარქვა. პრეზიდენტმა სააკაშვილმა მთელი მსოფლიოს გასაგონად თქვა ის, რაც მისმა წინამორბედმა, ექსპრეზიდენტმა შევარდნაძემ 11 წლის განმავლობაში ვერ (ან არ) მოახერხა.

საერთაშორისო ასპარეზზე პირველად გახმაურდა, რომ საქართველოს დღევანდელი ტერიტორიული პრობლემებისა თუ ეთნოკონფლიქტების ერთ-ერთი გამომწვევი ფაქტორი მეზობელი რუსეთის არაკეთილსინდისიერი მოქმედებაა. ამიტომაც რუსი ცისფერჩაფხუტიანები ვერაფრით შეასრულებენ ნამდვილ სამშვიდობო მისიას, ძალიანაც რომ მოინდომონ.

ერთ-ერთი გამოსავალი კონფლიქტის ზონებში საერთაშორისო საპოლიციო ჯგუფების შეყვანაა, რამაც მნიშვნელოვნად უნდა გაანეიტრალოს რუსი ცისფერჩაფხუტიანების აშკარა ანტიქართული პოზიცია.

სხვა გამოსავალი, ალბათ, ომია, თუმცა, ვიმედოვნებთ, საქმე აქამდე არ მივა...

*ირაკლი ალადაშვილი*

*გიორგი ქორქოლიანი*

ყურადღება!
ხშირია შემთხვევა, როდესაც ჩვენი მკითხველი სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ასწრებს ჟურნალის ყიდვას პრესის ჯიხურებში. ამიტომ გირჩევთ, გამოიწეროთ „არსენალი" და მიიღოთ შინ, ყოველი თვის დასაწყისში.
ტელ: 42-43-40


რედაქციის დაუკითხავად მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია


ჟურნალ „არსენალის" ძველი ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში


გაზეთ „კვირის პალიტრის" დამატება ©
რედაქციის მისამართია: თბილისი, იოსებიძის ქ. №49.
ტელ: 38-37-47
email: arsenali@kvirispalitra.com
ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ

# გარდამტეხი ეტაპი ორიენტირების ცვლილებისას ანუ რა მოჩანს გვირაბის ბოლოს



# ГРВЗ გადის, NATO შემოდის

ერთი გადის, მეორე შემოდის. გადის საქართველოში ორი საუკუნით გაბატონებული რუსული სამხედრო მანქანა; სამაგიეროდ, ნელ-ნელა შემოდის ის დასავლეთი, რომელსაც დახმარებას ორ საუკუნეზე უფრო ადრე ვთხოვდით...

დროში თითქმის ერთდროულად დაემთხვა რუსული იარაღით დატვირთული მანქანების გასვლა ქართული მიწიდან და საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში „ინტენსიურ დიალოგზე“ მიწვევა.

წლეულს ბათუმის მე-12 და ახალქალაქის 62-ე რუსული სამხედრო ბაზებიდან იარაღითა და საჭურვლით დატვირთული 25 სარკინიგზო ეშელონი და 28 საავტომობილო კოლონა გავიდა. მათ საქართველოს ტერიტორიის გარეთ 727 ერთეული სამხედრო ტექნიკა და 2626 ტ საერთო მასის აღჭურვილობა და ტყვია-წამალი გაიტანეს.

სულ საქართველოს ტერიტორია დატოვა 46-მა ერთეულმა რუსულმა ტანკმა, 162-მა ერთეულმა ჯავშანმანქანამ, 52-მა თვითმავალმა საარტილერიო დანადგარმა, მობილურმა საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებმა და სხვ.

როდესაც საქართველოს მთავრობა საზღვარგარეთ ძვირად ღირებულ საბრძოლო ტექნიკას ყიდულობს, ყოველთვის ჩნდება კითხვა – რატომ ვეზიდებით იმავე T-72 ტიპის ტანკებს უკრაინიდან თუ ჩეხეთიდან, როდესაც ახალქალაქისა და ბათუმის ბაზებიდან რუსებს ანალოგიური ტანკები გაჰყავთ? თითქოს უპრიანი იქნებოდა, ადგილზევე გვეყიდა ეს ტექნიკა (ჩვენგან განსხვავებით აზერბაიჯანმა თავის დროზე ძალის გამოყენებით დიდძალი ტექნიკა დაატოვებინა რუსებს) ან ძალით დაგვეტოვებინა, მაგრამ არც ერთი ვარიანტი არ გამოდგებოდა. ძალის გამოყენებისთანავე მოსკოვი საპასუხო სვლებს გააკეთებდა და ახალი კონფლიქტის ზონას გაგვიჩენდა (ახალქალაქში); ყიდვა უფრო მისაღები ვარიანტი იყო, მაგრამ თბილისსა და მოსკოვს შორის დღეს უკიდურესად გართულებული ურთიერთობის ფონზე, ეს ძნელად მისაღწევია.

რაც შეეხება დასავლურ სამხედრო ტექნიკას, მას ჯერ კიდევ დიდხანს ვერ შევიძენთ, მიუხედავად იმისა, მალე გავხდებით თუ არა NATO-ს წევრი. აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიისპირეთის ქვეყნები რამდენიმე წელია, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრები არიან, თუმცა მათი შეიარაღების ლომის წილი მაინც ყოფილი საბჭოთა სტანდარტების შესაფერისია. ეს განა იმიტომ ხდება, რომ მათ არ სურთ NATO-ს სტანდარტებზე გადასვლა,უბრალოდ, ეს სიამოვნება ძალიან ძვირი ჯდება. მაგალითად, პოლონეთი ამჟამად გეგმავს ამერიკული F-16-ების შეძენას, რაც 3 მლრდ

**უკანასკნელ პერიოდში მიმდინარე მოვლენების ფონზე ის ქართველი, ვინც რუსეთს, რუსულ ჯარებს და მათ მიერ „დაცულ“ შლაგბაუმებს მისტირის, ან ჯანმრთელობას უჩივის, ან კი ზემოხსენებული ქვეყნის ყურმოჭრილი მონაა, მეტი რომ არაფერი ვთქვათ...**







დოლარზე მეტი დაუჯდება.

ამიტომაც ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან დაახლოება მხოლოდ იარაღის სახეობების შეცვლას როდი გულისხმობს. უპირველესად ეს აზროვნებისა და ორიენტირების ცვლილებას ითხოვს. თუკი გვინდა, მართლაც გავხდეთ NATO-ს სრულუფლებიანი წევრი, მაშინ საქართველოში უნდა დამკვიდრდეს დემოკრატიული ინსტიტუტები, ხოლო შეიარაღებულ ძალებში რეალურად წარიმართოს ის რეფორმები, რომელთაც ჩვენგან დასავლეთში ითხოვენ.

„ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმიდან – IPAP-დან ჯერ ID-ზე – „ინტენსიურ დიალოგზე“ გადასვლა და არა პირდაპირ „გაწევრების სამოქმედო გეგმაში – MAP-ში ჩართვა, იმიტომ მოხდა, რომ პრობლემები ქართულ რეალობაში ჯერ კიდევ ბევრია. თუნდაც თავდაცვის სამინისტროსა და გენშტაბის ფუნქციების ბოლომდე გაუმიჯნაობა; ასევე, სუსტია სამოქალაქო კონტროლი შეიარაღებულ ძალებზე. ეს ის მთავარი მოთხოვნებია, რომლის ბოლომდე შესრულების გარეშეც საქართველო ვერ შეესაბამება NATO-ს საერთაშორისო სტრუქტურას.

მიუხედავად ზემოხსენებული და სხვა ნაკლოვანებებისა, დასავლეთი მაინც დგამს ნაბიჯს საქართველოსკენ. ამ კეთილი ნების გამოვლინებას შეიძლება ახსნა მოეძებნოს.

საქართველო ერთგვარი ექსპერიმენტია აშშ-ის ხელისუფლებისთვის, რომელიც განმსაზღვრელ როლს თამაშობს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში. მიუხედავად იმისა, რომ „ბებერი ევროპის“ რამდენიმე ქვეყანას ადრეულად მიაჩნია საქართველოს გამოჩენა NATO-ს ზღურბლზე, ეჭვგარეშეა, ნიუ-იორკში გამოცხადებულ „ინტენსიურ დიალოგზე“ ჩვენი ქვეყნის მიწვევაში დიდი როლი სწორედ აშშ-ის ხელისუფლებამ ითამაშა.

არის მეორე გარემოება, რომელსაც დიდად არ ახმაურებენ, მაგრამ საფუძველს არ არის მოკლებული.

NATO აღმოსავლეთისკენ ფართოვდება. დღის წესრიგში უკვე უკრაინა, მოლდოვა და სამხრეთ კავკასია დგანან. მოლდოვას ჯერ ბევრი უკლია ამ გზის ფინიშამდე; უკრაინაში (არცთუ მოულოდნელად) იმ რუსოფილურმა ძალებმა აათამაშეს კუნთები, რომლებიც ანტიდასავლურად არიან განწყობილი; სამხრეთ კავკასიაში ვერც აზერბაიჯანი და ვერც სომხეთი ვერ გამოდგებიან ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ღირსეული პარტნიორობის კანდიდატებად.

რჩება საქართველო, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი და, მით უმეტეს, ხელისუფლება სიმპათიითაა განმსჭვალული ჩრდილოატლანტიკური ალიანსისადმი. მოსახლეობის ნაწილს მიაჩნია, რომ სწორედ NATO იქნება ის ძალა, ვინც ქვეყნის მთლიანობის აღდგენაში დაგვეხმარება და, ამასთან, დაგვიცავს მეზობელი რუსეთის ველიკოდერჟავული თავდასხმებისგან; არიან ისეთებიც, რომლებსაც, პირიქით, მიაჩნიათ, რომ NATO-ში შესვლა საქართველოს საბოლოოდ დააკარგვინებს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებს.

ამ რთულ კითხვებზე პასუხის ერთპიროვნულად გაცემა ძნელია, მაგრამ NATO-ში გაწევრება ნამდვილად მოგვცემს დამატებითი დაცვის ბერკეტებს იმავე რუსეთისგან. ნურავინ მოელოდება, რომ NATO-ელი ჯარისკაცები სისხლს დაღვრიან ცხინვალისა თუ სოხუმის დასაბრუნებლად, მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ NATO-ს წევრ საქართველოს უფრო უნდა გაუადვილდეს შიდაპრობლემების მოგვარება. მოკლედ, დრო მიდის. ერთი გადის, მეორე შემოდის...

**ირაკლი ალადაშვილი**

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



NATO-ში გაწევრიანება მარტო სამხედრო სფეროში დახმარებას არ გულისხმობს. ეს ქვეყნის არსებობის ახალი ეტაპის სტარტი იქნება, ცივილიზებული მიდგომით და მოქალაქეობრივი შეგნებითა და საჯაროობით გაჯერებული... სამწუხაროდ ზოგიერთი კომპონენტი ჯერ კიდევ აკლია ჩვენს სამხედროებს...



# ესტონეთმა მტრალავები იყიდა



ესტონეთმა სამი SANDOWN-ის კლასის ბრიტანული მტრალავი იყიდა. მტრალავების მიწოდებაზე ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ესტონეთის თავდაცვის მინისტრმა იურგენ ლიგიმ და დიდი ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ პოლ დრეისონმა. ხელშეკრულების ხელმოწერის საზეიმო ცერემონია პორტსმუთის სამხედრო-საზღვაო ბაზაში გაიმართა. გარიგების ღირებულება 800 მლნ კრონს (50 მლნ ევროზე მეტი) შეადგენს.

კონტრაქტის თანახმად, მტრალავები მთლიანად გარემონტებულია და აღჭურვილია სამხედრო აპარატურით. მათზე განთავსებულია საზღვაო ნაღმების SEAFOX-ების გამანადგურებელი სისტემები, მოდერნიზებული სონარები და მართვის ტაქტიკური სისტემა. გარდა ამისა, დიდი ბრიტანეთი ესტონელი მეზღვაურების სათანადო მომზადებასაც უზრუნველყოფს.

პირველი მტრალავი ესტონეთის სამხედრო-საზღვაო ძალების შეიარაღებაში 2007 წლის აპრილში შევა, მეორე კი 2008 წლის მარტში, მესამე – 2009 წლის დამდეგს.

SANDOWN-ის კლასის მტრალავები 1988-2001 წლებში აიგო. ტრალვის ჩვეულებრივი ოპერაციების გარდა, მტრალავს შეუძლია ზღვაში სამაშველო სამუშაოების ჩატარება, რობოტის მეშვეობით წყალქვეშა ობიექტების გაკონტროლება და ამოცნობა. ამჟამად ესტონეთის სამხედრო-საზღვაო ძალების სანაღმო გემების დივიზიონში შედის ოთხი მტრალავი, რომლებიც 40 წლის წინ არის აშენებული. მათი დონე უკვე საკმარისი აღარ არის იმ მიზნების განსახორციელებლად, რომლებიც ესტონეთის თავდაცვის სამინისტროს აქვს დასახული.



# პოლონეთს F-16–ებს გადასცემენ

პოლონეთის პრემიერ-მინისტრი იაროსლავ კაჩინსკი მონაწილეობას მიიღებს საზეიმო ცერემონიაში, რომელიც პოლონეთისთვის პირველი გამანადგურებლის, F-16-ების გადაცემას ეძღვნება.

პოლონეთის თავდაცვის სამინისტრო ახალი F-16-ების შეძენის პროგრამაზე დაახლოებით 3,8 მლრდ დოლარს დახარჯავს. პროგრამა ყველაზე მასშტაბურია არა მარტო შეიარაღებული ძალების, არამედ, საზოგადოდ, პოლონეთის ისტორიაშიც.

პოლონეთში პირველი ოთხი თვითმფრინავის ჩატანა 2006 წლის ნოემბერში იგეგმება. 2008 წლის ბოლომდე ვარშავა მიიღებს 48 თვითმფრინავს – 36 F-16-ის ერთადგილიან ვერსიას და F-16 D-ს ორადგილიან ვერსიას.

პოლონეთში F-16-ებს მოემსახურება 2500 კაცი. პოლონურ-ამერიკული კონტრაქტი ასევე ითვალისწინებს 49 პოლონელი პილოტისა და 183 ავიასპეციალისტის მომზადებას.

# აშშ–ის სენატმა უარი თქვა კასეტური ბომბების გამოყენების შეზღუდვაზე

აშშ-ის სენატმა უარყო დემოკრატიული ფრაქციების წინადადება აუკრძალონ პენტაგონს საერთაშორისო კონვენციებით აკრძალული კლასტერული ბომბების გამოყენება სამოქალაქო ობიექტების ახლოს.



სამოცდაათი ოცდაათის წინააღმდეგ ხმით სენატმა უარყო ამერიკის სამხედრო უწყების ბიუჯეტში ცვლილება, რაც ამ სახეობის იარაღის დასახლებულ ტერიტორიებზე გამოყენების აკრძალვას გულისხმობდა. პროექტი ასევე ითვალისწინებდა კლასტერული ბომბების იმ ქვეყნებისათვის მიყიდვის აკრძალვასაც, რომლებმაც უარი თქვეს შეთავაზებულ შეზღუდვაზე.

პროექტი სენატში შეიტანეს კალიფორნიისა და ვერმონტის შტატების დემოკრატებმა დიანა ფეინშტაინმა და პატრიკ ლიჰიმ მას შემდეგ, რაც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა გააკეთა განცხადება, რომ გამოიძიებენ ლიბანში ისრაელის მიერ კასეტური ბომბების გამოყენების გარემოებებს.

კასეტური ბომბი მიწაზე დარტყმისას უთვალავ მინიბომბებად იფანტება დიდ მანძილზე; ამასთან, 40%-მდე ასაფეთქებელი ნივთიერება არადეტონირებული რჩება, რაც საბრძოლო მოქმედებების დასრულების შემდეგ საფრთხეს უქმნის მშვიდობიან მოსახლეობას.

# ირანმა ახალი გამანადგურებელი გამოსცადა

ირანში წარმატებით გამოსცადეს გამანადგურებელი, რომელიც ირანელმა სპეციალისტებმა დააპროექტეს. თვითმფრინავის, სახელწოდებით „საეკას“ („ელვა“) გამოცდა ირანში მიმდინარე სამხედრო სწავლების „ზოლფიკარის დარტყმის“ ფარგლებში გაიმართა, რომლის შედეგად ის შეიარაღებაში მიიღეს.

გამოცდის მსვლელობისას თვითმფრინავი გამოსცადეს „ჰაერი-მიწა“ კლასის რაკეტების სროლასა და ბომბდაშენაში. ირანის არმიის მეთაურის, დივიზიის გენერლის ათაოლაჰ სალეჰის თქმით, ახალი გამანადგურებელი შაჰიდ სათარის სახელობის უნივერსიტეტის სპეციალისტების შექმნილია ამერიკული F-18-ის საფუძველზე. გენერალი დარწმუნებულია, რომ ირანული მანქანა ბევრად აღემატება თავის ანალოგს ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლებით.

სწავლებისას ასევე გამოსცადეს შაჰიდ სათარის სახელობის უნივერსიტეტის სპეციალისტების კიდევ ერთი ქმნილება — მსუბუქი გამანადგურებელ-ბომბდამშენი „აზარაჰში“, რომელიც ამერიკული გამანადგურებლის F-5-ის მოდიფიცირებული ანალოგია.

სწავლება „ზოლფიკარის დარტყმის“ ფარგლებში ირანულმა არმიამ ასევე გამოსცადა ახალი ლაზერული დამიზნების ავიაბომბები, „ჰაერი- მიწა“ კლასის მოდერნიზებული მართვადი რაკეტები, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ახალი სისტემები, „ჰაერი-ჰაერი“ კლასის მოდიფიცირებული რაკეტა „HAWK“-ი და თვითმფრინავ F-5-ზე დამონტაჟებული ახალი საიარაღო და რადარსაწინააღმდეგო სისტემები.





# იაპონიის სამხედრო კატერმა თავისი შტაბი დაცხრილა

იაპონიის სამხედრო-საზღვაო ძალების სარაკეტო კატერმა შეცდომით კუნძულ ჰონსიუს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მდებარე თავის ბაზას ავტომატური ზარბაზნიდან 10-ჯერ ესროლა 20-მილიმეტრიანი ჭურვები.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ერთ-ერთი ჭურვი კატერიდან დაახლოებით 600 მეტრზე მდებარე ყაზარმის სახურავს მოხვდა. სროლის სიშორის რადიუსში იყო ასევე იაპონიის სამხედრო-საზღვაო ძალების რეგიონული შტაბი და საცხოვრებელი ბინები.

პრეფექტურა აომორის გუბერნატორმა სინგო მიმურამ პროტესტი გამოთქვა მომხდარის თაობაზე. მან სამხედროებს ბრალად დასდო ინციდენტის დამალვა.

მიმდინარეობს სხვა ჭურვების დაცემის ადგილების ძიება. დაშავებულთა შესახებ ჯერ არაფერია ცნობილი.

# ბალტიის ზღვაში ასზე მეტი „რქოსანი სიკვდილი“ განადგურდა



სწავლება OPEN SPIRIT-2006 წლის მსვლელობისას, რომელიც ესტონეთის ტერიტორიულ წყლებში ჩატარდა, NATO-ს მტრალავებმა 114 ნაღმი გაანადგურეს.

სიკვდილის მომტანი „მოსავლის“ აღებაში რეკორდსმენი ბელგიური მტრალავი NARCIS-ი გახდა, რომელმაც 32 ნაღმი გაანადგურა, მას მოჰყვება გერმანული GROMITZ-ი 19 ნაღმით, ჰოლანდიური HAARLEM-ი 10 ნაღმით და ლიდერთა სიას აბოლოებს ესტონური SULEV-ი, რომელმაც 8 ნაღმი აღმოაჩინა.

უმეტესობა გერმანული ლუზის ნაღმი EMC-ები და საბჭოთა M-26-ები იყო, მათ შორის ფსკერის ნაღმები LMB-ებიც.

ბალტიკაში სხვადასხვა კლასისა და ასაკის საზღვაო ნაღმებს ხშირად პოულობენ, განსაკუთრებით ქარიშხლების შემდეგ. პირველ და მეორე მსოფლიო ომებში ბალტიკის წყლებში სულ 80000-ზე მეტი ნაღმი აღმოაჩინეს, მათ შორის 60000 ფინეთის ყურეში. უმრავლესობა საბრძოლო მოქმედებების დასრულების შემდეგ გააუვნებლეს.

სწავლება OPEN SPIRIT-2006 1-13 სექტემბერს ჩატარდა. მანევრებში მონაწილეობდა 27 გემი 14 ქვეყნიდან.

# უკანასკნელი საბრძოლო გაფრენა...

## ომის დამთავრებამდე ოთხი დღე რჩებოდა...



*1993 წლის 23 სექტემბერი გათენდა. თითქმის მთელი კვირაა სოხუმი ბლოკირებულია. მტერი სოხუმს გუმისთიდან და შრომიდან უტევს. აფხაზები რუსებსა და ჩრდილო-ოკავკასიელებთან ერთად სოხუმის ფუნიკულიორზეც გამოჩნდნენ. კოდორის ხიდი კვლავ ჩაკეტილია. ოჩამჩირიდან წამოსული დამხმარე ძალა ისევ არ ჩანს...*

სოხუმთან ახლოს, სინოპის ინსტიტუტის შენობაში ვარ. იქ დროებით შტაბია მოწყობილი. სახელმწიფო მეთაური შევარდნაძე თეთრი „ჟიგულით" მოდის. იქვე დგანან სახელმწიფოს სხვა მაღალჩინოსნებიც. სოხუმიდან აფეთქებების ხმები ისმის, მას ზოგჯერ რეაქტიული თვითმფრინავებისთვის დამახასიათებელი ყრუ გუგუნი ენაცვლება.

მოულოდნელად ვიღაც ყვირის: „ჩამოაგდეს! ჩამოაგდეს!" თვითმხილველები ირწმუნებიან, რომ ჩვენს შტაბთან ახლოს დაბალ სიმაღლეზე მფრინავი ორი მოიერიშე თვითმფრინავიდან ერთ-ერთს რაღაც მოხვდა და ჰაერშივე აფეთქა.

რამდენიმე სამხედროსთან ერთად დაუყოვნებლივ გავემართე თვითმფრინავის ჩამოვარდნის ადგილზე. წინ მთა გვაქვს ასავლელი; გზაში ადგილობრივი მცხოვრები ხელის ურიკას მიაგორებს, რომელშიც მოიერიშე Су-25-ის პილოტის კაბინის საქარე ჯავშანმინის ნატეხი გდია. თვალს არ ვუჯერებ: ჯავშანმინა რამდენიმე ადგილას გახვრეტილია; არადა 58მმ სისქის ჯავშანმინის გახვრეტა ასე ადვილი როდია... (მოგვიანებით, ვინანე, რომ ეს ნივთმტკიცება არ წამოვიღე, რადგან მისი საშუალებით ადვილად შეიძლებოდა დადგენა, რა ტიპის რაკეტა მოხვდა მოიერიშეს. – ავტ.). თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ იმ ადგილას ავედივართ, სადაც პარაშუტით დაშვებული პილოტი წევს. იგი ნარინჯისფერ გაბერილ სამაშველო ნავში ჩაუსვენებიათ და თეთრი ზეწარი გადაუფარებიათ. ქართული მოიერიშეების თითქმის ყველა პილოტს კარგად ვიცნობ და ბევრთან ვმეგობრობ. ამიტომაც ძალიან მიჭირს ამ ამბის გახსენება...

ნავში ჩასვენებული იზანი ცერცვაძე აღმოჩნდა; პოლკოვნიკი, საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი; კაცი, რომელმაც შედარებით უდარდელ და პერსპექტიულ სამსახურს სამშობლოში დაბრუნება და მისი დაცვა ამჯობინა.

იზანი ცერცვაძე 1952 წელს დაიბადა, თბილისში; ლილოში, მე-2 საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე, ჩერნიგოვის უმაღლეს სამეთაურო-საფრენოსნო სასწავლებელში ჩააბარა. 1973 წელს, სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, მოლდოვაში, მორკულეშტის სამხედრო აეროდრომზე გაამწესეს, სადაც 1982 წლამდე იმსახურა; 1982 წელს იზანი ცერცვაძე საბჭოთა კავშირის სამხედრო-საჰაერო ძალების აკადემიაში აბარებს; აკადემიაში სამი წლის წარმატებული სწავლის შემდეგ მას საბჭოთა დროის ერთ-ერთ ყველაზე საიდუმლო აეროდრომზე – ემბა-5-ზე ანაწილებენ, სადაც იგი გამანადგურებლების საავიაციო პოლკის მეთაურად ინიშნება;

1988 წლის ბოლოს პოლკოვნიკ იზანი ცერცვაძეს უკვე საავიაციო-სასწავლო ცენტრის უფროსად ნიშნავენ. ფაქტობრივად, ეს საავიაციო დივიზიის მეთაურობის ტოლფასია, რადგან სასწავლო ცენტრში სამი საავიაციო პოლკი შედის. აქ მიმდინარეობდა იმ დროისთვის საიდუმლო თანამედროვე საფრენი აპარატებისა და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის გამოცდა და ათვისება.

შეიძლება ითქვას, რომ თბილისელი პოლკოვნიკი საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში ნაზიარები იყო თითქმის ყველა საიდუმლოებას, რაც მაშინ საჰაერო თავდაცვას ჰქონდა.

პოლკოვნიკ იზანი ცერცვაძეს საშუალება ჰქონდა სწავლა გაეგრძელებინა მოსკოვში, გენშტაბის აკადემიაში, და მიეღო გენერალ-მაიორის წოდება, რაც მას თანამდებობის მიხედვით ეკუთვნოდა (სხვა თუ არაფერი, იზანი ცერცვაძე პოლკოვნიკი 36 წლის ასაკში გახდა, შესაძლოა, ქართულ არმიაში ეს არავის გაუკვირდეს, თორემ დიდი სამხედრო ტრადიციების მქონე ქვეყნების არმიებში ვადაზე ადრე წოდების მიღება დიდი გამონაკლისია).

**1988 წლის ბოლოს პოლკოვნიკი იზანი ცერცვაძე საავიაციო-სასწავლო ცენტრის უფროსად დანიშნეს. ეს საავიაციო დივიზიის მეთაურობის ტოლფასი იყო. იქ მიმდინარეობდა იმ დროისთვის საიდუმლო თანამედროვე საფრენი აპარატებისა და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის გამოცდა და ათვისება...**



პოლკოვნიკმა ცერცვაძემ უარი თქვა წარმატებული სამხედრო კარიერის გაგრძელებაზე ჯერ საბჭოთა და შემდგომ რუსეთის არმიაში. იგი 1990-91 წლებში რამდენჯერმე ჩამოვიდა თბილისში შვებულებით და ცდილობდა თავისი ცოდნა ქვეყნის ძლიერების განმტკიცებისთვის მოეხმარებინა.

1992 წელს იზანი ცერცვაძეს თბილისში სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობა შესთავაზეს. ეს ლოგიკური იყო, რადგან პოლკოვნიკზე, რომელიც პირველი კლასის მფრინავ-გამანადგურებელი გახლდათ, უფრო გამოცდილი სამხედრო მფრინავი იმ მომენტში საქართველოში არ იყო (გავრცელებული ინფორმაციით, თითქოს სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობა შევარდნაძის ხელისუფლებამ პოლკოვნიკ თემურ აფაქიძესაც შესთავაზა, რომელიც იმ დროს საკიში საგემბანო-საავიაციო პოლკს მეთაურობდა, მაგრამ იგი არ დათანხმდა).



1992 წელი, საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლის პირველი გაფრენა ქართული Су-25-ით. იზანი ცერცვაძეს 31-ე ქარხნის დირექტორი, ავთანდილ ხოფერია ულოცავს...

პოლკოვნიკი ცერცვაძე თბილისში მეუღლესა და ორ შვილთან ერთად დაბრუნდა. როგორც მისი მეუღლე ქალბატონი ლუდმილა იხსენებს, მათ თავდაპირველად ბინაც არ ჰქონდათ და იზანის ძმას შეეკედლნენ. უბინაობით შეწუხებულ სარდლის ოჯახს მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ დროებით დაუთმო თავისი მამაპაპური სახლი მაშინდელმა თავდაცვის მინისტრმა თენგიზ კიტოვანმა. სამშობლოში დაბრუნებულმა პოლკოვნიკმა ცერცვაძემ ქართული ეროვნული სამხედრო-საჰაერო ძალების სტრუქტურის ჩამოყალიბება დაჩქარებული ტემპით დაიწყო.

ისე მოხდა, რომ ამ პროცესში სტატიის ავტორიც, დამწყები სამხედრო ჟურნალისტიც, გარკვეულწილად მონაწილეობდა ჯერ კიდევ 1992 წლის ზაფხულიდან. ამიტომაც ბატონ იზანთან ხშირად მიწევდა შეხვედრა და ხანგრძლივი საუბარი. ახლაც მახსოვს მისი ჩანაფიქრი: საქართველოს არ აქვს დიდი თანხები მრავალრიცხოვანი საავიაციო ესკადრილიების შესანახად, ამიტომაც სჯობია, МиГ-29 ტიპის გამანადგურებელი თვითმფრინავების ერთი ესკადრილია დასავლეთ, ერთიც კი აღმოსავლეთ საქართველოში განვათავსოთ, რათა ქართული ცა საიმედოდ ჩავკეტოთო, — ამბობდა პოლკოვნიკი იზანი ცერცვაძე (სამწუხაროდ, ეს მაშინ კი არა, დღემდე ვერ მოხერხდა).

თავად ვიყავი თვითმხილველი, როგორ შეასრულა პოლკოვნიკმა იზანი ცერცვაძემ პირველი დამოუკიდებელი გაფრენა Су-25 ტიპის მოიერიშე თვითმფრინავით. საქმე ის არის, რომ თავისი 22-წლიანი საფრენოსნო კარიერის განმავლობაში მას ათვისებული ჰქონდა ათამდე რეაქტიული მანქანა (L-29-დან МиГ-21-ის ჩათვლით), მაგრამ მოიერიშე Су-25-ზე არ ეფრინა.

გაფრენა 1992 წლის 19 სექტემბერს, თბილისის საავიაციო ქარხანა „ველის" სადელი აეროდრომიდან შესრულდა. ამიტომ ეს დღე საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების დაბადების დღედ დამკვიდრდა. იმ დღეს პოლკოვნიკ იზანი ცერცვაძის გარდა კიდევ რამდენიმე ქართველმა პილოტმა აითვისა მრისხანე მოიერიშე.

ქართველი სამხედრო ავიაციის ჩამოყალიბება ძალიან რთულ პირობებში ხდებოდა. სარდალს ხელისუფლების მაღალ კაბინეტებში უწევდა ელემენტარული პრობლემის ახსნა: ის, რომ პილოტებს ფორმა, კარგი კვება და საცხოვრებელი პირობები სჭირდებოდათ და ა.შ.

სამწუხაროდ, საბჭოთა ავიაციაში გამოზრდილ პროფესიონალ სამხედრო პილოტს არ მიეცა საშუალება, თანდათანობით, ყველა წესისა და კანონის დაცვით, შეექმნა ქართული სამხედრო-საჰაერო ძალები, რადგან აფხაზეთის ომი დაიწყო.

ქართველ პილოტებს პოლიგონებზე ვარჯიშის ნაცვლად პირდაპირ საბრძოლო დავალებებზე უწევდათ გაფრენა, ამიტომაც საბრძოლო გამოცდილებას დიდი დანაკარგის ფასად იძენდნენ.

დავუბრუნდეთ 1993 წლის 23 სექტემბერს. ქართველი მოიერიშე ჰაერში აფეთქდა და მისი ნამსხვრევები რამდენიმე ასეულ მეტრზე იყო მიმოფანტული. მიწაზე ეგდო მოიერიშის პილოტის შეჯავშნული ტიტანის კაბინა, საბორტე ნომრით №04. მისი დათვალიერებისას აღმოვაჩინე, რომ კატაპულტირებულ სავარძელს უმუშავია. სწორედ მან ამოაგდო პილოტი კაბინიდან, მაგრამ ეტყობა, ეს უკვე რაკეტის მოხვედრის შემდეგ მოხდა. იქვე ეგდო მოიერიშე თვითმფრინავის კუდის ნაწილიც. ჩანდა, რომ რაკეტა Су-25-ის წინა, ცხვირის ნაწილთან აფეთქდა, რის გამოც მრგვალი რკინის ბურთულებით გახვრეტილი იყო პილოტის კაბინის ჯავშანმინა.

ის გარემოება, რომ რაკეტის აფეთქებამ შეჯავშნული მოიერიშე ჰაერშივე დაშალა (არადა მანამდე ჩამოგდებული ხუთი ქართული Су-25-დან ჰაერში არც ერთი არ დაშლილა), მიუთითებდა რაკეტის სიძლიერეზე. გადასატანი სითბური დამიზნების „სტრელა-2М" თუ „იგლა" ასეთ დაზიანებას ვერ მიაყენებდნენ ქართულ მოიერიშეს; ამიტომაც უფრო სავარაუდოა, რომ პოლკოვნიკ იზანი ცერცვაძის Су-25 უფრო მძლავრი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსიდან გამოსროლილი საზენიტო რაკეტით ჩამოაგდეს; ეტყობა, იმუშავა Бук-მა, Куб-მა, Оса-მ ან Тор-მა. უფრო კი მაინც Бук-მა, რადგან რამდენიმე წლის შემდეგ რუსეთმა აფხაზეთიდან სწორედ ეს დანადგარები გაიტანა სარკინიგზო ეშელონით. ის, რომ სითბური დამიზნების „სტრელა" ან „იგლა" ვერ ჩამოაგდებდა ამ მოიერიშეს, შემდეგი ფაქტიც მიუთითებს: პოლკოვნიკი ცერცვაძე თავის გამყოლ მოიერიშესთან ერთად 250-300 მ-ის სიმაღლეზე მიფრინავდა; ასეთ დაბალ სიმაღლეზე მფრენი ობიექტის მიმართულებით (მით უმეტეს, მთაგორიანი რელიეფის თავზე) „სტრელას" გაშვებას ვერ მოასწრებდნენ.

ომის დამთავრებამდე ოთხი დღე რჩებოდა. პოლკოვნიკმა იზანი ცერცვაძემ კარგად იცოდა, რომ ალყაშემორტყმული სოხუმის ახლოს გამოჩენა ასპროცენტიან ჩამოგდებას უდრიდა, მაგრამ მან, როგორც საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალმა, უკან არ დაიხია და თავად გაუძღვა ხელქვეითებს უთანასწორო ბრძოლაში; იზანი ცერცვაძემ ამ საბედისწერო გაფრენამდე სამოცჯერ ზუსტი საჰაერო დარტყმა მიაყენა სეპარატისტებს...

1992 წელს, როდესაც პოლკოვნიკ ცერცვაძეს მისი რუსი კოლეგები საქართველოში აცილებდნენ, იზანიმ ერთი სადღეგრძელო შესვა: „Дай Бог, чтоб друг на друга через прицел не смотрели!" ქართველ პოლკოვნიკს ყოფილმა თანამებრძოლებმა ეს სურვილი არ შეუსრულეს...

*ირაკლი ალადაშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ისრებისა“ და „ნემსებისგან“ თავდასაცავად

## იქმნება სითბური დამიზნების საზენიტო რაკეტების მოსაგერიებელი აპარატურა



სამგზავრო ლაინერის მიმართულებით ნასროლ „იგლას“ ლაზერული დანადგარიდან გაშვებული სხივი „დააბრმავებს“

წელს, 28 აგვისტოს, შიდა ქართლში, სოფელ ავლევთან ჩამოვარდნილი ცეცხლწაკიდებული მილი სხვა არაფერი იყო, თუ არა სითბური დამიზნების საზენიტო-სარაკეტო კომპლექსიდან, „სტრელა-2“-დან გასროლილი რაკეტის ნარჩენი.

ქართული შვეულმფრენის მიმართულებით სეპარატისტებმა სავარაუდოდ დაგვიანებით გაუშვეს რაკეტა; ამიტომ, საბედნიეროდ, მისთვის განკუთვნილ 11-14 წმ-ში იგი საჰაერო მიზანს ვერ დაეწია და თვითლიკვიდაცია განიცადა.

ყოველთვის იმის იმედზე ყოფნა, რომ მსროლელი შეცდება, არ შეიძლება. ამიტომ ცნობილი დასავლური კორპორაციები რამდენიმე წელია, რაც სითბური დამიზნების საზენიტო რაკეტების („სტრელა“,„იგლა“,„სტინგერი“,„რედ აი“,„ბლოუპაიპი“ და სხვ.) მოსაგერიებელი აქტიური სისტემების შექმნაზე მუშაობენ.

სითბური დამიზნების საზენიტო რაკეტისგან თავდასაცავად დიდი ხანია არსებობს პასიური სისტემები. თვითმფრინავი თუ შვეულმფრენი დროის გარკვეულ ინტერვალში კუდის ნაწილიდან უშვებს ე. წ. ცრუსამიზნეებს. ისინი მაღალი ტემპერატურის გამოყოფით წვადი სასიგნალო რაკეტების მსგავსია. იდეაში, საზენიტო რაკეტის სითბური დამიზნების სისტემას მაღალი ტემპერატურის გამომყოფი „ცრუსამიზნე“ თვითმფრინავსა თუ შვეულმფრენის ძრავების საქშენებში უნდა აერიოს და მიზანს ასცდეს.

ეს მეთოდი ჭრიდა, როდესაც კორეულ „რედ აიებს“ თუ „სტრელებს“ დამიზნების მარტივი სისტემები ჰქონდა. „სტინგერებისა“ და „იგლების“ თანამედროვე მოდიფიკაციებს „ჭკვიანი“ დამიზნების სისტემები აქვთ, რომლებიც ასე ადვილად როდი ცდებიან. ეს კი არა და, მალე „სტინგერები“ საფრენი აპარატის კონფიგურაციით შეძლებენ მის არა მარტო „დაჭერას“, არამედ ტიპისა და მარკის დადგენასაც.

დადგა დრო, როცა სითბური დამიზნების რაკეტების წინააღმდეგ საბრძოლველად პასიურიდან აქტიურ მეთოდებზე გადავიდნენ. ცნობილმა კორპორაცია BAE Systems-მა შექმნა სისტემა JETEYE, რომელიც ლაზერის სხივით აზიანებს საზენიტო რაკეტების ინფრაწითელი დამიზნების აპარატურას. მოქმედების პრინციპი ასეთია: თვითმფრინავზე ან შვეულმფრენზე დაყენებული სისტემა საზენიტო რაკეტას აღმოაჩენს მისი სტარტის დროს წარმოქმნილი ტემპერატურის მკვეთრი გაზრდით; სწრაფმოქმედი კომპიუტერი გამოთვლის საზენიტო რაკეტის ფრენის კურსს და მისკენ ლაზერის სხივს უშვებს; მისი ძალიან მგრძნობიარე ინფრაწითელი დამიზნების თავზე მოხვედრისას, ლაზერის სხივს რაკეტა მწყობრიდან გამოჰყავს; „დაბრმავებული“ საზენიტო რაკეტა კარგავს მიზანს და რამდენიმე წამში ფეთქდება.

ახალი სისტემის ერთი კომპლექტი არანაკლებ მილიონი დოლარი ღირს. მიუხედავად ამისა, ამჟამად ამ სისტემებს ინტენსიურად აყენებენ სხვადასხვა ქვეყნის პირველი პირების თვითმფრინავებსა და შვეულმფრენებზე.

კარგი იქნება, თუ გამონაკლისი არც საქართველოს პრეზიდენტის შვეულმფრენი იქნება.

ირაკლი ალადაშვილი



სარაკეტო საფრთხის აღმომჩენი დეტექტორები



თვითმფრინავის ფიუზელაჟის ქვეშ დამონტაჟებული ლაზერული დანადგარი Jeteye

# დივერსანტები

## გერმანელი მყვინთავები

**გერმანელი სამხედრო მყვინთავების წარმატებები მეორე მსოფლიო ომში პირადი შემადგენლობის საუკეთესო ფიზიკურმა და ფსიქოლოგიურმა წრთობამ, ტექნიკისა და იარაღის ზედმიწევნით პროფესიულმა ფლობამ და ოპერაციების გულდასმით დამუშავებამ განაპირობა. მათ ხომ მინიმალური დანაკარგების ფასად უდიდესი ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგეს.**

1939 წლის ზაფხულში კუნძულ კურასაოს მახლობლად ჰანს ხასის სახელგანთქმული ექსპედიცია მუშაობდა. ექსპედიციის მიზანი იყო ზვიგენების ცხოვრებისა და ჩვევების შესწავლა და მათ შესახებ დოკუმენტური ფილმის გადაღება. ექსპედიციის შემადგენლობაში ირიცხებოდა ვენელი თავგადასავლების მოყვარული ალფრედ ფონ ვურციანი. ფილმის გადაღებისას ახალგაზრდა ალფრედი ისე გაიტაცა წყალქვეშ ცურვამ, რომ ზღვის გამოუსწორებელ რომანტიკოსად იქცა. მტაცებელთა გარემოცვაში ცურვამ გამოაწრთო, ასწავლა სახიფათო მდგომარეობიდან უვნებლად გამოსვლა, მაგრამ დაიწყო 1939 წლის შემოდგომა (მეორე მსოფლიო ომის დასაწყისი) და ექსპედიციის წევრებს უბრძანეს, მუშაობა შეეწყვიტათ და სამშობლოში გამგზავრებულიყვნენ. ისინიც აშშ-ისა და საბჭოთა კავშირის გავლის შემდეგ გერმანიაში დაბრუნდნენ, სადაც საყოველთაო მობილიზაციის თანახმად ყველა მათგანს ჯარში უკრეს თავი. ცოტა ხნის შემდეგ რომელიღაც მაღალჩინოსანს გახსენდა, რომ ექსპედიციის წევრები რაიხის სიამაყეს წარმოადგენდნენ და ფრონტზე მათი ყოფნა სახიფათო იყო, ამიტომ ყველა მათგანი ჯარიდან გაათავისუფლეს და წყალქვეშა კვლევების გაგრძელების საშუალებაც მისცეს.

ჯგუფი ამჯერად ეგეოსის ზღვაში, საბერძნეთის ნავსადგურ პირეის მახლობლად დაბინავდა, სადაც გერმანული სამხედრო ხომალდების ბაზა იყო. ექსპედიციის ზოგიერთი წევრისთვის გახურებული ომის დროს მშვიდობიანი ცხოვრება აუტანელი შეიქნა. ალფრედ ფონ ვურციანი თავის დღიურში წერს: „დღეს ისევ ჩავყვინთეთ და პირეის ნავსადგურის მახლობლად ჩაძირული გემი დავათვალიერეთ, დღეები ისე მშვიდად და აუღელვებლად ცვლიან ერთმანეთს, თითქოს ომი არც მიმდინარეობდეს.



**ვიცე-ადმირალმა ჰელმუტ ვეიემ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მებრძოლ-მყვინთავთა დევიზი ნელსონის სიტყვები გამხდარიყო: „ჩვენ ძმათა ერთობა ვართ!“**

უკეთესი იქნებოდა, თუ სარდლობა ჩვენს გამოცდილებას საომარი ინტერესებისთვის გამოიყენებდა. ჩვენ ხომ მოწინააღმდეგის ხომალდებთან შეუმჩნევლად მიახლოება და მათი აფეთქება ადვილად შეგვიძლია. შევეცდები როგორმე დავიყოლიო სარდლობა“.

მას შემდეგ ნახევარი წელი გავიდა და ზღვის რომანტიკოსის, ამჯერად კი წყალქვეშა ომის რომანტიკოსის „ადამიანი-ამფიბიების“ ქვედანაყოფების შექმნის იდეას ვერა და ვერ შეესხა ხორცი. ფლოტის სარდლობა ბრძოლის ტრადიციულ მეთოდებს ანიჭებდა უპირატესობას და ამფიბიების გაგონებაც არ სურდა. იდეა საინჟინრო ჯარების სარდლობამაც უარყო, მხოლოდ კონტრდაზვერვაში დაინტერესდნენ ალფრედ ფონ ვურციანის ჩანაფიქრით და მას შემდეგ, რაც ოლიმპიურ აუზში ალფრედმა თავისი ჯგუფის შესაძლებლობების ჩვენება მოაწყო, კონტრდაზვერვის ხელმძღვანელობა იდეამ დააინტერესა და მეთაური, ჯგუფის რამდენიმე წევრთან ერთად, იტალიაში გაგზავნა. თურმე იდეისთვის, რომელიც ახალგაზრდა გერმანელს ეგეოსის ზღვაში აეკვიატა, იტალიელებს ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს შეუსხამთ ხორცი (იტალიელი მყვინთავი მართული ტორპედოს საშუალებით პულის ნავსადგურში შეუმჩნევლად შევიდა და ლინკორი „ვინიბუს უნტისი“ ააფეთქა).

ალფრედ ფონ ვურციანმა და რიჰარდ რეიმანმა 1943 წლის მაისიდან დეკემბრის ჩათვლით იტალიის ერთ-ერთ სამხედრო-

**ეს იყო თავდადებული და მამაცი ადამიანების ნაკრები, რომელიც მზად იყო ნებისმიერი სირთულის ოპერაციის შესასრულებლად**



საზღვაო ბაზაზე სამხედრო მოცურავეთა კურსები გაიარეს. სწავლება სამხედრო მოცურავეთა შესაძლებლობების დემონსტრირებით დამთავრდა.

ერთი დღის შემდეგ ალპებში, ვალდანოში გაემგზავრნენ, სადაც საწვრთნელ აუზში ყოველდღიურად რამდენიმე საათს ვარჯიშობდნენ. მყვინთავები ელოდნენ, რომ რაიმე დავალების შესასრულებლად გააგზავნიდნენ, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ, – მათ გამოცდილების სხვებისთვის გაზიარება და გაწვრთნა დაავალეს.

1944 წლის 2 იანვარს ვალდანოში 30 ახალბედა ჩავიდა. მათი გვარების გაგონებისას მასწავლებლებმა გაოცება ვერ დამალეს: ამფიბიების პროფესიის შესასწავლად გერმანიის საუკეთესო მოცურავე სპორტსმენები იყვნენ ჩამოსულნი.

როცა სპორტსმენებს განუმარტეს, რისთვის იყვნენ ვალდანოში ჩასული, მათ მაშინვე განაცხადეს, რომ თვითმკვლელები არ არიან და ამ ავანტიურაში მონაწილეობა არ სურთ. ფონ ვურციანი, რომელსაც სიმამაცე და გაბედულება უკვე ჩვევად ქცეოდა, დამფრთხალ სპორტსმენებს არწმუნებდა, სწორი და ზუსტი მოქმედებებისას სახიფათო მდგომარეობა ისეთივე უწყინარ სიტუაციად იქცევა, როგორც სანაპიროზე მთვარიან სალამოს სეირნობა; დივერსიებზე კი ჯერ არავინ ფიქრობს, ერთადერთი, რაც სპორტსმენებს მოეთხოვებათ, ინტენსიური ვარჯიშებია, ეს არის და ესო. სპორტსმენებიც დათანხმდნენ.

მალე მოცურავეებმა სპორტული ფორმა აღიდგინეს და თანდათან თავგადასავლების ხასიათზეც მოვიდნენ. განუწყვეტელმა ვარჯიშებმა, ფარფლებით, უფარფლებოდ თუ ჟანგბადის აპარატით ყვინთვამ მათ წყალში თევზივით მოქნილად მოძრაობა ასწავლა. მალე სავარჯიშო პროგრამა ამოიწურა, აუზში უკვე ველარაფერს ისწავლიდნენ და სპორტსმენები სავარჯიშოდ ვენეციის ყურეში გადავიდნენ, რომელიც იდეალური პოლიგონი გამოდგა: მლაშე წყალი, დინებები, მიქცევ-მოქცევები, ლოპრიანი ფსკერი, ჩაძირული გემები; ნავსადგურსა და საზღვაო არსენალს სასწავლო შეტევების სამიზნეების როლის შესრულება შეეძლო.

გუნდი ყურის ახლოს, დაჭრილთა დასასვენებელ სახლად შენილბულ მიტოვებულ მონასტერში დაბინავდა.

დაიწყო ვარჯიშები. ცივ წყალში დიდხანს რომ გაეძლოთ, სპორტსმენები მყვინთავების კომპლექტებს იცმევდნენ. ზოგიერთი ბეწვის ტანსაცმელსაც ხმარობდა, ზემოდან კი რეზინის თხელ საცურაო კოსტიუმს. თუ მოცურავე აპარატით არ სარგებლობდა, ზურგზე უნდა ეცურა და ასაფეთქებელი მასალა ამგვარად მიეტანა დათქმულ ადგილამდე. ისინი ფარფლებით უხმაუროდ დაცურავდნენ და გადასაადგილებლად დინებას იყენებდნენ. წყალზე მხოლოდ მათი სახე მოჩანდა, რომელზეც

**მართული ტორპედოს ჩაშვება წყალში**



ჭვარტლში არეული ქონი ჰქონდათ წასმული, სახეზე კი მუქ მწვანე ბადეს იფარებდნენ, რომელიც ნაქსოვ ქუდზე ჰქონდათ მიმაგრებული. თუ ასე შენილბულ მოცურავეს ვინმე შენიშნავდა, დინებას მიყოლილ და ამოტივტივებულ წყალმცენარეების გროვას ამსგავსებდა და არა მოცურავე ადამიანს. მოწინააღმდეგის თვალწინ ფარფლებით ცურვა არ შეიძლებოდა, რადგან სხვა საგნებთან შედარებით სწრაფი მოძრაობა თვალში საცემი გახდებოდა. ამიტომ მიზანს მიახლოებული მოცურავეები მხოლოდ დინებას მიჰყვებოდნენ. ღუზაჩაშვებულ გემს ცხვირის მხრიდან მიადგებოდნენ, რადგან დინება ხომალდს ასეთ მდგომარეობაში აყენებდა. გემიდან 200-300 მეტრის მანძილზე მოცურავე მოძრაობას წყვეტდა და მხოლოდ დინებას მიჰყვებოდა. როცა გემის კორპუსს შეეხებოდა, დრეიფს დაახლოებით შპანგაუტამდე განაგრძობდა. აქ მას ასაფეთქებელი საშუალების მისამაგრებლად უნდა ჩაეყვინთა. რადგან მოცურავეს მხოლოდ შენილბული სახე უჩანდა, ჩასაყვინთად მხოლოდ ჩასუნთქვა იყო საჭირო. როცა გემის გვერდითა კილს მოძებნიდა, ცალი ხელით მოეჭიდებოდა, მეორეთი კი ჟანგბადის ბალონის ონკანს გახსნიდა და რესპირატორს მიიერთებდა. როცა ნაღმს გვერდითა კილზე მიამაგრებდა, დივერსანტი ხომალდს განსაზღვრულ მანძილზე დაშორდებოდა და ამოყვინთავდა.

მოცურავე სპორტსმენები საფრთხეს თანდათან გაუთამამდნენ. დივერსანტები კატარღით შორს, ზღვის სიღრმეში შეჰყავდათ, შემდეგ წყალში უშვებდნენ. უკან ხელის კომპასის დახმარებით ბრუნდებოდნენ. ღამღამობით, ხშირად, სპორტსმენ-მეომრები ვენეციის არხებში დანავარდობდნენ.

ერთხელ, შებინდებისას, „მკვნესარე სულების" ხიდს ქვემოთ, რომელზეც ოდესღაც სიკვდილმისჯილები გადაჰყავდათ, ფუთფუთიატყდა, თითქოს ათასმა მოჩვენებამ მოიყარა თავი და ვენეციელები მართლაც დარწმუნდნენ, რომ მათ ქალაქს ბოროტი სულები დაეპატრონენ. იდუმალ ძალებს ღუზაჩაშვებული მეთევზეთა ნავები მძინარე პატრონებიანად შუა ზღვაში გაჰყავდათ; ბოსტნეულის ბაზრის ნავმისადგომთან მდგარი კარჭაპებიდან კი ყოველღამე უჩინარდებოდა ხილისა და ბოსტნეულის ნაწილი. ვაჭრებმა მორიგეობა შემოიღეს და მოთვალთვალეები დააყენეს, მაგრამ უშედეგოდ, გათენებისას საუკეთესო ნაყოფით სავსე კალათები სანახევროდ ცარიელი ხვდებოდათ...

მომზადების მაღალი დონე „ამფიბიებმა" საგულდაგულოდ გამაგრებულ იტალიის სამხედრო-საზღვაო არსენალზე „თავდასხმისას" დაადასტურეს. ერთხელ მათ დაცული ზონიდან დიდი ნიჩბიანი ნავი მოიტაცეს, რომელიც შემდეგ მიტოვებულ მონასტერთან იპოვეს არსენალის დამცველმა მეზღვაურებმა. მეორედ იტალიური სატორპედო კატარღის მოპარვა დააპირეს, მაგრამ ახლო მდგომი მეორე კატარღიდან ყარაულებმა საეჭვო მოძრაობა შენიშნეს და განგაში ატეხეს. შავი „მოჩვენებები", რომლებიც კატარღის გატაცებას ცდილობდნენ, ჩქამის გაუღებლად ჩასრიალდნენ წყალში და გაუჩინარდნენ. პირდაღებული ყარაულები მხოლოდ მერე მოეგენ გონს და ავტომატის ჯერი მიაყოლეს „ბოროტ სულებს". მებრძოლმა ყვინთავებმა კი კარგად იცოდნენ, რომ ტყვიები წყალში მათ ვერას დააკლებდა.

სარდლობიდან ვენეციის კომენდანტის გარდა არავინ იცოდა მათი არსებობის შესახებ და რადგან ეს ამბავი მკაცრად იყო გასაიდუმლოებული, იგიც დუმდა. საჩივრების საქაღალდე კი, რომელიც მის მაგიდაზე იდო, დღითი დღე იზრდებოდა. ვენეციის არხების დამფრთხალი დარაჯები ყოველღამ უშენდნენ ტყვიებს ყველაფერს, რაც კი საეჭვოდ მოეჩვენებოდათ, „სულები" კი მათ მუქარას აინუნშიაც არ აგდებდნენ. კომენდანტმა მოცურავეები დისციპლინის უხეში დარღვევის გამო მამაშვილურად დატუქსა, მეორე დღეს კი მკაცრად დაცული კომენდატურიდან, თვით კომენდანტის კაბინეტიდან, ზუსტად ის საქაღალდე გაქრა, რომელიც საჩივრებით იყო გაბერილი...

„ამფიბიების" პირველმა ნაკადმა დაასრულა თუ არა სწავ-

ლა, მონასტრის სენაკები ახალ მოსწავლეებს გადაულოცა.

1944 წლის 6 ივნისს დაიწყო მოკავშირეთა დესანტის სენის ყურეში გადასხმის ოპერაციები. ამ დროისთვის ქვედანაყოფ „K“-ში ყოველმხრივ მომზადებული 30 მოცურავე ირიცხებოდა. ეს იყო თავდადებული და მამაცი ადამიანების ნაკრები, რომელიც მზად იყო ნებისმიერი სირთულის ოპერაციის შესასრულებლად. ვიცე-ადმირალმა ჰელმუტ გეიემ, რომელსაც ქვედანაყოფი „ “ – „Kleinkampfverdand“-ი ექვემდებარებოდა (სიტყვასიტყვით – მცირე საბრძოლო შენაერთი), ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მებრძოლ-მოცურავეთა დევიზი ნელსონის სიტყვები გამხდარიყო: „ჩვენ ძმათა ერთობა ვართ“.

ქვედანაყოფ „K“-ში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა თითოეული მებრძოლის ინიციატივასა და პასუხისმგებლობას; წოდებასა და თანამდებობას მხოლოდ მაშინ ჰქონდა მნიშვნელობა, თუკი ისინი მებრძოლის პირად თვისებებს შეესატყვისებოდა. თითოეული მათგანი ვალდებული იყო, მკაცრად დაეცვა სამხედრო საიდუმლოება, მზად იყო, შესვენების გარეშე ემსახურა და სამოქალაქო ცხოვრებისგან სრულიად მოწყვეტილი ყოფილიყო.

აღმოსავლეთის ფრონტიდან ქვედანაყოფის ბაზაში ჩამოვიდნენ ინსტრუქტორ-ამფეთქებლები, დაზვერვის სპეციალისტები. შემდეგ გამოჩნდნენ ჯიუ-ჯიცუს მწვრთნელები. საჭირო იყო მოცურავეთა ისეთ დონეზე მომზადება, რომ ყოველგვარი განსაცდელისთვის გაეძლოთ; აუცილებელი იყო აგრეთვე ხელჩართული ბრძოლისა და მოწინააღმდეგის პოსტების უხმაროდ გასაუვნებელი ილეთების ათვისება. მოცურავეებს ასწავლიდნენ რადიო, ავტოსაქმეს, უცხო ენებს, ყურადღება მახვილდებოდა „მაგარ-მაგარ“ ჯარისკაცურ გამოთქმებსა და სიტყვებზე.

„K“-ს ქვედანაყოფში მისაღებ კანდიდატებს მკაცრი წესით არჩევდნენ; მოხალისეების უმრავლესობას კვლავ ძველ სამსახურში აბრუნებდნენ. აკრძალული იყო ჯგუფში ოჯახის თავკაცის ან დედისერთას ჩარიცხვა.

საბრძოლო მოქმედებებში „K“ ჯგუფის ხელმძღვანელობა მხოლოდ მოხალისეებს აბამდა, ყოველი ოპერაციის წინ მოხალისეები რაპორტებს წერდნენ. მოცურავეს უფლება ჰქონდა, უარი ეთქვა ოპერაციაში მონაწილეობაზე, თუკი მიხვდებოდა, რომ თავს ვერ გაართმევდა, ანდა მის წარმატებაში ეჭვი ეპარებოდა. ქვედანაყოფის მეთაურობა ხელმძღვანელობდა პრინციპით: თითოეული მებრძოლი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მას გადარჩენის დიდი შანსი აქვს; თითოეული საბრძოლო საშუალება ისე უნდა იყოს კონსტრუირებული, თითოეული ოპერაცია კი ისე ორგანიზებული, რომ სამხედრო მოსამსახურე ოპერაციის შემდეგ ისე დაბრუნდეს ყაზარმაში, როგორც რიგითი მოქალაქე ბრუნდება სამსახურიდან; თუ მოწინააღმდეგე აღმოაჩენდა მოცურავეებს და დევნას დაუწყებდა და მათ ტყვედ ჩავარდნის ან გმირული სიკვდილის გარდა სხვა გამოსავალი არ ექნებოდათ, უყოყმანოდ ტყვედ უნდა ჩაბარებულიყვნენ.

ბევრი გერმანელი საზღვაო დივერსანტების წარმატებებს მათ თავგანწირულობას მიაწერს, სინამდვილეში კი თავგანწირვა „K“ ჯგუფში პოპულარული არ იყო.

„ჩვენი საიერიშო-დივერსიული ჯგუფები რვა-ათი მებრძოლისგან უნდა შედგებოდეს, რადგან ზედმეტი ადამიანები მხოლოდ ზიანს აყენებენ საქმეს. ის უპირატესობა, რასაც მოწინააღმდეგეს სიმრავლე ანიჭებს, ჩვენ ჭკუით, ხერხითა და სიმამაცით უნდა დავძლიოთ. რაც უფრო ნაკლები მეომარი მონაწილეობს ოპერაციაში, მით დიდია წარმატების შანსი, ნაკლებია მოწინააღმდეგის მიერ მათი აღმოჩენის ალბათობა, ასეთ შემთხვევაში კი გაცილებით ადვილია მოქმედებათა დეტალების ზუსტად შესრულება, მით უმეტეს, თუ ოპერაციაში მონაწილე დარწმუნებულია საკუთარ თანამებრძოლებში და მათი იმედი აქვს“, – ამ სიტყვებიდან, რომელიც „K“ ჯგუფის ერთ-ერთ მეთაურს ეკუთვნის, კარგად ჩანს, რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა



**ღუზაჩაშვებულ გემებს სასიკვდილო ნობათებით „ხელდამშვენებული“ მყვინთავები ცხვირის მხრიდან უვლიდნენ...**

თითოეული ოპერაციის მომზადებას.

სადივერსიო მოქმედებები დეტალურად, გულდასმით, წვრილმანი დეტალის გამოუტოვებლად იგეგმებოდა.

ოპერაციების დაგეგმისას იყენებდნენ სამეცნიერო მიღწევებს. „K“ ჯგუფისთვის მუშაობდა მთელი სამეცნიერო ცენტრი, რომელსაც დოქტორი კონრად ფოპელი ხელმძღვანელობდა. იგი წლების განმავლობაში ლაიფციგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მცველად მუშაობდა. სამეცნიერო ცენტრში ირიცხებოდნენ ნიჭიერი გეოგრაფები, გეოლოგები, ოკეანოგრაფები, მეტეოროლოგები და მათემატიკოსები; ჰქონდათ 30-ათასტომიანი ბიბლიოთეკა, საიდანაც ევროპული ქვეყნების ნებისმიერი სანაპიროს შესახებ ცნობებს კრებდნენ.

პირველი დავალება, რომელიც სამეცნიერო ცენტრმა მიიღო, ასეთი იყო: „მოგვაწოდეთ (რუკა, ფოტოსურათები, აღწერა) კუნძულ კორსიკის სამხრეთ სანაპიროს ზუსტი სურათი; მიგვანიშნეთ რამდენიმე უკაცრიელი, წყნარი ადგილი, სადაც იახტა, რომელიც ორ მეტრზე ზის წყალში, ნაპირთან მიახლოებას თავისუფლად შეძლებს და დესანტს გადასხამს; მიანიშნეთ კუნძულის სიღრმეში მისასვლელი მოხერხებული გზა“.

ოცსაათიანი მუშაობის შემდეგ „რაუმ კოპელმა“ (ასე უწოდებდნენ ცენტრს) ყველა ის მონაცემი გასცა, რომელსაც მისგან მოითხოვდნენ. ეს იყო ათობით წიგნი, რომლებშიც სანაპიროები იყო აღწერილი; მკვლევართა ანგარიშები, რუკები, რელიეფის ფოტოსურათები და ახალი გეოგრაფიული ჟურნალების ნომრები, რომლებსაც ნეიტრალურ ქვეყნებში მოიპოვებდნენ. ყოველივე ამას თან ერთვოდა მასალის საფუძველზე გაკეთებული მოკლე და ნათელი დასკვნები.

დივერსანტები, რომლებიც „რაუმ კოპელის“ მონაცემების დაყრდნობით დამუშავებული ოპერაციებიდან ბრუნდებოდნენ, მადლიერებით აღნიშნავდნენ: ჩვენ არასოდეს ვყოფილვართ ოპერაციის ადგილზე, მაგრამ შეგვეძლო როგორც ძველ ნაცნობებს, ისე მივსალმებოდით თითოეულ კლდეს, მდინარესა და ბილიკს, იმდენად დაემთხვა ყოველივე მეცნიერთა მონაცემებსო.

როცა 1944 წლის ივნისში პირველი სადივერსიო ათკაციანი ოპერაციის ჩატარების ბრძანება გაიცა, მასში მონაწილე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ობის სურვილი ოცდაათმა მოცურავემ გამოთქვა. ყველამ იცოდა, რომ საომარი მოქმედებები მოკავშირეთა გადმოსხდომის ადგილებში უნდა ჩატარებულიყო, სადაც მოწინააღმდეგეს ყველა კომპონენტში უზარმაზარი უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ მოცურავეთაგან თითოეული იმაშიც იყო დარწმუნებული, რომ ქვეყნად არ არსებობდა მსგავსი სიტუაცია, საიდანაც ცივსისხლიანი, მოაზროვნე მარტოხელა მოცურავე გამარჯვებული ვერ გამოვიდოდა.

მებრძოლ მოცურავეებს მდინარე ორნის ხიდი და ორნის არხის ხიდები უნდა აეფეთქებინა, რომლებითაც მოკავშირეები თავიანთ ჯარებს ამარაგებდნენ.

ხიდებთან თავმოყრილი იყო მოწინააღმდეგის საზენიტო არტილერიის ისეთი რაოდენობა, რომ „ლიუფტვაფეს“ ბომბდამშენების იმედი გერმანელებს არ უნდა ჰქონოდათ. საათისმექანიზმიანი ტორპედო ხიდამდე სამ მოცურავეს უნდა მიეტანა. ტორპედო მდინარემდე ურიკით მიაგორეს, სადაც წყალში ჩაშვებისთანავე ჩაიძირა, რადგან მისი ცურვადობა ზღვის მლაშე წყალზე იყო გათვლილი. დივერსანტებმა ახლომდებარე საავტომობილო ნაწილში სწრაფად შეივსეს ბენზინის მარაგი და ტორპედოს ცურვადობა სასურველ დონეზე დააყენეს და დავალების შესასრულებლად გაემართნენ, მაგრამ ყველასგან მოულოდნელად გზაში ტორპედოს კიჩო მოსძვრა. უფროსი ეფრეიტორი ფსკერზე დაეშვა, ხელი წაავლო და ცურვით გაუყვა გზას ხიდისკენ. საჭირო იყო პირველი ხიდის (რომელსაც ინგლისელები იცავდნენ) შეუმჩნევლად გავლა და მეორე ხიდის შუა საჭერდენთან ტორპედოს მოთავსება.

გზაში მოცურავეები საკუთარი არტილერიის ცეცხლში მოხვდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც მოახერხეს ტორპედოს სასურველ ადგილას მოთავსება, შემდეგ ძალაგამოლეულ რეიმანს შეეშველნენ და უკან დახევა დაიწყეს. ოთხი საათის შემდეგ ისინი უკვე ყაზარმაში იყვნენ. ხიდი ჰაერში აფრინდა, მაგრამ შემდეგ გაირკვა, რომ სულ სხვა ხიდი აუფეთქებიათ. თურმე იმ ოპერატიულ რუკაზე, რომლითაც მოცურავეები ხელმძღვანელობდნენ, დატანილი არ ყოფილა ერთი ხიდი, სამაგიეროდ, ეს უკანასკნელი აღნიშნული იყო ტოპოგრაფიულ რუკაზე.

მეორე ოპერაციის დროს ორი მოცურავე ასრულებდა დავალებას. ძლიერმა დინებამ მათ მიზანთან სწრაფად მიახლოების საშუალება მისცა. მოცურავეებმა ჩაყვინთეს, აპარატები ჩართეს და ტორპედო ხიდის საყრდენს მიამაგრეს, მაგრამ ამჯერად ძლიერმა დინებამ მათ უკან დაბრუნებას შეუშალა ხელი. მოცურავეებმა ჩაყვინთეს და ფსკერზე გადაადგილება სცადეს, მაგრამ ხელი მოეცარათ. როცა მიხვდნენ, რომ დილამდე საკუთარ ტერიტორიას ვერ მიაღწევდნენ, გადაწყვიტეს დალამებას სანაპიროზე, ლელიანში დალოდებოდნენ. დილის ბინდბუნდში რაღაც ორმოს წააწყდნენ. ეს ინგლისელ საველე ჯარისკაცთა საპირფარეშო იყო. როგორც შემდეგ გაირკვა, განავალში ჩავარდნით მათ ბედმა გაუღიმა.

ტორპედო დათქმულ დროს აფეთქდა და ხიდიც ჩაინგრა. ინგლისელების სამძებრო ჯგუფებმა დივერსანტების მოსაძებნად სანაპიროების ჩხრეკა დაიწყეს. თითქმის ყველაფერი გადააქოთეს, ტუალეტის ორმოში ჩახედვა კი არც უფიქრიათ. ღამით მოცურავეები არხში გადავიდნენ, სადაც დინება თითქმის არ იგრძნობოდა და უვნებლად დაბრუნდნენ უკან.

1944 წლის აგვისტოს ბოლოს მოცურავე დივერსანტებმა ააფეთქეს სანაპირო ბატარეა „ბაკ-დიუ-ოდ“-ი, საიდანაც ინგლისელები ცეცხლს უშენდნენ ჰავრში განლაგებულ გერმანელების დიდ გარნიზონს; იმავე წლის 15-16 სექტემბრის ღამით მათ ააფეთქეს ანტვერპენის მთავარი საპორტო რაბი, რითაც მოკავშირეებს გამტარუნარიანობით ყველაზე მსხვილი ევროპული პორტის გამოყენების საშუალება მოუსპეს. გერმანელი სამხედრო მოცურავეების წარმატებათა მწვერვალად მდინარე ვაალზე ნეიმენგენის რაიონში ხიდების აფეთქება ითვლება, სადაც ინგლისის საჰაერო-სადესანტო ნაწილებს მნიშვნელოვანი პლაცდარმი ჰქონდათ დაკავებული. მოწინააღმდეგეც კი აღაფრთოვანა მოცურავეთა მოქმედებებმა. 1944 წლის 6 ოქტომბერს ლონდონური გაზეთი „თაიმსი“ წერდა, რომ ხიდებზე თავდასხმა მეორე მსოფლიო ომში ერთ-ერთი ყველაზე ჭკვიანური და მამაცური ოპერაცია იყო.

„K“ ჯგუფის მეომრებმა არც საბჭოთა მეომრებს დააკლეს ხელი, – ააფეთქეს ხიდი ოდერზე, რომელზეც წითელი არმიის მთავარი ძალები გადიოდნენ. მოგვიანებით გერმანელი მოცურავეების გეგმებს ომის დამთავრებამ დაუსვა წერტილი. მაგალითად, ისინი დივერსიას გეგმავდნენ ლა-მანშის სრუტის ქვეშ გამავალ ბენზინგამტარ მილზე (პრაქტიკულად მზად იყვნენ), – ფრთხილად უნდა გაეხვრიტათ მილი და მასში ისეთი ქიმიური ნივთიერება შეეყვანათ, რომელიც ბენზინის გაფუჭებას გამოიწვევდა, სანამ მოწინააღმდეგე მიზეზს მიაგნებდა, ათასობით ერთეული სამხედრო მანქანა გამოვიდოდა მწყობრიდან. მოკავშირეთა სწრაფმა შეტევებმა შეუშალა ხელი ოპერაციის ჩატარებას, რომელიც წარმატების შემთხვევაში სპეცოპერაციების ეტალონი გახდებოდა.

იგეგმებოდა დივერსიების ჩატარება ნიუ-იორკის პორტშიც. მოცურავეებს ნიუ-იორკის ნავსადგურში პატარა წყალქვეშა ნავით მიიყვანდნენ, რომელიც ფსკერზე დაწვებოდა. მოცურავეები გამოვიდოდნენ და სამხედრო გემებს პროპელერებიან ნაღმებს მიამაგრებდნენ. ამფეთქებლებიანი ნაღმები მუშაობას წყლის შემხვედრ ნაკადთან შეხებისას იწყებდნენ, როცა გემის სიჩქარე 6 კვანძს მიაღწევდა. ასეთი ნაღმებით გემის აფეთქების მიზეზის დადგენა თითქმის შეუძლებელია.

მსგავსი ოპერაციების ჩატარებას ჩვეულებრივი გემებიდანაც აპირებდნენ: ნორვეგიელი მეზღვაურების ფორმაში გადაცმული დივერსანტები „ნორვეგიული“ გემით სამხრეთ განედებზე ხეტიალსა და ამ რეგიონში მოკავშირეების ხომალდების ჩაძირვას ისახავდნენ მიზნად. დღისით სამოქალაქო გემი ნავსადგურში შევიდოდა ან რეიდზე დადგებოდა, ღამით კი „მშვიდობიანი ნორვეგიელი მეზღვაურები“ ზღვის მგლებად გადაიქცეოდნენ და მოწინააღმდეგის სამხედრო და სატრანსპორტო ხომალდებს პროპელერებიანი „ეშმაკის მანქანებით“ დანაღმავდნენ. დილით გემი ღუზას ამოიღებდა და ახალი დივერსიების ჩასატარებლად სხვა ნავსადგურში გადაიყვანდა მებრძოლ მოცურავეებს. როგორც ამბობენ, ინგლისელებსაც გაუმართლა და გერმანელებსაც – სანამ ნორვეგიული ხომალდი აფრიკის კონტინენტს გარს უვლიდა, ომი დამთავრდა. ■

# მსტოვრობის ისტორია საქართველოში (გაგრძელება)

ეძღვნება დავით აღმაშენებლის იმ ქართველ მსტოვრებს, რომელთა გვარ-სახელები, სამწუხაროდ, უცნობია და რომლებმაც საქართველოს გადარჩენისთვის ყველაფერი გაიღეს.

**დასაწყისი იხ. „არსენალი“ №№ 8-9**

## მსტოვრობის ინსტიტუტის ორგანიზება

ამ სტატიით ვამთავრებთ დავით აღმაშენებლის მეფობის პერიოდში მსტოვრობის ინსტიტუტის შექმნის ისტორიას. გასარკვევი დაგვრჩა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელთა განხილვის გარეშე ეს თემა დასრულებულად ვერ ჩაითვლება. კერძოდ კი, დასადგენია, რა წყაროებით სარგებლობდა დავით მეფე მსტოვრობის ინსტიტუტის ჩამოყალიბებისას, ვინ ხელმძღვანელობდა მსტოვრებს, რა კავშირი აქვს დავითის მემატიანეს მსტოვრების ქსელის ორგანიზებასთან და ა.შ..

დავით მეფე სამართლიანად არის მიჩნეული იმ დიდ ეროვნულ მოღვაწედ, რომელმაც მსტოვრობის საქმე, მანამდე უყურადღებოდ მიტოვებული, ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძლიერ ბერკეტად აქცია.

არც ერთ მის წინამორბედს თუ მემკვიდრეს მსტოვრობისადმი ისეთი ყურადღება არ გამოუჩენია, როგორც დავითს. ჭაბუკობაში გამეფებულს ერთბაშად უამრავი საფიქრალ-საზრუნავი დააწვა მხრებზე. საყურადღებოა, რომ დავით IV-ის მეფობის მთელ პერიოდში ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებასა და წარმატებას მსტოვართაგან მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი და რეალიზაცია ედო საფუძვლად.

## მსტოვრების ქსელის შექმნა და მისი სტრუქტურა

დავით IV-ის მეფობის ამსახველი ერთადერთი მნიშვნელოვანი ქართული წყარო უცნობი მემატიანის „ცხორება მეფეთ-მეფისა დავითისაა“. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ქართველ ისტორიკოსებს დაწვრილებით შეუსწავლიათ ეს დოკუმენტი და კომენტარებიც დაურთავთ ამ მცირე ზომის ხელნაწერისთვის. თითოეულ სტრიქონს სასოებით ჩაჰკირკიტებდნენ მეცნიერები, იმდენად უნიკალური და ყოვლისმომცველი იყო ეს გრაგნილი. დავით მეფის მიერ გატარებული რეფორმები (სამხედრო, საეკლესიო, ადმინისტრაციული — თუნდაც მწიგნობართუხუცესისა და ჭყონდიდელის, საერო და საეკლესიო თანამდებობების გაერთიანება), საქართველოს გამთლიანება და ახალი მიწების შემომატება, ცვლილებები მართლმსაჯულების სფეროში, ვაჭრობის განვითარება და ქალაქების კეთილმოწყობა, ეკლესია-მონასტრების აგება, საავადმყოფოების („ალაშენნა ქსენონნი“) გახსნა, — ყველა ეს მოვლენა დაწვრილებითაა შესწავლილი ქართულ ისტორიოგრაფიაში. მხოლოდ ერთი თემაა შემორჩენილი, რომელსაც ჯერ მეცნიერ-მკვლევართა კალამი ჯეროვნად არ შეხებია. ეს არის მსტოვრობის საქმის თეორიული და პრაქტიკული მხარეების კვლევა. ქართველი ისტორიკოსები (ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია და სხვ.) და მწერლები (კ. გამსახურდია, ლ. სანიკიძე და სხვ.) მსტოვარ-ჯაშუშთა საქმიანობის შესახებ ცნობებს ამ ისტორიული წყაროდან იღებდნენ და ყოველთვის აღნიშნავდნენ მსტოვრების როლსა და მნიშვნელობას დავითის ეპოქაში, მაგრამ კვლევა მხოლოდ ფაქტების დაფიქსირებით შემოიფარგლებოდა და ეს საკითხი გამოწვლილვით რატომღაც არ შეუსწავლიათ.

დავით IV-ის მემატიანე „მსტოვრებს“ სულ ორად-ორჯერ ახსენებს:

პირველად, როცა მეფის ერთ-ერთ სამხედრო-ტაქტიკურ ხერხსა და მტრის დეზინფორმაციის მრავალგზის გამოყენებულ მეთოდს ხსნის („რამეთუ მოიმსტვარნის მეფემან რომელთა მოსვრა ეგებოდის, და უგრძნობლად დაესხის და მოსწყვიდნის“), ხოლო მეორედ, როცა თურქ-სელჯუკების ჯაშუშთა აქტიურობას აღწერს („რამეთუ მათნიცა მსტოვარნი ზედა ადგიან მეფესა და ეძებდიან გზათა მისთა“). ყველა სხვა შემთხვევაში, მემატიანის ძუნწ სტრიქონებს შორის ალაგ-ალაგ მიმობნეული და შეფარვით გადმოცემული მსტოვართა საქმენი მარცვალ-მარცვალ არის ამოსაკრეფი.

მემატიანე მეფის გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებს დაწვრილებით ჩამოთვლის. მათგან განსაკუთრებით საინტერესოა ის საკითხები, რომელთა გადაწყვეტა მსტოვართა გუნდის მონაწილეობას მოითხოვდა. კერძოდ: „...კიდეთა პყრობანი, ნაპირთა ჭირვანი, განხეთქილობათა კრძალვანი, სამეფოსა წყნარებისა ღონენი, ლაშქრობათა მეცადინობანი, მთავართა ზაკვისა ცნობანი, მხედართა განწესებანი... შემცოდეთა წყალობითნი წვრთანი...“

იმ დროის საქართველოში მსტოვრულ-აგენტურული საქმიანობით მეფის გარდა დიდგვაროვნებიც იყვნენ დაინტერესებულნი. სადაზვერვო ჯგუფები მათაც ჰყავდათ. ამიტომ მათთან დაპირისპირება დავით მეფისთვის იმთავითვე წამგებიანი იქნებოდა, უფრო ძლიერი „სპეცსამსახურები“ — საშინაო და საგარეო პოლიტიკური დაზვერვა, ოპერატიული და სტრატეგიული სამხედრო დაზვერვა, სამხედრო კონტრდაზვერვა და პირადი დაცვა — „მონასპა“ არ ეყოლებოდა.

ძალზე საშიში იყო გარეშე მტერიც. დავით მეფე თურქ-სელჯუკთა ჯაშუშების მუდმივი მეთვალყურეობის ობიექტი იყო. ამიტომ მეფის მსტოვართა გუნდი ძლიერ ხელმძღვანელობას და მკაცრ კონტროლს საჭიროებდა.

მემატიანის მიერ გადმოცემული ისტორიული ფაქტების ანალიზი საშუალებას იძლევა, თვალი მივადევნოთ მსტოვართა ქსელის ჩამოყალიბებისა და თანდათანობითი გაძლიერების პროცესს.

მსტოვართა კვალი პირველად 1097-1099 წ.წ. შეინიშნება, როცა დავითმა მსტოვრების მეშვეობით ურჩი და მოღალატე დიდებულების (უპირველესად ლიპარიტ ამირას) ოპერატიული დამუშავება დაიწყო და მათი სრული დამორჩილებით დაასრულა. სავარაუდოა, მსტოვრების მონაწილეობა ლიპარიტის მემკვიდრის, რატის მოულოდნელ სიკვდილშიც, რის შემდეგაც მეფემ მათი სამფლობელო — თრიალეთი და კლდეკარი ერთგულ დიდებულებს გადასცა სამართავად. სელჯუკთა იმპერიის დასუსტება და ჯვაროსნების მიერ 1099 წელს იერუსალიმის აღება დავითის მსტოვრებს არ გამოჰპარვიათ. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით მეფემ მთლიანად შეცვალა საგარეო პოლიტიკა და სამხედრო სტრატეგია. ასევე სავარაუდოა, რომ მე-12 საუკუნის დასაწყისში საეკლესიო რეფორმის მომზადება და რუის-ურბნისის კრება მეფის ერთგული მზვერავ-მსტოვრების მონაწილეობის გარეშე არ ჩაივლიდა.

ეს 10-12 წელიწადი მსტოვრების ქსელის შექმნისა და გაძლიერების პერიოდად უნდა ჩაითვალოს, ხოლო 1110 წლიდან, ანუ სამშვილდის ციხის „მოპარვიდან“ — დავით აღმაშენებლის გარდაცვალებამდე (1125 წ.) ქართველი მსტოვრები თითქმის უშეცდომოდ მოქმედებდნენ და სრულიად საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკონტროლებდნენ, საზღვრებთან მტრებს „დარაჯობდნენ“ და სხვა ქვეყნებშიც მოიპოვებდნენ სტრატეგიულ ინფორმაციას.

დავითის მეფობის მიწურულს მსტოვრების ქსელით ყოფილა დაფარული მთელი სამეფო. მემატიანე წერს, რომ დავით მეფეს ღალატისა და ორგულობის გამოვლენის ნიჭი ღმერთისგან ჰქონდა ბოძებული. ამიტომაც „შიშითა მისითა“ ვერც ლაშქარში, ვერც დიდებულებში და ვერც სამღვდელოებაში ვერავინ გაივლებდა გულში ღალატსო. მეტიც, სახლშიც კი, ცოლ-შვილთანაც, ვერავინ ბედავდა მეფეზე აუგის თქმასო, ხოლო ვინც ღალატის გზას დაადგა (თუნდაც ლიპარიტ და რატი ბაღუაშები და სხვა დიდებულებიც), დავითმა ადრევე შეიტყო და ისინი „განპატიჟებულნი“ (დასჯილნი) იქნენო. მემატიანე ყველას ურჩევდა: „ნუ ამას ეძიებ, მკითხველო, თუ ვითარ იქმნებოდა ესე, არამედ ამას ცნობად, თუ რა სარგებელი პოვის ამათ მიერ“, შემდეგ კი დაასკვნის: ეს საქმე (ანუ მსტოვრობა) ცუდი მიზნებისთვის კი არ იყო გამოყენებული: „არამედ დიდნი საქმენი და ფრიად სასწრაფონი წარმართნა ამით და მრავალთა კეთილთა მიზეზ იქმნა ესე“ (მემატიანე).

მსტოვრებისა და მოენეების შიშით ქვეყანაში თანდათან ისეთი წესრიგი დამყარებულა, ვერავინ ბედავდა „განდრეკილად სლვად“.

ფაქტობრივად, სულ ეს არის მემატიანის ისტორიიდან ამოკრეფილი სტრიქონები, რომლებიც დავითის ეპოქაში მსტოვრობის საქმეს შეეხება.

ჩვენს ხელთ არსებული ისტორიული წყაროებით არ დასტურდება დავითის მიერ მსტოვართა ცალკე, დამოუკიდებელი, ცენტრალიზებული სტრუქტურის შექმნა. ამის შესახებ დღეისთვის არსებული ყველა მასალა დავითის მემატიანის ნაწერის კომენტარები და ინტერპრეტაციაა. დოკუმენტური სიზუსტით არ დადგენილა ის პერიოდი, როცა მსტოვართა ცენტრალიზებული ორგანიზაცია შეიქმნა და ვინ იყო მისი ხელმძღვანელი; უცნობია ქართველი მზვერავების გვარ-სახელებიც.

მიუხედავად ამისა, გამართლებულად უნდა მივიჩნიოთ ქართველ ისტორიკოსთა და მწერალთა მიდგომა, რომელნიც „ხეების მიღმა ტყეს ხედავენ“, ანუ დავით მეფის მიერ გატარებული საგარეო და საშინაო პოლიტიკის ჰორიზონტს მიღმა კარგად ორგანიზებულ და გაწვრთნილ მსტოვართა ქმედებებს ლანდავენ, რის საფუძველზეც მსტოვართა ორგანიზაციის არსებობას ვარაუდობენ.

ამ სპეციფიკურ თემას ყველაზე ადრე დიდი ქართველი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი ჩაუღრმავდა, რომელიც დავით აღმაშენებლის საშინაო პოლიტიკის გაანალიზებისას, საგანგებოდ აღნიშნავს რა მეფის შეთქმულების სწრაფად გამოცნობის უნარს და „ყოვლისმცოდნეობას“, ირონიულად წერს: „რასაკვირველია, ამგვარი გულთმისნობის გამოჩენა მეფეს მხოლოდ ჯაშუშთა დახმარებით შეეძლო. ეტყობა, დავით აღმაშენებელს ჯაშუშები ყოლია: ამ მხრივ სელჯუკიანთა შაჰებისა და კეისრების ჩვეულებას აჰყოლია. ჯაშუშების დახმარებით მეფე სპობდა „ორგულობასა და ზაკვასა და ღალატს“ (ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, გვ. 107). კონსტანტინე გამსახურდიას აზრით, მსტოვართა ინსტიტუტი დავითმა გამეფებიდან საკმაოდ მალე შექმნა: „დავით მეფის ცხოვრებაში ეს იყო პერიოდი (ლაპარაკია 1092-1098 წ.წ. – ავტ.)... პოლიტიკური და სამხედრო სამზადისისა, მსტოვართა ინსტიტუტის დაარსებისა, შინაგან მტრებთან ბრძოლისა, გარე სამყაროში მომხდარ დიდ პოლიტიკურ მოვლენათათვის თვალყურის დევნებისა“ (კ. გამსახურდია, თხზულებათა ათტომეული, ტ. IX, გვ. 539.)

დავითის მეფობის პერიოდში სახელმწიფო მმართველობის სტრუქტურის ოპტიმიზაციის მსგავს პრეცედენტებსაც ვხვდებით; კერძოდ, დავითის გადაწყვეტილებით უზენაესი სასამართლოს საგანგებო დაწესებულება შეიქმნა. ამიტომ ისტორიკოსთა და მწერალთა ვარაუდი იმის თაობაზე, რომ მსტოვართა საქმეების გასაძღოლად დავით მეფემ შექმნა და აამოქმედა სპეციალური დაწესებულება ან სამსახური, სავსებით მისაღებია.

## ვინ ხელმძღვანელობდა ქართველ მსტოვრებს?

საქართველოს ისტორიაში დავით IV ერთ-ერთი ყველაზე მებრძოლი და ენერგიული მეფე იყო. სულ იბრძოდა: ხან თავს იცავდა და ხან იქით უტევდა მტერს; თითქოს სურდა, მოესწრო და საქართვე-

### წიგნის ავტორის შესახებ:




ბესიკ ალადაშვილი დაიბადა 1959 წელს, მიღებული აქვს უმაღლესი ეკონომიკური და იურიდიული განათლება. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. პროფესორი. თითქმის ორი ათეული წელია, ლექციებს კითხულობს უმაღლეს სასწავლებლებში.

მუშაობდა: სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად, სექტორის გამგედ; საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოში (კურირებდა საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხებს); შინაგან საქმეთა სამინისტროში დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ; სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში – დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ. იყო „ქართული არმიის განვითარების ფონდის“ გამგეობის წევრი. სამხედრო წოდება უშიშროების პოლკოვნიკი. დაასრულა აშშ-ის „გფბ“-ს „ორგანიზებულ და საფინანსო დანაშაულთან ბრძოლის“ სემინარ-კურსები.

ეკონომიკის და გეოპოლიტიკის თემებზე გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო და საგაზეთო სტატია.

სპეცსამსახურების ისტორიასა და დღევანდელ პრობლემურ საკითხებზე გამოქვეყნებული აქვს ორმოცდაათზე მეტი სტატია.

**იკითხეთ წიგნის მაღაზიებში!**

**ან დარეკეთ 42-43-40 და მიიღეთ წიგნი სახლში, ფასნამატის გარეშე**

ლო გაერთიანებული, გაფართოებული და გაძლიერებული დაეტოვებინა შთამომავლობისთვის. ბუნებრივია, ლაშქრობებითა და ქვეყნის მართვა-გამგეობით მუდამ დაკავებულ მეფეს ისეთი სერიოზული საქმისთვის, როგორიც მსტოვართა ყოველდღიური ხელმძღვანელობაა, არ ეცლებოდა. სავარაუდოა, რომ ის, როგორც ქვეყნის პირველი პირი, საერთო სტრატეგიას განსაზღვრავდა, ხოლო მსტოვართა ქსელის საქმიანობას მეფის ყველაზე ერთგული და გამოცდილი პირი ხელმძღვანელობდა. თუ გავითვალისწინებთ ქართველი ისტორიკოსების აზრს, რომ „მმართველობის ცენტრალიზაციის მიზნით დავით აღმაშენებელმა ძირითადი უწყებები (საშინაო, ფინანსთა, სამხედრო) გამოყო სხვა დარგებისაგან და ისინი უშუალოდ მეფის ვაზირს, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს დაუქვემდებარა“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, გვ. 221.), მაშინ ბუნებრივია, მსტოვართა გუნდისთვისაც მწიგნობართუხუცესს უნდა ეხელმძღვანელა. იმ პერიოდში „ვაზირებში უპირველესი“ გიორგი ჭყონდიდელი-მწიგნობართუხუცესი იყო, რომელიც დავითის მემატიანის თქმით: იყო „კაცი სრული ყოვლითა სიკეთითა სულისა და ხორცთასა, სავსე სიბრძნითა და გონიერებითა, განმზრახი სვიანი და ფრთხილი... თანაგამკაფველი ყოველთა გზათა და საქმეთა და ღუაწლთა“.

დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება, პატრიოტიზმი და ერთგულება იყო ის ნიშან-თვისებები, რითაც მწიგნობართუხუცესი ყველასგან გამოირჩეოდა. სავარაუდოდ, ამიტომაც მიანდო დავით მეფემ მას საკმაოდ დელიკატური მისია — მსტოვართა ქსელის ორგანიზება და ხელმძღვანელობა.

თანდათანობით მწიგნობართუხუცესმა შეძლო მსტოვრების ერთგული გუნდის შექმნა და პრობლემურ სფეროებში — დიდგვაროვნებში, ლაშქარში, ეკლესია-მონასტრებში, ვაჭრებში და ა.შ. ჩანერგვა. ერთგული მზვერავები გაიგზავნა მეზობელ ქვეყნებშიც, რათა იქ მიმდინარე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროცესები (ხელისუფლების სიძლიერე თუ სისუსტე, განწყობა ლაშქარში, ფორტიფიკაციებისა და გზების მდგომარეობა, ვაჭრობის განვითარება და ა.შ) დროულად ყოფილიყო ცნობილი. მიღებული ინფორმაციის პირველადი ანალიზი და საპასუხო მოქმედებათა დასახვაც მწიგნობართუხუცესს ევალებოდა. ჩანს, დაუღალავმა შრომამ შედეგი გამოიღო. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის (მაშასადამე, მსტოვრებისაც) უშუალო მონაწილეობით დავით მეფემ შეძლო ურჩი დიდებულების დასჯა, საეკლესიო რეფორმების გატარება, მრავალი ბრძოლის მოგება და ქვეყანაში წესრიგის დამყარება. მემატიანის მონათხრობიდან ირკვევა, რომ ხშირად პირველი ვეზირი პირადად გეგმავდა და მონაწილეობდა სპეცოპერაციებში. ასე იყო, მაგალითად, სამშვილდის ციხის „მოპარვის“ დროს.

წარმოგიდგენთ დავით IV-ის ზეობისას მსტოვართა ქსელის ორგანიზაციული სქემის, სავარაუდო ვარიანტს. იხ. სქემა 1.

## დავით აღმაშენებლის აღმოსავლელი მასწავლებლები

თექვსმეტი წლის ყმაწვილს იმდენი ცხოვრებისეული გამოცდილება ნამდვილად არ ექნებოდა, რომ მარტო, სხვათა რჩევა-დარიგების გარეშე გადაეწყვიტა ის ურთულესი საკითხები, რაც მსტოვრობის ორგანიზებასთან იყო დაკავშირებული. როგორც მე-11 საუკუნის დამლევის (კერძოდ კი, 1089-1097 წლებში) ისტორიული ფაქტები ადასტურებს, მსტოვრობის საქმეში არც გიორგი მწიგნობართუხუცესი ყოფილა თავიდან ღრმად ჩახედული.

დავითის ეპოქის შესწავლისას ქართველ მეცნიერებს რატომღაც არ უკითხავთ: დავითმა, რომელმაც ქვეყანა ძალზე მძიმე მდგომარეობაში ჩაიბარა, როგორ შეძლო ურთულესი საქმის წამოწყება და დაგვირგვინება? რამდენად იყენებდა ის მეზობელი ქვეყნების გამოცდილებას? მეტიც, კომუნისტური მმართველობის პერიოდში გამოცემულ ისტორიის სახელმძღვანელოებში, დავითის მიერ შექმნილი მსტოვარ-ჯაშუშთა მწყობრი სისტემის მნიშვნელობის დაკნინების მიზნით, მათ მოქმედებას „საპოლიციო აპარატის გაძლიერებას“ უწოდებდნენ. ასეა იყო, მაგალითად, ს. ჯანაშიასა და ნ. ბერძენიშვილის მიერ გასული საუკუნის 40-იან წლებში შედგენილ „საქართველოს ისტორიის პროგრამაში“. სად საპოლიციო აპარატი და სად მზვერავ-მსტოვრები? მაგრამ ამგვარი თავის დაზღვევის ფაქტები საბჭოთა დიქტატურის გაფურჩქვნის ხანაში იშვიათი არ იყო და დღეს სავსებით გასაგებია.

თუ გავითვალისწინებთ, რომ მანამდე ქართველი მეფეები დიდად არ იწუხებდნენ თავს ამ საკითხებით, უეჭველია მსტოვარ-მზვერავთა ყოვლისმომცველი ქსელის აუცილებლობა და მნიშვნელობა დავით მეფეს უახლოესი მტერ-მეტოქეებისგან და მეზობლებისგან: თურქ-სელჯუკების ან ბიზანტიელებისგან უნდა შეემეცნებინა. როცა მსტოვრობის თემას ეხება, ივანე ჯავახიშვილი წერს: „ამგვარი წესი ბიზანტიაშიც და სპარსეთშიც იყო მიღებული და მელიქ-შაჰის სახელგანთქმული ვეზირი ნიზამ-ულ-მულკი თვითოეულ ხელმწიფეს ურჩევდა, ჯაშუშები უეჭველად ჰყოლოდა“ (ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, გვ. 212).

დიდ მეცნიერს არ უცდია ამ შედარებას გასცდენოდა და უფრო ღრმა პარალელები მოეძია, ერთი მხრივ, დავითის პერიოდის საქართველოში და, მეორე მხრივ, ბიზანტიასა და სპარსეთში მსტოვრობის საქმის ორგანიზების კუთხით. ეს ბუნებრივი და გასაგებია — ის იმდენად იყო გადატვირთული სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობით, რომ ყველა თემის ღრმად შესწავლას ვერ შეძლებდა.

მე-11 საუკუნეში ბიზანტიის იმპერია საკმაოდ მძიმე დღეში იყო და მისაბაძ მაგალითად, მით უფრო მსტოვრობის საქმეში, ნამდვილად არ გამოდგებოდა. ჩვენი ვარაუდით, დავით აღმაშენებელს „მსტოვრობის



სქემა 1.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელოვნება“ სელჯუკიანთა სულთნებისგან და ვეზირებისგან უნდა ესწავლა.

მე-11-12 საუკუნეებში ისლამურ სამყაროში ორი დიდი მმართველი მოღვაწეობდა, რომლებიც შეიძლება თანამედროვე შპიონაჟის ფუძემდებლადაც კი მივიჩნიოთ.

მე-10 საუკუნის მეორე ნახევარში თურქ-სელჯუკთა ხალიფატი, ფაქტობრივად, დაიშალა და ჩამოყალიბდა ცალკე მმართველობები, რომლებიც ბაღდადის ხალიფას ნომინალურად ემორჩილებოდნენ. იმპერიის ერთ-ერთ ასეთ „ნატეხს“ – დასავლეთ ირანს – ბუიდების დინასტია აკონტროლებდა. ამ დინასტიის ყველაზე გამოჩენილმა წევრმა, სულთანმა ადუდ ად-დაულამ (გარდაიცვალა 982 წელს) შეძლო, თავისი სამფლობელო კასპიის ზღვიდან ომანამდე გაეფართოებინა და თან ისე განავითარა შპიონაჟი, რომ არაბი ისტორიკოს იბნ ალ-ჯაუზის ცნობით, ეგვიპტეში გადაჩურჩულება ბაღდადში ესმოდა და „ხალხი თავის ცოლებსა და მონებთან ერიდებოდა ღიად საუბარსო“ (ქრისტიან ადამ მეცი, „მუსლიმანური რენესანსი“, მ. 1966წ.; გვ. 32).

სულთანი სახელმწიფო მმართველობაში სიახლეების შემოტანით გამოირჩეოდა. მსტოვრობის ყოვლისმომცველი ქსელის შექმნის გარდა, ვეზირად დანიშნა ქრისტიანი (ნასრ იბნ ჰარუნი), სახელმწიფო სტრუქტურებიდან დათხოვნილ ჩინოვნიკებს ხელფასს უნიშნავდა, ხოლო კვლავ სამსახურში ჩადგომის შემდეგ გადახდილ თანხას ხელფასიდან უქვითავდა; განაახლა სპილოების ბრძოლებში გამოყვანა, შექმნა იმ დროისათვის უმდიდრესი ბიბლიოთეკა, აფინანსებდა მეცნიერებს, მწერლებსა და პოეტებს. მეცნიერებისა და წიგნის დიდი თაყვანისმცემელი, ყოველი წაკითხული წიგნის შემდეგ უხვად ასაჩუქრებდა ლატაკებს. იმ პერიოდის არაბი და სპარსი ისტორიკოსები (იბნ ალ-ქუთია, იბნ-მასკავეიჰი და სხვ.) დაწვრილებით აღწერდენ ად-დაულის წარმატებებს სახელმწიფო მმართველობაში (მათ შორის, მსტოვრობის ორგანიზებაში). გარდა ამისა, მსტოვრობის თეორიისა და პრაქტიკის დიდ მცოდნეს, ნიზამი ალ-მულკს თავის თხზულებაში „სისაეტ-ნამე“, ად-დაულის მიერ მსტოვრობის ფართო და გამართული ქსელის ორგანიზების რამდენიმე თვალსაჩინო მაგალითი აქვს მოყვანილი.

შპიონაჟის თეორეტიკოსი და ხელმძღვანელი, სელჯუკიანთა მეორე მმართველი, რომლის თხზულებითაც, შესაძლოა, დავით მეფეს ესარგებლა და მსტოვრების ფართო ქსელი შეექმნა, სელჯუკიანთა სულთნების უცვლელი ვეზირი ნიზამი ალ-მულკი (1018-1092 წწ.) იყო.

ნიზამი ალ-მულკის ნამდვილი სახელი ჰასან იბნ-ალია. დაიბადა ხორასანში, 1018 წელს. ახალგაზრდობიდანვე მსახურობდა სულთნების: თოღრულ-ბეგის (1038-1063), ალფ-არსლანის (1063-1072) და მალიქ-შაჰის (1072-1092) კარზე; მონაწილეობდა ქართველი მეფეების წინააღმდეგ ომებში. ალფ-არსლანისა და მალიქ-შაჰის დროს პირველი ვეზირის პოსტი ეკავა და განაგებდა ყველა მნიშვნელოვან სფეროს, მათ შორის, შპიონაჟსაც. მალიქ-შაჰის დავალებით დაწერა ტრაქტატი „სიასეტ ნამე“ – „წიგნი XI საუკუნის ვეზირის მმართველობის შესახებ“. ნიზამი ალ-მულკი 1092 წელს მოკლეს. როგორც მკვლევრები (მაგ. ჰაჯი-ჰალფი, „ბიბლიოგრაფიული ენციკლოპედიის“ შემდგენელი მე-17 საუკუნეში) ფიქრობენ, წიგნი დაწერილია 1076-77 ან 1091-92 წლებში. მაინც რისი სწავლა შეეძლო დავით მეფეს ამ თხზულებიდან?

## „სიასეტ-ნამე“ – ტრაქტატი მსტოვრობის თეორიაზე

თავის თხზულებაში ნიზამი იძლევა სახელმწიფოს მართვის საკუთარ ხედვას და აძლევს კონკრეტულ რჩევებს მმართველს. ერთ-ერთი რჩევაა ცენტრალიზებული მართვის აპარატის, პირადი გვარდიისა და მსტოვართა ფართო ქსელის შექმნა.

ის ურჩევდა სულთანს, მსტოვრები („აინი“, ანუ „თვალები“) მიეჩინა ვეზირებისთვის, სასულიერო პირებისთვის, მხედართმთავრებისთვის, გადასახადის ამკრეფთათვის და ფაქტობრივად, ყველა ხელქვეითისთვის; გამოერკვიათ ჯარისა და ხალხის განწყობა – შეექმნა ყოვლისმომცველი შიდაპოლიტიკური დაზვერვა. გარდა ამისა, მსტოვრები უნდა გაეგზავნათ სხვა ქვეყნებში – ვითომ ვაჭრები, მოგზაურები და ექიმები იყვნენ. ნიზამი ურჩევს სულთანს, აუცილებლად იყოლიოს საჰიბ-ჰაბარი – იგივე ინფორმაციის მინისტრი, და საჰიბ-ბერიდი – საკურიერო სამსახურის უფროსი. ისინი უნდა ყოფილიყვნენ სულთნის სპეცსამსახურის ოფიციალური აგენტ-თანამშრომლები. ნიზამის აზრით, განსაკუთრებით საჰიბ-ჰაბარი პოსტი იყო მნიშვნელოვანი, რაც სასულთნოს არსებობის საფუძველს წარმოადგენდა.

ტრაქტატში ნიზამი საინფორმაციო-აგენტურული საქმიანობისთვის კადრების შერჩევასაც დიდ ყურადღებას უთმობს. ისინი უნდა ყოფილიყვნენ მორწმუნენი, გამოცდილნი და პატიოსანი. მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა ელჩებს, რომლებსაც სხვა ქვეყნებში უნდა შეეგროვებინათ მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია ჯარის რაოდენობაზე, შეიარაღებაზე, პოლიტიკურ ინტრიგებზე, ხელმწიფე-მმართველის კარზე ძალთა თანაფარდობაზე, წოდებრივ განსხვავებებზე, ცალკეული სახელმწიფო მოხელეების შესახებ არსებულ კომპრომატებზე და ა.შ. „მმართველის ძლიერი გონება ძლიერ ჯარზე უკეთესია“, – მოძღვრავდა დიდი ვეზირი ყველას.

ნიზამი ალ-მულკის ტრაქტატი, ფაქტობრივად, შპიონაჟის მზა ინსტრუქცია იყო და მის საფუძველზე დავით აღმაშენებელს აღარ გაუჭირდებოდა მზვერავ-მსტოვართა ძლიერი ქსელის შექმნა.

დასასრულ, ნიზამის იმ სიტყვებს მოვიყვანთ, რომელიც დღესაც აქტუალურია:

„მეფეს არ ეპატიება ოთხი ყველაზე მძიმე შეცდომის დაშვება: სახელმწიფო ღალატი, ქვეშევრდომების მიერ მეფის ჰარამხანის ხელყოფა, საიდუმლოების გაცემა და მოღალატეების გვერდით ყოლა“.

შესაძლებელია თუ არა, რომ არაბ და სპარს ისტორიკოსთა ეს თხზულებები დავით IV-ის ან რომელიმე მისი უახლოესი მრჩევლის (თუნდაც გიორგი მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდლის) ხელში აღმოჩენილიყო? სავსებით რეალურია. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „დავით აღმაშენებელს საუცხოოდ შესწავლილი ჰქონია მარტო ქართული მწერლობა კი არა, არამედ მაჰმადიან მეცნიერთა და პოეტების თხზულებებიც“ (ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, გვ. 211) და „მეზობელი ერების ენები, არაბული და სპარსულიც საფუძვლიანად იცოდა“ (იქვე, გვ. 359), ეს ვარაუდი ჭეშმარიტებასთან ახლოს უნდა იყოს. მეტიც, დავით მეფის მემატიანის ნათქვამი, დავითის დროს მსტოვართა შიშით მეუღლესაც ვერ უმხელდნენ საიდუმლოსო („ორგულებასა და ზაკვასა და ღალატსა რასამე ვერვინ დიდთა ანუ მცირეთაგანი იკადრებდა მოგონებადაცა, არა თუ თქმად ვისდა, არცა თუ მეუღლესა და ცხედრეულსა თვისსა თანა“; „ცხორება მეფეთ-მეფისა დავითისი“), აზრობრივად ძალზე ახლოსაა არაბი ისტორიკოსის იბნ ალ-ჯაუზის ზემოთ მოყვანილ ციტატასთან. მიუხედავად იმისა, რომ ეს ისტორიკოსი 1186-1257 წლებში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, თავის კომპილაციური ხასიათის თხზულებებში ის უმთავრესად წინა პერიოდის (მათ შორის, ად-დაულის და ნიზამი ალ-მულკის თანამედროვე) ისტორიკოსების თხზულებებს ეყრდნობოდა. სწორედ მათგან უნდა იყოს აღებული ისტორიული ცნობები სულთან ადუდ ად-დაულის შესახებ. თავის მხრივ, დავითის მემატიანის მიერ ზემოთ მოყვანილი შედარებები და სპეციფიკური პარალელები შემთხვევითი არ უნდა იყოს. ჩანს, რომ დავითის უახლოესი გარემოცვა კარგად იცნობდა და პრაქტიკულადაც იყენებდა X-XI საუკუნეების უცხოელი ისტორიკოსების ნაშრომებს.

ამასთან, არ არის გამორიცხული, რომ დავით მეფის გარემოცვაში ყოფილიყვნენ პირები, რომლებიც კარგად იცნობდნენ სელჯუკების მსტოვართა ქსელს და მოწინააღმდეგის გამოცდილება საქართველოშიც გადმოეტანათ.

**ბესიკ ალადაშვილი**



# ცალთვალა მხედართმთავრები

ქართული ანდაზა გვმოძღვრავს: „თვალით ბრმა სჯობია გონებით ბრმასაო“, ანუ — ჩინნაკლულობა დასაძრახი არ არის კაცისათვის, თუკი... ასე ყოფილა სამხედრო ცხოვრებაშიც — მხედართმთავარსა თუ მეომარს ცუდი მხედველობა თურმე სულაც არ აფრთხობს და არ აფერხებს, თუკი იგი გონიერი, ნიჭიერი და მამაცია...

„არსენალის“ ერთგული მკითხველი როგორ ფიქრობს, — რა საერთო ნიშნით შეიძლება ერთმანეთის გვერდით ეპოქალურად რადიკალურად დაშორებულ დროში მოღვაწე ცნობილ ადამიანთა — ჰანიბალის, კუტუზოვის, დაიანის მოხსენიება? ..თქვენ გამოიცანით: ისინი ცალთვალანი ბრძანდებოდნენ. ცხადია, მათი მსგავსნი სხვებიც იყვნენ...

## ჰანიბალი

**კართაგენელი მხედართმთავარი (ძვ.წ. აღ-ის დაახლოებით 247-183წ.წ.)**

კართაგენელი მხედართმთავარი ჰამილკარ ბარკა (მეტსახელად „ელვა“ — არცა) კართაგენის ფლოტს სარდლობდა სიცილიაში, სადაც მისი ფლოტი რომაელებთან ბრძოლაში დამარცხდა ეგადის კუნძულებთან. მარცხნაგემებმა სარდალმა, მართალია, ზავი დადო რომთან, მაგრამ დამარცხების სიმწარე არ ასვენებდა... მოგვიანებით, ესპანეთში ლაშქრობისას, მან თან იახლა ორი უალოეს ნათესავი — სიძე და ძმა, ორივე სეხნია, სახელად ჰასდრუბალი (პირველმა ახალი კართაგენი დააარსა (ახლანდელი კარტახენა) და გარდაიცვალა 221 წელს; მეორეც იბრძოდა ესპანეთში, გადალახა პირენები და ალპები, რათა დახმარებოდა თავისიანებს იტალიაში, მაგრამ მდინარე მეტავსუსთან ბრძოლაში დაიღუპა 207 წელს).

ჰამილკარმა ლაშქრობაში არ იახლა, მაგრამ წასვლის წინ (წავიდა და დაიპყრო კიდეც ესპანეთის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი, თუმცა ჰელისკასთან ბრძოლაში დაიღუპა კიდეც) საკურთხეველთან მიიყვანა თავისი 9 წლის ვაჟი ჰანიბალი და დააფიცა, რომ სიკვდილამდე რომაელების დაუძინებელი მტერი იქნებოდა.

გაიზარდა ბიჭი და მამასავით ცნობილი მხედართმთავარი დადგა. ამასთან, მამის ფიცის ერთგული გამოდგა და მერე როგორი!

მან წამოიწყო მეორე პუნიკური ომი; 50 ათასი კაცითა და 40 საბრძოლო სპილოთი გადალახა ალპები და დანაკარგების, ავდრობისა და მთიელი ტომების მტრობის მიუხედავად, მისმა კარგად გაწვრთნილმა ჯარმა ბრძოლისათვის მოუმზადებელი რომაელები შინვე, ტიცინსა და ტრებიაში დაამარცხა (218 წ.) და დაიკავა იტალიის ჩრდილოეთი.

და მაინც, რომაელთა წინააღმდეგობა საბოლოოდ ვერ გატეხა, დაბრუნდა აფრიკაში, სადაც ზამასთან ბრძოლაში (202) რომაელებთან დამარცხდა.

რომთან დადებული ხელშეკრულებით მართავდა კართაგენს, მაგრამ მერე სირიის მეფესთან გაიქცა და ანტიოქე III-ის სამხედრო მრჩეველი გახდა. ერთ მშვენიერ დღეს ანტიოქეც დამარცხდა და გამარჯვებულმა რომაელებმა მრჩევლის თავი მოსთხოვეს. ისევ გაიქცა და არმენიას შეაფარა თავი, მერე კრეტაზე გადავიდა, იქიდან — ბითინიაში. რომაელებმა ახლა ბითინიელებს მოსთხოვეს ლტოლვილის გადაცემა. რაკი ყველა გზა მოჭრილი ჰქონდა, ჰანიბალმა რომაელთა ხელში ჩავარდნას სიცოცხლის საკუთარი ნებით მოშთობა ამჯობინა — საწამლავი დალია (სხვათა შორის, აქედან იღებს სათავეს ხატოვანი გამოთქმა — „ჰანიბალის ფიცი“).

ჰანიბალი წლობით იბრძოდა სამშობლოდან მოშორებით და რომაელებთან დამარცხების მიუხედავად, სამხედრო ხელოვნების ისტორიაში მაინც მნიშვნელოვანი კვალი დატოვა როგორც ნიჭიერმა მხედართმთავარმა. ის მუდამ ჯარისკაცებთან ერთად ინაწილებდა ომის სიძნელეებს, ხოლო ძვ. წ. აღ.-ის 217 წელს ინფექციის შედეგად ცალ თვალში სამუდამოდ დაეკარგა მხედველობა. თვითონ რომაელი მექრონიკენი აღიარებენ, რომ „ჰანიბალი არასოდეს უბრძანებდა ვინმეს იმის გაკეთებას, რასაც თვითონ ვერ შეძლებდა ან არ მოისურვებდა“.

დასანანია, რომ არ შემორჩენილა კართაგენული წერილობითი წყაროები, სადაც რაიმე მაინც იქნებოდა ნათქვამი ჰანიბალის ცხოვრებაზე. სამაგიეროდ, ჰანიბალს ხშირად იხსენიებენ რომაელი ისტორიკოსები და მწერლები, რომელთაც თავიანთი ვერაგი და დაუძინებელი მტერი სძულდათ, მისი ეშინოდათ და თან, პატივსაც სცემდნენ.

ჰანიბალს ხშირად მოიხსენიებენ

ჰანიბალი



ფრენსის დრეიკი



მიხაილ კუტუზოვი



ჰორაციო ნელსონი



ეროვნული ბიბლიოთეკა

„სამხედრო სტრატეგიის მამის“ სახელით. მისი სტრატეგიისათვის იყო დამახასიათებელი:

ჯარის ხანგრძლივი გადასვლების კარგი ორგანიზება; ჯარის მოძრაობის გზაზე და დაპყრობილ ტერიტორიაზე ძირითადი და დროებითი ბაზების შექმნა, რითაც იმაგრებდა ზურგს და წლების განმავლობაში ჯარის დამოკიდებულება კართაგენზე მინიმუმამდე დაჰყავდა; კარგად მომზადებული დაზვერვა და მომავალი საომარი მოქმედების თეატრის გულდასმით შესწავლა; მოწინააღმდეგის ტაქტიკის საფუძვლიანი გაცნობა და ბრძოლისათვის წინასწარი მზადება. მისი მხედართმთავრული ნიჭი სავსებით გამოვლინდა კანის ბრძოლაში (ძვ. წ. აღ-ის 216 წელი, აგვისტო), რომელიც საომარი ტაქტიკის ახალ ეტაპს წარმოადგენდა. ამ ბრძოლაში მან პირველად ისარგებლა კავალერიის მობილური ძალებით, პირველად გამოიყენა ერთდროული დარტყმა ორივე ფლანგზე.

## ფრენსის დრეიკი

**(1540-96 წ.წ.) — ინგლისელი ზღვაოსანი, ვიცე-ადმირალი**

ისტორიკოსმა და ჟურნალისტმა მიხეილ ხურცილავამ, რომელმაც სერიაზე მუშაობისას არაერთი სასარგებლო ინფორმაცია მოგვაწოდა, ფრენსის დრეიკის ცხოვრების ფრიად საინტერესო ფაქტი გაიხსენა: ინგლისის დედოფალმა ელისაბედმა ერთხელ სასახლის კარზე უხმო თავზეხელაღებულ მეკობრეს. ისიც ეახლა (მერე ხშირად სტუმრობდა, რათა ახალ-ახალი ლაშქრობების ნებართვა გამოეთხოვა), მაგრამ თავისი გარეგნული ნაკლისა მორიდებია და გუგადაშრეტილი ნათვალარი რომ დაეფარა, ხელი მაღლა აუწევია და ასე სანახევროდ დაუფარავს საფეთქელ-ლოყიანად... ზოგიერთი ცნობით დედოფლის კითხვაზე, რას ნიშნავდა ეს ჟესტი, მან მოხერხებულად უპასუხა: „თქვენმა ბრწყინვალებამ დამაბრმავაო...“. ერთი სიტყვით, ეს ჟესტი მისალმების დასტურად მიუჩნევიათ დედოფალთან აუდიენციაზე მყოფებს და მალე თვითონაც მიუბაძავთ ბრმად თუ შეგნებულად, მაგრამ ფაქტია, რომ დრეიკისეული ხელის მოძრაობა მას შემდეგ დაკანონებულა როგორც სამხედრო პირთა ურთიერთმისალმების გამომხატველი ნიშანი...

ულიამ ჩარლზ ბერესფორდი



ვინ იყო დრეიკი, რომლის სახელი ამჟამად ყველა რუკაზეა დატანილი (დრეიკის სრუტე აკავშირებს ატლანტისა და წყნარ ოკეანეებს და ყველაზე განიერი სრუტეა დედამიწაზე – 900-950 კმ).

...დევონშირის საგრაფოში დაბადებული ფრენსისი ყმაწვილობაშივე გაუშინაურდა ზღვას. 25 წლისას უკვე მონები გადაჰყავდა გვინეასა და სამხრეთ ამერიკაში, ჯონ ჰაუკინსის სამეკობრეო ექსპედიციაში ხომალდ „ჯუდიტს“ მეთაურობდა და სისხლს უშრობდა ესპანელ მონათმოვაჭრებს... დიახ, მე-16 საუკუნეში ინგლის-ესპანეთის ბრძოლის აქტიური მონაწილის სახელი ზღვაოსნობის ისტორიაში უფრო იმით შევიდა, რომ 1577-80 წლებში დედამიწას ირგვლივ მეორედ (მაგელანის ექსპედიციის შემდეგ) შემოუარა, ხოლო 1588-ში, ესპანეთის „დაუმარცხებელი არმადის“ სრული განადგურებისას, ფაქტობრივად, ინგლისის ფლოტს მეთაურობდა.

...ნიშანდობლივია დრეიკის სიკვდილიც: იგი ეკიპაჟთან ერთად დაავადდა გემზე. ცნობილი ზღვაოსნის ცხედარი თუთიის კუბოთი ჩაუშვეს სრუტეში, რომელიც ჯერ კიდევ 28 წლისამ პირველმა გაცურა ამერიკის სამხრეთიდან შემოვლისას, და მისივე საზღვაო დამსახურებათა აღიარების დასტურად ზედაც რამდენიმე საგანგებოდ ჩაძირული გემი მიასამარეს.

## ჰორაციო ნელსონი

**(ბრიტანელი ადმირალი (1758.29.IX. — 1805.21.X.)**

ჩვენთვის საჭირო ნიუანსზე (იგულისხმება მხედველობის ორგანოს დაზიანება) ლაპარაკია ვიცე-ადმირალ ნელსონის ყველაზე მოკლე (შვიდსტრიქონიან) ბიოგრაფიაში, რომელიც შესულია „100 უდიდესი ბრძოლის“ წიგნში მოხსენიებული ცნობილი სამხედრო მოღვაწეების ბიოგრაფიულ ცნობარში:

„ნელსონი ( ელსონ) ჰორაციო (1758-1805), ინგლისელი ვიცე-ადმირალი (1801), ლორდი, ვიკონტი; დაიბადა მღვდლის ოჯახში; 12 წლისა ჩადგა საფლოტო სამსახურში. კალვის (კუნძული კორსიკა) ბრძოლაში (1794) დაკარგა მარჯვენა თვალი; სენტვისენტეს შეტაკებაში (1797) აბორდაჟზე აიყვანა ესპანელთა 2 ხომალდი, მიენიჭა კონტრადმირალობა... მეთაურობდა ფლოტს ტრაფალგარის ბრძოლაში (1805), სადაც სასიკვდილოდ დაიჭრა“.

...ყველა ბრძოლაში ნელსონი დიდ სიმამაცეს ავლენდა და ჯიქურ უტევდა, ხელჩართულ შეტაკებებშიც ხშირად პირადად ერთვებოდა. ცნობილია სტრიქონები მისი წერილიდან, რაც მის კრედოდ შეიძლება მივიჩნიოთ:

„ჩვენ ათი იალქნოსანი რომ დაგვეტყვევებინა და მხოლოდ ერთი, მეთერთმეტე, გაგვსხლტომოდა, თუმცა მისი გამოჭერის იოტისოდენა შანსი არსებულიყო, აი, მაშინაც კი ვერ ვიტყოდით, რომ წარმატებას მივაღწიეთ“.

...არცთუ ხანგრძლივი სიცოცხლის (დაიღუპა 47 წელს ოდნავ გადაცილებული) განმავლობაში ვის აღარ შეებრძოლა (თვით ნაპოლეონსაც კი), სად აღარ გადაისროლა (ამერიკის სანაპიროებზე თუ ვესტ-ინდოეთში) ბედმა, რომელი ჯილდო და ტიტული აღარ უბოძეს (ბრიტანეთის ეროვნული გმირი მეფე ფერდინანდმა საგანგებოდ მისთვის დამზადებული წმინდა ფერდინანდის დიდი ოქროს ვარსკვლავით დააჯილდოვა; აბუქირის ბრძოლაში გამარჯვებისათვის კი ინგლისის პერი სამუდამო პენსიას იღებდა) და სიყვარულისთვისაც ხარკი გაიღო. მისი ჯანის სიმრთელესა და სულის სიმტკიცეს ჭაბუკობიდანვე საბედისწეროდ ცდიდა სხვადასხვა დაავადება თუ ჭრილობები, აქეთ – ციებ-ცხელებაო, იქით – იარები სახეზე, ბოლოს – ჯერ მარჯვენა თვალი დაკარგა და მერე კი – ხელი...

მხედველობა 36 წლის ასაკში დაუზიანდა და, თანაც, უცნაურად: ადმირალ ჰუდის მითითებით ხმელთაშუა ზღვაში ტულონს იცავდა, კორსიკას უტევდა... 1794 წლის ზაფხულში კალვის ალყაში მონაწილეობდა და დესანტის გადასხმისას ქვის ნამსხვრევმა თვალის გუგა ამოუგდო. დანთხეული სისხლის (თუ ცრემლის) წილ კი არათუ ჯილდოთი წაახალისეს, დაჭრილთა სიაშიც კი არ შეიყვანეს... პარადოქსია, მაშ რა!

(ჩვენ წერილის მე-2 აბზაცში, სხეულდასახიჩრებული, მაგრამ მუდამ ჯანგაუტეხელი და საბრძოლოდ შემართული ვიცე-ადმირალის ბიოგრაფიაში მარტო ერთი მინიშნება გამოვტოვეთ: „...სანტა-კრუსის ბრძოლაში (1797) მძიმე ჭრილობის შედეგად დაკარგა მარჯვენა ხელი“... ასე რომ, ჰორაციო ნელსონს მაშინაც გავიხსენებთ, როცა „არსენალის“ მკითხველებს მოვუთხრობთ ბედის განგებით ცალხელებად ქმნილ მხედართმთავრებზე, გენერლებზე, ადმირალებზე...).

## უილიამ ჩარლზ ბერესფორდი

**ბრიტანელი გენერალ-ფელდმარშალი, პორტუგალიის ჯარების მარშალი (1768.2.X. — 1854.8.I.)**

ორი ქვეყნის მსახური გენერალი, წარმოშობით ირლანდიელი, ჰერცოგ ვატერფორდის უკანონო შვილი იყო. სამხედრო სამსახურში 17 წლისა ჩადგა; იბრძოდა ინდოეთსა და ეგვიპტეში, სამხრეთ აფრიკაში –

კეთილი იმედის კონცხის აღებისას; 1807 წელს სათავეში ჩაუდგა ჩრდილოეთ ამერიკაში სადამსჯელო ექსპედიციას — აიღო არგენტინის დედაქალაქი ბუენოს-აირესი, რაც ცალი თვალის დაკარგვის ფასად დაუჯდა. მეტიც, ადგილობრივი მოსახლეობა აჯანყდა, ინგლისის ჯარი გააძევა, ბერესფორდი კი დაატყვევა. უილიამი კერკეტი კაკალი გამოდგა, რამდენიმეთვიან ტყვეობაში გაქცევის ჭკვიანური გეგმა შეიმუშავა და განახორციელა კიდეც... ამის შემდეგ ცალთვალამ სად აღარ იხეტიალა, სად აღარ იბრძოლა (ალბუერის ბრძოლაში მარშალი სულტი დაამარცხა, ვიტორიისა და ტულუზის ბრძოლებში ჰერცოგ ველინგტონს წაახმარა ხელი, რისთვისაც ბარონის ტიტული მიიღო, სალამანის ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა...), ბოლოს პორტუგალიის ფაქტობრივი მმართველიც გახდა (რომლის მეფე ბრაზილიას აფარებდა თავს) და მისი ჯარების გენერალისიმუსიც. მერე ისევ ოკეანის გაღმა აღმოჩნდა — რიო-დე-ჟანეიროში აჯანყება ჩააქრო. იქიდან მობრუნებული პორტუგალიაში აღარ შეუშვეს და ისევ ინგლისს შეაფარა თავი. იქ კვლავ ჩაბრძანდა ახალგაზრდობაში ნაბოძებ ლორდთა პალატის სავარძელში და სხდომათა შორის შესვენებისას პამფლეტების წერამ გაიტაცა. თქვენ წარმოიდგინეთ, ბებრუხანა ციკლოპი სიყვარულის მორევშიც გადაეშვა და ნათესავ ქალწულზე დაიწერა ჯვარი. ოღონდ, ახლა უკვე აღარც ბრძოლები ახსოვდა და აღარც პოლიტიკა, — ლორდის, პერის, ჰერცოგისა და მარკიზის ტიტულებს სჯერდებოდა.

## მიხეილ კუტუზოვი

**რუსი მხედართმთავარი**
**(1745.16.IX. — 1813.26.IV.)**

„არსენალის“ მკითხველისათვის რუსი გენერალ-ფელდმარშლისა და მხედართმთავრის ვინაობა ყველაზე ცნობილია იმ პირთაგან, ვინც კი „ცალთვალიანთა“ სერიაშია შეტანილი...

დიდი მასწავლებლის, ალექსანდრე სუვოროვის, ნიჭიერმა მოწაფემ არაერთ ბრძოლასა და ლაშქრობაში ისახელა თავი და გაიარა ის საბრძოლო გზა, რომლის ბოლოსაც უნდა გაებრწყინა მის მხედართმთავრულ ტალანტს და უზრუნველეყო კუტუზოვისეული სტრატეგიული გამარჯვება ბოროდინოს ბრძოლაში და საბოლოოდ, ნაპოლეონის არმიის გამანადგურებელი მარცხი.

...მანამდე კი, სანამ იქნებოდა ოჩაკოვის (1788) და იზმაილის ალყა (1790), მაჩინის ბრძოლა (1791), კონსტანტინოპოლში საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩობა (1793), პეტერბურგის სამხედრო გუბერნატორობა (1801-02) და სხვა მნიშვნელოვანი არმიული და ცხოვრებისეული თავგადასავლები, იყო



**მოშე დაიანი არიელ შარონთან ერთად**

ის საბედისწერო ბრძოლა ალუშტასა და შუმისთან (ყირიმის სამხრეთ ნაწილში), რომელშიც სამუდამოდ დასახიჩრდა გენერალ მუსინ-პუშკინის ყირიმული რაზმის გრენადერთა ბატალიონის მეთაური, 30 წლის ვიცე-პოლკოვნიკი მიხეილ კუტუზოვი.

აი, როგორ აღწერს რუსი ისტორიკოსი, აკადემიკოსი და გენერალ-ლეიტენანტი ჟილინი ამ ეპიზოდს ნაპოლეონის მძლეველი რუსი გენერალ-ფელდმარშლის ცხოვრებისა და მხედართმთავრული მოღვაწეობისადმი მიძღვნილ წიგნში „კუტუზოვი“ (გვ. 25):

„ყირიმის არმიის მთავარსარდლის გენერალ-ანშეფ ვ. მ. დოლგორუკოვის შეფასებით, „პოდპოლკოვნიკმა გოლენიშჩევ-კუტუზოვმა იმდენად სრულყო თავისი გრენადერთა ბატალიონი, რომელიც ახალბედა ჭაბუკებისგან შედგებოდა, რომ მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში აღემატებოდა თვით ძველ ჯარისკაცებსაც“. შეტაკებისას კუტუზოვი მძიმედ დაიჭრა. მარცხენა საფეთქელში მოხვედრილი ტყვია მარჯვენა თვალიდან გამოუვიდა. როგორც დოლგორუკოვის პატაკშია ნათქვამი: „ამ შტაბის ოფიცერმა მიიღო ჭრილობა ტყვიით, რომელიც, მოხვდა რა თვალსა და საფეთქლს შორის, გამოვიდა სახის მეორე მხარეს“. ამ ბრძოლისა და კუტუზოვის დაჭრის სამახსოვროდ ალუშტას ახლოს, სიმფეროპოლისაკენ მიმავალ გზაზე, აღმართულია მემორიალური დაფა.

ექიმებმა ჭრილობა სასიკვდილოდ მიიჩნიეს, მაგრამ კუტუზოვი გადარჩა. იგი ჩავიდა პეტერბურგში და მალე, ავადმყოფობის გამო, შვებულებით გაემგზავრა სამკურნალოდ...

მიხეილ კუტუზოვმა ერთ წელზე მეტი დაჰყო საზღვარგარეთ. მოიარა გერმანია, ინგლისი და ავსტრია, სადაც არა მარტო მკურნალობდა, არამედ ყურადღებით ეცნობოდა დასავლეთ ევროპის არმიათა სამხედრო ხელოვნებას. შეხვდა პრუსიის მეფე ფრიდრიხ II-სა და სახელგანთქმულ ავსტრიელ მხედართმთავარსა და სამხედრო თეორეტიკოს გენერალ ლასის... ფრიდრიხ II განცვიფრებული დარჩა, როდესაც ასეთი მძიმე ჭრილობის შემდეგ კუტუზოვი ცოცხალი იხილა“.

## მოშე დაიანი

**ისრაელელი გენერალი**
**(1915-1981)**

ისრაელის სახელმწიფოში ყველაზე ცნობილ და ფრიად გამორჩეულ მხედართმთავარს, არანაკლებ სახელგანთქმულ პოლიტიკოსს, ყველგან ცნობდნენ მარცხენა ნათვალარზე შავარშიანი სახვევით. დიახ, როგორც სამხედრო და პოლიტიკოსი, ქვეყანაში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა და იმ მებრძოლს განასახიერებდა, რომელიც ისრაელელი ხალხის იდეალი იყო... საქმიანობა დაიწყო პარტიზანული მოქმედებებით (ხშირად მონაწილეობდა შეიარაღებულ შეტაკებებში), 1948 წლის დამოუკიდებლობისათვის ომში გახდა საველე მეთაური, 1956 წლის ომში — გენშტაბის უფროსი, ხოლო 1967 წლის ე. წ. „ექვსდღიან ომში“ სამხედრო მინისტრი იყო; ამ ომმა დაიანს დიდება მოუტანა...

...მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, ისრაელის სხვა ლიდერებთან ერთად დაიანი 5 წლით ციხეში აღმოჩნდა, მაგრამ 1941 წელს ინგლისელებმა გაათავისუფლეს, რათა მათ დახმარებოდა გერმანელებისა და საფრანგეთის ვიშის მთავრობის მომხრეთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მალე გამოიჩინა თავი რამდენიმე შეტაკებაში. 1941 წლის ივნისში მძიმედ დაიჭრა — მინალითონის ნამსხვრევებმა მარცხენა თვალი დაუშრიტა: ტყვია მოხვდა ბინოკლში, რომლითაც ბრძოლას ადევნებდა თვალს...

მოგვიანებით, მავანნი ზედმეტ თეატრალობაში ადანაშაულებდნენ, აქაოდა, შავ სახვევს საგანგებოდ არ იშორებსო, მაგრამ სინამდვილეში, ტრავმა იმდენად სერიოზული გამოდგა, რომ შუშის თვალის ჩადგმას აზრი აღარ ჰქონდა...

ასე იყო თუ ისე, როცა ეგვიპტელებმა რევანშის ნიშნად ისრაელს უპრეცედენტო ზარალი მიაყენეს (1973 წლის ოქტომბერში), მოშე დაიანმა მაინც მოახერხა და გამარჯვების სასწორი თავისი ქვეყნის სასარგებლოდ გადახარა, მაგრამ ომისთვის არმიის მოუმზადებლობის გამო გაკრიტიკებისათვის ომის დასრულებისთანავე პოსტიდან გადადგა და პოლიტიკაში დაბრუნდა: აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებსა და სხვადასხვა არჩევით თანამდებობაზე მუშაობდა (გარდაიცვალა თელ-ავივში, 1981 წლის 16 ოქტომბერს).

„ცალთვალათა პალატასთან“
„მორიგეობდა“
ამირან ტალახაძე

# საქვეყნოდ ცნობილი „მაიერის ტყვია“

## დათვზე სანადირო ზუსტი და უნიკალური ტყვია აბასთუმნიდან

„კალაშნიკოვის“ ავტომატი, ალბათ, ყველას სმენია, მაიერის ტყვია კი, ძირითადად, პროფესიონალი მონადირეებისთვისაა ცნობილი, მაგრამ ორმოციოდე წლის წინ მონადირულ სამყაროში მან არანაკლები გადატრიალება მოახდინა, ისევე როგორც „კალაშნიკოვმა“ თავის დროზე ავტომატური იარაღის სფეროში.

ნამდვილად არ მეგონა, თუ 2006 წლის შემოდგომაზე აბასთუმნის ობსერვატორიაში 40 წლის წინ შექმნილი უნიკალური ტყვიის ავტორს გავიცნობდი.

81 წლის ალექსანდრ კარლოვიჩ მაიერი აბასთუმნის ობსერვატორიაში 1956 წლიდან მუშაობს; წელს ზუსტად ნახევარი საუკუნე შესრულდა მას შემდეგ, რაც ამ ცნობილი ობსერვატორიის „ოქროს ხელებად“ იქცა. ლაბორატორიაში არ არსებობს თითქმის არც ერთი ოპტიკური ხელსაწყო თუ სხვა მოწყობილობა, ალექსანდრ მაიერს რომ არ გაეკეთებინოს ან შეეკეთებინოს, მათ შორის, ურთულესი ტელესკოპებიც.

ერთი შეხედვით, რა საერთო უნდა ჰქონოდა ტელესკოპების „ღმერთს“ ალექსანდრ მაიერს ტყვიის შექმნასთან, მაგრამ როგორც გავიგე, ის 60 წლის სტაჟის მქონე პროფესიონალი მონადირეც ყოფილა.

ალექსანდრ მაიერის წინაპრები თბილისში ჯერ კიდევ 1812 წელს დასახლებულან. 1941 წლის 22 ივნისის შემდეგ, როდესაც გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს, სტალინის ბრძანებით ყველა გერმანული ოჯახი აღმოსავლეთში გადაასახლეს, მათ შორის აღმოჩნდნენ თბილისელი მაიერებიც, რომლებიც ჩრდილო ყაზახეთში, სპეცდასახლებაში მოხვდნენ. იქ ახალგაზრდა მაიერი შახტებში მუშაობდა და დროდადრო ნადირობასაც ახერხებდა.

1956 წელს ოჯახი საქართველოში დაბრუნდა და ალექსანდრ მაიერი მას შემდეგ აბასთუმანში ცხოვრობს და მუშაობს. დღეს იგი აბასთუმნის ობსერვატორიის ზუსტი ხელსაწყოების ლაბორატორიის ხელმძღვანელია.

ამ მცირე ისტორიული გადახვევის შემდეგ დავუბრუნდეთ ჩვენი სტატიის მთავარ თემას — როდის და როგორ შექმნა აბასთუმნელმა ალექსანდრ მაიერმა ისეთი ტყვია, რომელმაც სამონადირეო საქმეში რევოლუცია თუ არა, პატარა გადატრიალება მაინც მოახდინა.

პატარა ისტორიული ექსკურსი:

გლუვლულიანი სანადირო თოფები იმით განსხვავდება ხრახნულიანი შაშხანებისგან, რომ თოფიდან ნასროლი ტყვიის ზუსტად მოხვედრა რამდენიმე ათეულ მეტრ მანძილზე მიზანში ძალიან რთულია. ამას ტექნიკური თავისებურება განაპირობებს: თუკი ტყვია ხრახნულიან იარაღში გასროლისთანავე იწყებს ტრიალს თავისი ღერძის გარშემო და ფრენის დროსაც ამის ხარჯზე

**ჩვენი დოსიე:** ორმაგი ტურბინული მაიერის ტყვია 32 გ-ს იწონის; თოფის ლულიდან 2,5 მ-ის მანძილზე მისი მაქსიმალური სიჩქარე 424 მ/წმ-ს აღწევს, 100 მ-ში 20 სმ-ის დიამეტრში ხვდება და 90 მმ სისქის გამომშრალი ფიჭვის დაფას ხვრეტს.








ალექსანდრ მაიერი, მისი შექმნილი ტყვია და ორი პატენტი გამოგონებაზე





ალექსანდრ მაიერი, ცდებს საკუთარი კონსტრუქციის თოფის სადგამის დახმარებით ატარებდა...

ინარჩუნებს სტაბილურ მდგომარეობას, გლუვი ლულიდან გამოტყორცნილი ტყვია უკვე 30-50 მ-ის დისტანციაზე საკმაოდ შორდება მიზანს.

1963 წელს ალექსანდრ მაიერმა ორმაგი ტურბინული ტყვია შექმნა, 12 კალიბრის გლუვლულიანი სანადირო თოფებისთვის.

იმ დროიდან 43 წლის გასვლის შემდეგ ინჟინერმა მაიერმა (რომელსაც კარგად ესმის ქართული ენა და დიდად არც ლაპარაკი უჭირს) ჟურნალ „არსენალს“ უამბო, რომ ახალი ტყვიის შექმნის იდეა მას რამდენიმე ფაქტორმა უკარნახა. ჯერ ერთი, გასული საუკუნის 60-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლება ყოველმხრივ აფერხებდა ხრახნულიანი შაშხანების გავრცელებას მონადირეთა შორის, ჩვეულებრივ გლუვლულიანი ТОЗ-იდან ნასროლი „ჟაკანით“ კი დათვს ან მოარტყამდი, ან — არა. მეორე, — შორეულ ჩრდილოეთში მონადირე-მრეწველებს შაშხანებით ნადირობის უფლება ჰქონდათ, გარდა ამისა, საფანტით დატენილ გლუვლულიან თოფებსაც იყენებდნენ ფრინველზე სანადიროდ.

ალექსანდრე მაიერმა კი შექმნა ტყვია, რომელიც მონადირისთვის გლუვლულიან თოფს უნივერსალურს ხდიდა. 12-კალიბრიანი ТОЗ-ით ან ИЖ-ით ფრინველისთვის ან კურდღლისთვის სასროლად წვრილსაფანტიან ჰილზას გამოიყენებდა, ხოლო მსხვილ ნადირს — ვთქვათ, დათვს, მაიერის ტყვიას დაახლიდა, თანაც ზუსტად და ისიც არანაკლებ 100 მ-ის დისტანციიდან.

მაიერმა შექმნა ისეთი კონსტრუქციის ტყვია, რომელიც 100 მ-ზე 20 სმ-იან წრეში ხვდებოდა, რაც გლუვლულიანი თოფიდან გასროლილი ტყვიისთვის მართლაც რომ ერთ-ერთი საუკეთესო შედეგია.

ასეთი წარმატება ტყვიის კონსტრუქციამ განაპირობა, — რაღაცით მინიატიურულ ტურბინას წააგავს და ამიტომაც ეწოდა ტურბინული ტყვია. ის ჩვეულებრივ 12-კალიბრიან ჰილზაში იდება ზემო მდგომარეობაში; ქვემოთ კაფსულა-დეტონატორი, დენთი და პიჟია განთავსებული. მაიერის ტყვია ჰილზის ზემო პირიდან ღიად არის დატოვებული, მხოლოდ ჰილზის ბოლოებით ფიქსირდება.

გასროლის შემდეგ მაიერის ტყვია იწყებს ტრიალს, რასაც ტურბინული ფორმის ტყვიის პატარა ფრთები უზრუნველყოფს. ტყვიის გარეთა ფრთები გლუვ ლულაში წამყვანი წრეების ფუნქციას ასრულებს. ტურბინული ტყვიის შიდა ფრთები კი გარკვეულწილად ამცირებს გაუხშოებას ტყვიის უკანა ნაწილში.

ლულიდან გამოფრენილი მაიერის ტყვია გამუდმებით ტრიალებს ღერძის გარშემო და ფრენისას სტაბილურ მიმრთულებას ინარჩუნებს.

საბჭოთა სამონადირო ჟურნალმა „Охота“ 1966 წელს ჩაატარა მაიერის ტყვიის სპეციალური გამოცდა. ავტორი დამაგრებული ИЖ-12 ტიპის თოფიდან ისროდა. სხვათა შორის, თოფს ასევე მაიერის მიერ კონსტრუირებული ორიგინალური ტიპის დასაკეცი დიოპტრული სამიზნე მოწყობილობა ჰქონდა.

50 მ-იდან სროლისას 100 მმ დიამეტრის შავ წერტილზე ათივე ტყვია 193,5 მმ-ის გაბარიტში ჩაჯდა; 100 მ-ზე დისტანციაზე კი 200 მმ დიამეტრის მრგვალი სამიზნე დააყენეს. ათივე ტყვია 231 მმ-ის გაბარიტში მოხვდა.

შემდეგ გამოსცადეს, რა გატანის უნარი ჰქონდა მაიერის ტყვიებს. 50 და 100 მ-ის დისტანციაზე 37 მმ სისქის გამომშრალი ფიჭვის დაფები დააყენეს. სამიზნის საერთო სისქე 22 სმ-ს შეადგენდა.

50 მ-იდან სროლისას მაიერის ტყვიამ ფიჭვის დაფებში 90 მმ-ის სისქემდე შეაღწია, ანალოგიური შედეგი იყო 100 მ-დან სროლის დროსაც. ორივე შემთხვევაში ტყვიებმა ფიჭვის დაფაში შესვლისას 17,7 მმ დიამეტრის ნახვრეტი დატოვა. სამიზნის დაფის ბოლო კედელში პირველ შემთხვევაში (50 მ-დან სროლისას) დაზიანებამ 70 მმ ფართობი მოიცვა, მეორეჯერ (100 მ-დან სროლისას) კი 55 მმ.

ეს მაჩვენებლები ადასტურებს, რომ მაიერის ტყვიას სროლის საუკეთესო სიზუსტე აქვს, როგორც 50, ისე 100 მ დისტანციაზე. ტყვიას კარგი შეღწევის უნარიც აქვს. თავად განსაჯეთ, თუკი 100 მ-დან იგი გამომშრალი ფიჭვის დაფებში 90 მმ-ის სისქეში შედის, რას უზამს დათვს, თუკი სასიცოცხლო ორგანოებში მოხვდება.

გარდა ამისა, მაიერის ტყვიას კარგი შემაჩერებელი ეფექტი აქვს; მიზანში მოხვედრისას სოკოსავით იშლება, რაც ზრდის დარტყმის ფართობს და შესაბამისად, ცოცხალ სხეულზე უფრო მეტია მტკივნეული ეფექტი.

ალექსანდრ მაიერის ტყვია რამდენიმეწლიანი საბჭოთა ბიუროკრატიული ბარიერის გადალახვის შემდეგ მაინც ჩაუშვეს წარმოებაში. მას ოდესის ქარხანა „ვოენოხოტა-6“ სერიულად უშვებდა.

ტყვიის ავტორს მაშინ მხოლოდ 400 საბჭოთა მანეთი გადაუხადეს პრემიის სახით, მიუხედავად იმისა, რომ ორ გამოგონებაზე აქვს აღებული პატენტი (1964 და 1968 წლებში) — ზემოხსენებულ ორმაგ ტურბინასა და მის მოდიფიცირებულ ვარიანტზე.

მაიერის ტყვიები თავის დროზე 9 კაპიკი ღირდა. ქარხნული წესით დამზადებულები არ გამოირჩეოდა დამუშავების მაღალი ხარისხით, არადა მაიერის ტყვიისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რამდენად ზუსტად იქნება დაცული ტყვიისა და განსაკუთრებით, მისი მიკროსკოპული „ფრთების“ ზომები. სხვათა შორის, მაიერის ტყვიის გასროლისას თოფს უფრო მეტი უკუდარტყმა ჰქონდა.

საბჭოთა მონადირეებში მაიერის ტყვიებმა დიდი მოწონება დაიმსახურა. ტყვიის ავტორს ყოველწლიურად ასობით მადლიერების წერილი მოსდიოდა იმ მონადირეებისგან, ვისაც მაიერის ტყვიამ სიცოცხლე შეუნარჩუნა ჩრდილოეთში თეთრ დათვთან თუ აღმოსავლეთში უსურიის ვეფხვთან შებრძოლებისას.

*ირაკლი ალადაშვილი*

**„არსენალმა“ აბასთუმნის ტყეში თავად გამოსცადა მაიერის ტყვია. 25 მ-იდან ნასროლი ტყვია ფიჭვის კუნძში 11 სმ-ის სიღრმეში შევიდა და მნიშვნელოვნად დეფორმირდა. გამოცდაში დახმარებისთვის მადლობას ვუხდით აბასთუმნის ობსერვატორიის მეცნიერ-თანამშრომელს რევაზ ნაცვლიშვილს**





ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ დავიცვათ ქართული ცა

*საჰაერო თავდაცვის როლი მნიშვნელოვანია ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცებაში. რუსეთი კვლავაც უხეშად და ცინიკურად არღვევს ჩვენს საჰაერო სივრცეს. როგორც წესი, ჩვენს განცხადებებს უარყოფენ.*



ჩვენი მთაგორიანი რელიეფის პირობებში ძნელია ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც ყველა დარღვევას აღკვეთს. ამიტომ უნდა დაკომპლექტდეს ლოკალური ჯგუფები, რომელთაც დელეგირებული ექნებათ განსაზღვრული უფლებები. დღევანდელი კანონმდებლობით, ცეცხლის გახსნის უფლება მხოლოდ პრეზიდენტს აქვს. საქართველოს გეოგრაფიული ზონების პირობებში თითქმის შეუძლებელია დამრღვევი მიზნის განადგურება პრეზიდენტის ნებართვით. ეს ფიზიკურად ვერ მოესწრება. სანამ პრეზიდენტს მოახსენებენ და მისი ნებართვა (ბრძანება) შემსრულებლამდე მივა, საფრენი აპარატი დატოვებს ჩვენს საზღვრებს.

განსაკუთრებით რთულია ხეობების დაცვა, სადაც რეაგირების დრო რამდენიმე წუთით ან წამებით განისაზღვრება. მსროლელი-მეზენიტისთვის ძნელი არ არის მზაყოფნაში მყოფი „სტინგერით“ თუ „სტრელათი“ შვეულმფრენის ჩამოგდება. მთავარია, კანონმდებლობის დახვეწა საერთაშორისო ნორმების თანახმად და პოლიტიკური შედეგების გათვალისწინება. ორი ისრაელელი ჯარისკაცის გატაცებას ლიბანისთვის დამანგრეველი ომი მოჰყვა. შვეულმფრენის ან თვითმფრინავის ჩამოგდება გაცილებით მეტია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენი საჰაერო სივრცის სუვერენიტეტი გავათელინოთ ვინმეს წლების განმავლობაში. ჩვენ დღეს სერიოზული პოლიტიკური მხარდაჭერით ვსარგებლობთ და კარგი დროა, „ბრჭყალები“ დავანახვოთ რუსეთს.

საჰაერო სუვერენიტეტის დაცვის დემონსტრირებისთვის კი მხოლოდ სურვილი არ კმარა. საჭიროა:

— საჰაერო დაზვერვისა და მართვის თანამედროვე სისტემა;

— გამანადგურებელი ავიაცია;

— საზენიტო კომპლექსები;

— უზრუნველყოფა;

— მომზადებული და გამოცდილი სპეციალისტები;

— დახვეწილი საკანონმდებლო ბაზა.

ყველაზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია, დაჩქარდეს სამუშაოები და პროცედურები, რათა შევუერთდეთ NATO-ს საჰაერო თავდაცვის ერთიან სისტემას. პოლიტიკური გადაწყვეტილება NATO-მ ორი წლის წინ მიიღო. მთავარია, ჩვენ დავაჩქაროთ ტექნიკური და იურიდიული სამუშაოები. საჰაერო სივრცის მიერთებით საქართველო ექცევა NATO-ს პასუხისმგებლობის ზონაში, რაც ჩვენს მეზობლებს ჩვენი საჰაერო სივრცის საზღვრების დარღვევის ხალისს დაუკარგავს. საქართველოს NATO-ში გაწევრებამდე NATO-ს „ქოლგის“ ქვეშ მოვექცევით, რითაც უსაფრთხოებას საგრძნობლად განვიმტკიცებთ.

საჰაერო სივრცის სრულად გასაკონტროლებლად აუცილებელია გამანადგურებელი ავიაცია. Су-25 ტიპის თვითმფრინავები გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს შვეულმფრენების ან თავისივე კლასის თვითმფრინავების საწინაალმდეგოდ. დღეს ჩვენს ქვეყანას უკვე შესწევს უნარი შეიძინოს L-39ZA ტიპის ან მისი კლასის თვითმფრინავები. ეს ეკონომიური და მანევრული თვითმფრინავებია. გამოიყენება როგორც ეკიპაჟების მოსამზადებლად, ასევე მიწისზედა და საჰაერო მიზნების გასანადგურებლად. ადრეც მიმაჩნდა და დღესაც ამ აზრს ვიზიარებ, რომ საქართველოს უნდა ჰყავდეს МиГ-29 ტიპის (ან სხვა დასავლური) მრავალმიზნობრივი თვითმფრინავები. ამ მხრივ საკმაოდ ჩამოვრჩებით ჩვენს მეზობელ ქვეყნებს.

გამანადგურებელი ავიაციის მორიგე ეკიპაჟები მზადყოფნის სხვადასხვა ხარისხში უნდა მორიგეობდნენ აეროდრომზე. მზადყოფნის ხარისხი და ნორმატივი დამოკიდებულია სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაზე. საკმაოდ ეფექტიანია მორიგეობის ორგანიზება ჰაერში. მორიგეობისთვის გამოიყოფა ზონა განსაკუთრებით სარისკო მიმართულებაზე, საიდანაც მოსალოდნელია საჰაერო სივრცის დარღვევა. რადარებით დამრღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, საკომანდო პუნქტიდან ინფორმაცია (დამრღვევის კოორდინატები და ამოცანა) ეკიპაჟს ჰაერში გადაეცემა. ამით მცირდება რეაქციის დრო (თვითმფრინავისა და ეკიპაჟის მომზადება აეროდრომზე,აფრენისა და მიფრენის დრო).

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ამოცნობის დასავლური სისტემის დანერგვა. ეს უზრუნველყოფს დამრღვევის დროულად გამოვლენას და სამოქალაქო თუ საკუთარი ავიაციის უსაფრთხოებას. ამოცნობის სისტემები მონტაჟდება როგორც რადარებზე, ასევე საფრენ აპარატებსა და საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებზე.

ყველა ზომა უნდა იქნეს მიღებული და განახლდეს გადასატანი საზენიტო კომპლექსების არსენალი. მათი შეძენა დღეს საკმაოდ ძნელი გახდა, მაგრამ თუ „სტრელა-2“-ისა და „იგლა“-ს შეძენა შესაძლებელია ოსური და აფხაზური ფორმირებებისთვის, ჩვენც უნდა გამოვნახოთ გზები. ჩვენს ერთ-ერთ მეგობარ სახელმწიფოს ხომ საკმაოდ დიდი მარაგი აქვს(!). ასეთი იარაღი აუცილებელია ხეობების, ჯარების, დაჯგუფებების და სხვა ობიექტების დასაცავად.

რაც შეეხება საშუალო და დიდი სიშორის საზენიტო კომპლექსებს. არ მაქვს ინფორმაცია, რა გადაწყვეტილება მიიღეს თავდაცვის სამინისტროში ამის თაობაზე. ამიტომ ერთ რჩევას მივცემდი ყოფილ კოლეგებს. შეიძინონ ისეთი კომპლექსი, რომლის ექსპლოატაციის დროს მაქსიმალურად გამოირიცხება რუსეთის საჭიროება. ეს საკითხი კარგად უნდა შეისწავლონ, რათა შემდგომში რუსეთისგან ხელის შეშლის გამო არ შეფერხდეს კომპლექსების ექსპლოატაცია. ასევე მნიშვნელოვანია NATO-სთან თავსებადობის გათვალისწინება, რადგან NATO-ში გაწევრების შემდეგ მოგვიწევს მის ერთიან საჰაერო თავდაცვის სისტემაში საბრძოლო მორიგეობის წარმოება.

ვუსურვებ ქართულ არმიას, განსაკუთრებით საჰაერო ძალებს შემდგომ აღმშენებლობასა და წარმატებებს ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცებაში.

*ამირან სალუქვაძე*
*საჰაერო ძალების სარდალი*
*2003-2005 წლებში*



# ფრანგული „ლეკლერკი“

## ახალი თაობის ყველაზე „ჭკვიანი“ და ყველაზე ძვირი ტანკი

„ყველაზე, ყველაზე, ყველაზე“, – სწორედ ამ დევიზით შეუდგნენ გასული საუკუნის 80-იან წლებში ფრანგი ინჟინრები ახალი თაობის ტანკის შექმნას, რომელსაც უნდა დაეჩრდილა ბრიტანული „ჩელენჯერი“, გერმანული „ლეოპარდი“ თუ ამერიკული „აბრამსი“.

საფრანგეთის სახელმწიფო საიარაღო კონცერნმა GIAT-მა დასახულ ამოცანას თავი გაართვა, ოღონდ ახალ ტანკ „ლეკლერკს“ კიდევ ერთი მინიშნება გაუჩნდა – ყველაზე ძვირი. თავად განსაჯეთ. ამერიკული „აბრამსი“ იარაღის მსოფლიო ბაზარზე 3,2-6,9 მლნ დოლარი ღირს, გერმანული „ლეოპარდი“ 2-3 მლნ, რუსული T-80 კი 1-3 მლნ, მაშინ როცა ერთი „ლეკლერკის“ ფასმა 9-10 მლნ დოლარს მიაღწია.

„ლეკლერკის“ ასე გაძვირება მოსალოდნელიც იყო, რადგან მისი კონსტრუირებისას გამოიყენეს იმ დროისთვის ყველაზე თანამედროვე რადიოელექტრონული მოწყობილობები, რომელთა ღირებულება მთლიანად ტანკის ფასის უდიდეს ნაწილს შეადგენს.

ფრანგულ ტანკში პირველად იქნა გამოყენებული ქვემეხის ავტომატური დატენვის მექანიზმი. მანამდე დასავლეთის ქვეყნების არც ერთ ტანკს დატენვის ავტომატური მექანიზმი არ გააჩნდა. ამიტომაც „აბრამსშიც“, „ჩელენჯერშიც“, „ლეოპარდშიც“ და „მერკავაშიც“ ეკიპაჟის მეოთხე წევრი ქვემეხის ხელით დამტენის ფუნქციას დღემდე ასრულებს. მხოლოდ საბჭოთა ტანკებში დაამონტაჟეს (გასული საუკუნის 60-იანი წლების T-64 ტიპის ტანკიდან დაწყებული) ქვემეხის ავტომატური დატენვის მექანიზმი.

„ლეკლერკის“ შემქმნელებს მიაჩნიათ, რომ მათი ტანკის თავდაცვისუნარიანობა წინიდან ნასროლი ტანკსაწინაალმდეგო საშუალებებისგან ორჯერ მეტია, ვიდრე ამერიკელების, ბრიტანელებისა თუ გერმანელებისა. „ლეკლერკში“ გამოყენებულია მოდულის სახის კომბინირებული შეჯავშნა, რამაც გააძლიერა ტანკის უსაფრთხოება და ამასთან, დაზოგა მასა. 63-ტონიან M1A2 „აბრამსთან“ შედარებით „ლეკლერკი“ მხოლოდ 54,6 ტონას იწონის, თუმცა „აბრამსზე“ 5-6 ტონით მეტი ჯავშანი აქვს.

ფრანგული ტანკის 19-ტონიან ჯავშანკოშკურაში 120მმ კალიბრის (6,2მ სიგრძის) გლუვლულიანი ქვემეხია დამონტაჟებული. ეს ქვემეხი მთელი მეტრით უფრო გრძელია, ვიდრე „აბრამსისა“ და „ლეოპარდის“, ამიტომაც „ლეკლერკი“ ქვეკალიბრის ჯავშანგამტან ჭურვს 1750 მ/წმ საწყისი სიჩქარით ისვრის, რაც მოწინაალმდეგის ტანკის ჯავშნის გახვრეტის მეტ შანსს იძლევა.

ქვემეხთან შეწყვილებულია 12,7 მმ კალიბრიანი ტყვიამფრქვევი, ერთი კი, 7,62 მმ-იანი, კოშკურის თავზეა დამონტაჟებული. კოშკურაზე ასევე განთავსებულია ცხრა 80მმ-იანი მორტირი. ამ მორტირიდან კვამლის შემქმნელი ნაღმების გასროლა შეიძლება, რათა კვამლის საფარის ქვეშ ტანკმა უკუსვლით დატოვოს პოზიცია და მიიმალოს. მორტირებიდან სითბურ „ხაფანგებსაც“ ისვრიან. მათ მოწინაალმდეგის ის მართვალი ტანკსაწინაალმდეგო რაკეტების დამიზნების სისტემა უნდა მოატყუონ, რომელიც „ლეკლერკის“ გახურებული ძრავისკენ მიისწრაფვის. გარ-



„ლეკლერკების“ კოლონა, ალლუმში მონაწილეობის მისალებად პარიზის ცენტრისკენ მიემართება

ეროვნული ბიბლიოთეკა





„ლეკლერკს“ 36 კმ/სთ სიჩქარით ოღროჩოღრო გზაზე სიარულისას ერთ წუთში ერთმანეთის მიყოლებით ექვსი სამიზნის ზუსტად დაზიანება შეუძლია...



კომფორტის თვალსაზრისით, „ლეკლერკს“ კონკურენციას თანამედროვე ავტომობილები თუ გაუწევენ...

და ამისა, მორტირები „ლეკლერკის“ ახლო მანძილიდან დასაცავადაც გამოიყენება. თუკი მტრის ჯარისკაცებმა „ლეკლერკს“ ალყა შემოარტყეს, მორტირებიდან ამოსროლილი 5 კგ-იანი ნაღმები ფეთქდება და ტანკის გარშემო 15-30 მ-ის რადიუსში ასობით ნამსხვრევს ფანტავს.

არანაკლებ ინტერესს იმსახურებს „ლეკლერკის“ ძალური აგრეგატიც. იგი კომბინირებული სახისაა და, ფაქტობრივად, შიგაწვის ძრავისა და აირტურბინის სიმბიოზს წარმოადგენს. მისი სიმძლავრე 1500 ცხ.ძ.-ს უტოლდება, ანუ უხეშად რომ ვთქვათ, ტანკის თითოეულ ტონას 27-ზე მეტი ცხენის ძალა ეწევა. ეს ერთადერთი საუკეთესო შედეგია, რადგან სხვა თანამედროვე ტანკებისთვის ეს მაჩვენებელი, ძირითადად, 25 ცხ.ძ./ტ-ს არ აღემატება. ასეთი მძლავრი ძრავა „ლეკლერკს“ „ფორმულა-1“-ის ლიდერად აქცევს ტანკებს შორის – „ლეკლერკი“ ადგილიდან დაძვრისას 6 წმ-ში 32 კმ/სთ სიჩქარეს აღწევს. ასფალტირებულ გზაზე კი 71 კმ/სთ-ის განვითარებაც შეუძლია, რის გამოც ყველაზე სწრაფია არსებულ ტანკებს შორის (ისე, არაოფიციალურად, მთვრალ რუს პროპორშჩიკებს მეთაურებისგან უჩუმრად აირტურბინიანი T-80-ით 100 კმ/სთ-ითაც კი უქროლიათ გზატკეცილზე, მაგრამ რუსულ ტანკში არ ეწყო ჭურვები და საწვავიც ცოტა ესხა, ამიტომაც ტანკი რამდენიმე ტონით ნაკლებს იწონიდა).

ის, რაც „ლეკლერკს“ ძალზე განასხვავებს სხვა ტანკებისგან, ელექტრონიკით მისი ზედმეტად გაჯერებაა. ყველა ელექტრონული სისტემა ერთ ქსელშია გაერთიანებული. ყველა ინფორმაცია (ამინდის, ჭურვების, საწვავის, მოწინააღმდეგის და ა.შ. შესახებ) ერთ კომპიუტერში მუშავდება წამების განმავლობაში და ტანკის მეთაურს ისღა დარჩენია, თითი დააჭიროს ქვემეხის სასხლეტს.

„ლეკლერკი“ ერთადერთი ტანკია, რომელსაც 36 კმ/სთ სიჩქარით ოღროჩოღრო გზაზე სიარულისას ერთ წუთში

ჩვენი დოსიე: 54,6-ტონიანი ფრანგული „ლეკლერკის“ ეკიპაჟი 3 ტანკისტისგან შედგება; ტანკის სიგრძე 6,8მ, სიგანე 3,3მ, სიმაღლე კი 2,3მ-ია. შეიარაღებაში აქვს ერთი 120 მმ-იანი გლუვლულიანი ქვემეხი (40 ჭურვით), 12,7 მმ-იანი (800 ვაზნა) და 7,62 მმ-იანი (2000 ვაზნა) ტყვიამფრქვევები. საწვავის მარაგი ყოფნის 720 კმ-ის გავლას. მაქსიმალური სიჩქარე ასფალტირებულ გზაზე 71 კმ/სთ შეადგენს.



ერთმანეთის მიყოლებით ექვსი სამიზნის ზუსტად დაზიანება შეუძლია, სხვა ტანკების მაქსიმალური შედეგი იმავე პირობებში ორ სამიზნეს არ აღემატება.

ცალკე აღსანიშნავია ის კომფორტი, რაც ეკიპაჟს ხვდება „ლეკლერკში“. ტანკისტები რბილ, ამორტიზატორებიან სავარძლებზე სხედან. „ლეკლერკში“ დაშვებულია 182სმ სიმაღლის ტანკისტების ჩასხდომა, რაც ბევრ სხვა ტანკში წარმოუდგენელია.

„ლეკლერკების“ პირველი პარტია, 16 მანქანის რაოდენობით, 1989 წელს გამოუშვეს. პოლიგონზე გამოცდისას ბევრი ნაკლი გამოვლინდა, მათ შორის ძრავაშიც. თავდაპირველად, ფრანგული არმიისთვის 1400 „ლეკლერკის“ შეძენა დაგეგმეს, მაგრამ ახალი ტანკის უსაშველო სიძვირის გამო ეს ციფრი ბოლოს 406-მდე შეამცირეს. ფრანგული კონცერნი ვერ გადაურჩებოდა გაკოტრებას, რომ არაბეთის გაერთიანებულ საამიროებს ხელშეკრულება არ დაედოთ 390 „ლეკლერკის“ შეძენაზე. პირველი „ლეკლერკები“ შემკვეთებს 1994 წელს მიაწოდეს, ოღონდ, ორიგინალური „ჭირვეული“ ძრავები გერმანული დიზელებით შეცვალეს.

ისე მოხდა, რომ საფრანგეთი უკვე საზღვარგარეთ ყიდიდა „ლეკლერკებს“, და თავად ამ ქვეყანაში იგი საზოგადოებისთვის არ უჩვენებიათ. ამის გამოსასწორებლად 1997 წლის 14 ივლისს, ბასტილიის აღების დღეს, ელისეს მინდვრებზე „ლეკლერკების“ კოლონამ საზეიმოდ ჩაიარა.

ამ სტატიის ავტორს მიეცა საშუალება, დაეთვალიერებინა ასე ნაქები ფრანგული ტანკი. ჩემდა მოულოდნელად იგი პარიზის ცენტრში, ეიფელის კოშკთან იდგა და რატომღაც დაცვის გარეშე. ყველაზე მოულოდნელი ჩემთვის სპეციალური რეზინით დაფარული ტანკის კორპუსი იყო. ასეთი საფარი სავსებით გამორიცხავს ფეხის აცურებას და ჩამოვარდნას ტანკის კოშკურიდან, რაც საბჭოთა T-72-ებზე არცთუ იშვიათია. შთამბეჭდავია ყველა ის ელექტროოპტიკური ხელსაწყო, რაც „ლეკლერკს“ აქვს. ტანკის კორპუსი და კოშკურა მოდულის სქემის ჯავშანკონტეინერებით იყო დამატებით დაცული. ტანკის მუხლუხებს სპეციალური რეზინის ჩამოსაცმელები „აცვია“, პარიზის ასფალტირებული გზები რომ არ დააზიანოს.

„ლეკლერკი“ არის თანამედროვე ტიპის ტანკი, რომლის შემდგომი მოდერნიზება შესაძლებელია, მათ შორის 140 მმ კალიბრის ქვემეხის დაყენებაც, რის შემდეგ „ლეკლერკი“ კვლავ შეინარჩუნებს მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო ტანკის სახელს.

*ირაკლი ალადაშვილი*



საფრანგეთის შეიარაღებაში 406 „ლეკლერკია“. არაბეთის გაერთიანებულ საამიროებს კი 390 მანქანა ჰყავთ...

„ლეკლერკის“ ძრავის სიმძლავრე 1500 ცხ.ძ.-ს უტოლდება...





„ბებერ კონტინენტზე“ იშვიათად თუ მოიძებნება ხიდი, რომელიც ტანკის მასას გაუძლებს...



გრძელი ლულის გამო „ლეკლერკი“ ქვეკალიბრის ჯავშანგამტან ჭურვს 1750 მ/წმ საწყისი სიჩქარით ისვრის, რაც მოწინააღმდეგის ტანკის ჯავშნის გახვრეტის მეტ შანსს იძლევა...




# LECLERC





# ქართველი მაშველები

1996 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის დეპარტამენტი შეიქმნა. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოსთვის ამ სამსახურის არსებობა ძალზე მნიშვნელოვანია, „მშობელი“ სამინისტრო წლების განმავლობაში ზერელედ და გულგრილად ეკიდებოდა „პირმშოს“. განყოფილებას ელემენტარული სამუშაო პირობებიც კი არ ჰქონდა. როდესაც შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა უახლესი მარკის ძვირად ღირებული ავტომობილებით დანავარდობდა, ასეულს რიგიანი ავტომობილიც კი არ გააჩნდა; აღარაფერს ვამბობთ სამუშაო აღჭურვილობაზე, ურომლისოდაც მაშველი ხელმოჭრილს ჰგავს. ქართველ მაშველებს არცთუ იშვიათად და სიცოცხლისთვის სასიკვდილო საფრთხის ფასად შეუსრულებიათ ურთულესი და უმძიმესი დავალებები, მაგრამ ამაოდ, მათი სამსახური მაინც ჩრდილში იდგა. არც „ზევიდან“ უფასდებოდათ შრომა და ხალხშიც ვერ მოიპოვეს ნდობა. ალბათ, ამიტომაც არის, რომ საზოგადოებამ ბევრი არაფერი იცის მათზე, ვისაც ფართომასშტაბიანი კრიზისების დროს არა მარტო საქართველოში, უცხოეთშიც უამრავი ადამიანი გადაურჩენიათ. ზოგიერთს ისინი ზღვასა და ტბაში მონებივრე მაშველ-მეთვალყურეებში ერევა. რა თქმა უნდა, ამ ხალხის შრომაც დასაფასებელია, მაგრამ პასუხისმგებლობის დონისა და რისკ-ფაქტორების მიხედვით თუ განვსჯით, საგანგებო სიტუაციების მაშველების სამუშაო, და ზოგჯერ ხვედრიც, მძიმეა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციათა მართვის დეპარტამენტში ახლა უპირველესი საფიქრალი ის არის, როგორ გარდაქმნან სახანძრო სამსახურები სამაშველო-სახანძრო სამსახურებად. სამინისტროს ჩანაფიქრით, ქვეყანას 6000 მაშველ-მეხანძრე უნდა ჰყავდეს, რომლებიც დაუბრკოლებლად გაუმკლავდებიან საგანგებო, კრიზისულ სიტუაციებს. მაშველთა ლაშქარი მთელ ქვეყანაში გადანაწილდება. ეს სამომავლოდ, ამ ეტაპზე კი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო სიტუაციებში მთავარი საბრძოლო ძალა ცენტრალური სამაშველო ასეულია, რომელიც კვლავინდებურად თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზეა დისლოცირებული. მაშინდელ ოფისს თავშესაფარსაც ვერ დაარქმევთ. მიწურს, სადაც მაშველებს 2002 წლამდე უწევდათ მუშაობა, დღეს „სამუზეუმო ექსპონატს“ უწოდებენ და ამბობენ, რომ ეს ქოხი უნდა დარჩეს იმის ნიმუშად, როგორი არ უნდა იყოს ძალოვანი სტრუქტურის განყოფილების ან ქვეგანყოფილების ოფისი.

პრობლემები დღესაც აქვს სამაშველო სამსახურს, მაგრამ დღეს მათი სატკივარი იმ კაცისას ჰგავს, საცხოვრებელი და საარსებო პირობები რომ გაიუმჯობესა და უფრო პრეტენზიული მოთხოვნები გაუჩნდა.

„არსენალმა“ მოსმენილს თვალით ნანახი ამჯობინა და რედაქციის წარგზავნილები ერთი დღის განმავლობაში მაშველების წესებით ვცხოვრობდით. საბედნიეროდ, იმ დღეს ქვეყანაში საგანგებო სიტუაცია არ შექმნილა, მაგრამ გამოძახების იმიტაციის მოწმეც გავხდით, სასწავლო პროცესსაც დავესწარით და მაშველებთან ერთადაც ვისადილეთ.

თავს მხნედ რომ გრძნობდნენ, ბიჭებს დღეში სამჯერ უფასოდ კვებავენ. მაშ-



ქართველი მაშველები ირანში, მიწისძვრის შედეგად დანგრეულ ქალაქებში სამაშველო ოპერაციის დროს...







„ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ ქიმიური და ბაქტერიოლოგიური კატასტროფებისთვისაც ვემზადებით...“

ველები თავიანთი სამზარეულოთი კმაყოფილი არიან, მაგრამ არ მოსწონთ უცხოური მშრალი საკვები (გემოსა და კალორიებს უწუნებენ), რომელიც საგანგებო შემთხვევაზე გასვლის წინ ეძლევათ.

სასტუმრო კოტეჯებს, მოსასვენებელ ოთახებს, სასწავლო აუდიტორიებს, კეთილმოწყობილ სასადილოს, საშხაპეებსა და სამრეცხაოს მართლაც წუნს ვერ დასდებ. ყველაზე საინტერესო ანგარის დათვალიერება იყო. თაროებზე დალაგებული უახლესი ტექნოლოგიით დამზადებული სამაშველო აღჭურვილობა თვალს ახარებს. აქ თითქმის ყველაფერია იმისათვის, რომ მთაშიც, ბარშიც და წყალშიც შედეგიანი სამაშველო ოპერაცია ჩატარდეს. ანგარში ნახავთ ელექტროგენერატორებს, ელექტროხერხებს, რკინისა და ხის საჭრელ ქვებს, ჰიდრავლიკურ საჭრელებს, ნანგრევებიდან ადამიანის გამოსაყვან ინსტრუმენტებს, კომპრესორებს, ჯალამბრებს, სიღრმეში ჩავარდნილი მანქანის ამოსაყვან მოწყობილობას, ნავებს, წყლის ამოსაქაჩ საშუალებებს, სამედიცინო აღჭურვილობას და ა.შ. ეს ნივთები საკმარისია ასეულისთვის.

ბიჭებს განსაკუთრებით მაინც სასწავლო მოედანი ეამაყებათ, სადაც უბრალო მოკვდავი მისთვის საინტერესოს ვერაფერს ნახავს. აქ მხოლოდ საცხოვრებელი კორპუსების ნანგრევებია, რომლის წყალობითაც მაშველები ნანგრევებიდან ადამიანების გამოხსნის ხელოვნებას ეუფლებიან.

თავიდან მეგზურობას საგანგებო სიტუაციათა მართვის დეპარტამენტის ცენტრალური სამაშველო განყოფილების უფროსი ილია ხურციძე გვიწევდა. როგორც გვითხრა, საქართველოში ეს ყოფილა ერთადერთი ბაზა, სადაც ქართველ მაშველებს ამზადებენ.

– 2002 წელს შვეიცარიის განვითარების სააგენტოს თაოსნობით ბაზის მშენებლობა დაიწყო. მათივე დაფინანსებით აგვიშენეს შენობები; გვიყიდეს ჯიპის ტიპის სამი ავტომობილი და საავარიო-სამაშველო აღჭურვილობა. ეს იყო დახმარების პირველი ეტაპი; შემდეგ მაშველ-კონსტრუქტორების 15-კაციანი ჯგუფიც მოამზადეს იმისთვის, როგორ ჩაატარონ სამაშველო სამუშაოები ნანგრევებზე, რა იარაღები გამოიყენონ, როგორ დაიცვან უსაფრთხოების წესები, როგორ გაუწიონ პირველადი სამედიცინო დახმარება დაზარალებულს ნანგრევებიდან გამოყვანის შემდეგ და სხვ.; მესამე ეტაპზე სწავლება ბაზის ტერიტორიაზე არსებულ ნანგრევებში მიმდინარეობდა. ვასწავლეთ, როგორ უნდა გამოიყვანონ დაზარალებული ნანგრევებიდან.

— **ყველა მაშველს აქ მოამზადებთ?**

– ყველა რაიონის ადგილობრივ ხელისუფლებას ეყოლება რაზმი, სწორედ ისე, როგორც ახლა ქალაქებში სახანძრო სამსახურებია. მუნიციპალური დაქვემდებარების სახანძრო სამსახურების ბაზაზე შეიქმნება სამაშველო-სახანძრო სამსახურები, კადრებს ჩვენს ბაზაში მოვამზადებთ. 16 რაიონის მეხანძრეები უკვე მოვამზადეთ კონკრეტული სამაშველო საქმიანობისთვის.

საუბარში ავთანდილ წიკლაური, ინსტრუქტორთა ქვეგანყოფილების უფროსი ერთვება:

– საფრანგეთში, საგანგებო მეცადინეობებზე გავიარეთ დისტანციური მართვის კურსი. შეგვიძლია ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში თბილისიდან გაუსვლელად მოვამზადოთ მაშველები, მაგრამ ამისათვის საჭიროა სპეციალური დანადგარები, ანტენები. დაგეგმილია მათი დადგმა ბათუმში, ქუთაისსა და თბილისში.

— **რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდნენ ის პირები, რომლებსაც მაშველებად მუშაობა სურთ?**

– მაშველი ფიზიკურად და გონებრივად უნდა იყოს განვითარებული. მხოლოდ ფიზიკური სიძლიერე არ კმარა. აუცილებელია სხარტი გონება და, რაღა თქმა უნდა, თბილი გული. კაცს, რომელსაც მაშველობა სურს, ადამიანი უნდა უყვარდეს. შეუძლებელია ბოროტი კაცი მაშველი იყოს.

— **ბატონო ილო, საბედნიეროდ, საგანგებო სიტუაციები ყოველდღე არ იქმნება, რას აკეთებს ასეული, როდესაც საქმე არ აქვს?**

– აქ უსაქმოდ გაჩერება არ შეიძლება. თუ გამოძახებაზე არ ვართ, ვვარჯიშობთ. ასეული შედგება ოთხი 16-კაციანი ოცეულისგან, რომელთაგან თითოეულს სამ დღეში ერთხელ მორიგეობა უწევს. ამ დროს მეოთხე ოცეული მთელი კვირის განმავლობაში ვარჯიშობს. ამჯერად მეცადინეობებს საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე ქართველი ინსტრუქტორები ატარებენ. შვეიცარიელები ნოემბერშიც ჩამოვლენ.

ამ წუთში ბაზაში მორიგეობს 16 კაცი, რომლებიც მზად არიან ნებისმიერი სამაშველო ღონისძიების ჩასატარებლად; 2-3 წუთში უნდა შეძლონ მომზადებაც და გასვლაც. ჩვენი დისლოკაციის ადგილი შორს არის ქალაქის ცენტრისგან. ამიტომ, თუ ცენტრალურ უბნებში ხდება შემთხვევა, ადგილზე პირველად გადის მანქანა,

რომელიც ყოველდღე ჩიტაძის ქუჩაზე, ყოფილი უშიშროების სამინისტროს შენობასთან დგას. აქვე ყოველდღე მორიგეობს ჩვენი ხალხი...

უცებ სირენა აკივლდა. განგაშია. ილო და ავთანდილი მამშვიდებენ, რომ ყველაფერი კარგად არის, განგაში საჩვენებელია. ახლა მაშველებმა შენობის ნანგრევებში მოყოლილი ადამიანის სიცოცხლე უნდა იხსნან. სირენა მანამ კივის, სანამ ჯგუფი ბაზის ტერიტორიას არ ტოვებს. ყველაფერი ისე სწრაფად ხდება, რომ აზრზე მოსვლას ვერ ვასწრებ. გამიკვირდა, რომ ანგარში არავინ შესულა საჭურვლის გამოსატანად. მაშველები მიხსნიან, რომ ავტომობილში ყოველთვის დევს ერთი სამაშველო ჯგუფისთვის საჭირო აღჭურვილობა. თუ საჭირო შეიქნა დამატებითი ძალები, შემთხვევის ადგილზე გასული ჯგუფი აცნობებს ბაზას და ანგარიდან დამატებით გამოიტანენ სამაშველო იარაღებს...

სასწავლო მოედანზე, დანგრეული შენობის იმიტაციაზე, მაშველები დაზარალებულებს ეძებენ, სავარაუდოდ, ნანგრევებში ორი კაცია მოყოლილი. მაშველები ნანგრევებზე ადიან, აკაკუნებენ, ადგილმდებარეობის დასადგენად დაკარგულებს უხმობენ. თუ პასუხი არ იქნა, შესაძლოა, იფიქრონ, რომ ადამიანი მკვდარია... საძიებო სამუშაოები მაინც გრძელდება, მაგრამ სხვა ტემპით, რათა მაშველისთვის სამუშაო ნაკლებსარისკო იყოს.

ავთანდილ წიკლაური: — როდესაც იცი, რომ ადამიანი ცოცხალია, ცდილობ, სწრაფად უშველო, მაგრამ როცა არაფერი ისმის, მაშველი მუშაობისას თავისი სიცოცხლის დაზღვევაზეც ზრუნავს...

...მაშველები ძიებას აგრძელებენ. ჯგუფს პოლიციის ლეიტენანტი, მაშველ-კონსტრუქტორი აჩიკო ქავთარაძე მეთაურობს. მოისმა დაზარალებულის სუსტი ხმა. ახლა ხმის მიხედვით ეძებენ. დაზარალებულთან მისასვლელად დაბრკოლება ხვდებათ, რისთვისაც საჭიროა სპეციფიკური იარაღის გამოყენება.

დაბრკოლება მალე გადალახეს ხელსაწყოების დახმარებით. რაციით გადმოგვცემენ, რომ დაზარალებულს საკაცეზე ათავსებენ და კისერს უფიქსირებენ, რათა გამოყვანისას გაუთვალისწინებელი შემთხვევა არ მოხდეს.

ავთანდილ წიკლაური: — ყოველთვის უნდა დაფიქსირდეს კისერი, რომ დაშავებული უმოძრაოდ იყოს. სავარჯიშო ნანგრევებში არის ლაბირინთები, სადაც სხვადასხვა სახის ხელსაწყოებით შედიან. აქ ყველაფერი უცებ ხდება, ნამდვილი შემთხვევის დროს კი ერთი დაზარალებულის გამოსაყვანად სულ მცირე ორი-სამი საათია საჭირო. შვეიცარიელების მეთვალყურეობით მეცადინეობები თითქმის რეალურთან მიახლოებულად ტარდებოდა და შესაბამისად მუშაობის პროცესიც საათობით გრძელდება. ერთ შემთხვევაში სამი დაზარალებული გვყავდა. მათი არც ადგილმდებარეობა იცოდნენ ბიჭებმა. ძიების პროცესში სპეციალური იარაღები, კომპრესორები, ჩალიჩი, რკინის საჭრელი უნდა გამოეყენებინათ. ამ დროს სწავლობენ სინკარის დაჭრას და კიდევ უამრავ რამეს. შესაძლოა, რეალურ სიტუაციაში სამაშველო ოპერაცია 24 საათსაც კი გაგრძელდეს. ამ დროს სამაშველო სამსახური ჯგუფებად იყოფა ერთმანეთთან შესანაცვლებლად. მერვე პოლკის დასახლებაში შენობის ჩამონგრევის დროს 24 საათის განმავლობაში ვმუშაობდით. ორი ჯგუფი ენაცვლებოდა ერთმანეთს. საკმაოდ მძიმე შემთხვევა იყო. სინკარები ერთმანეთზე იყო დაწყობილი და სარდაფში ჩატანილი. მათ შორის კი ორი ქალი მოყვა. მათი გადარჩენა შეუძლებელი იყო...

დაშავებული ნანგრევებიდან საკაცეზე დაკრული გამოჰყავთ. კისერი დაფიქსირებულია. აწევ-დაწევა ხელმძღვანელის თვალით ხდება.

დაზარალებულს გამოყვანის შემდეგ პირველად სამედიცინო დახმარებას უწევენ. რეალურ შემთხვევაში მას შემდეგ სასწრაფო-სამედიცინო დახმარების პერსონალი მიხედავს.

ილია ხურციძე: — სამაშველო ოპერაციის დაწყების წინ სიტუაციას ვაანალიზებთ; ვარკვევთ, რამ გამოიწვია კატასტროფა და ამის მიხედვით ვგეგმავთ სამუშაოს. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება სამაშველო სამუშაოები არაპროფესიონალმა დაიწყოს. დიდუბეში, მაუდის ფაბრიკაში შენობა ჩამოინგრა და კაცი მოყვა ნანგრევებში. ბეწვზე მივუსწარით. მშენებლებს მიუყენებიათ მძიმე ტექნიკა და ცდილობდნენ, სინკარები აეწიათ. კაცი ისე ჩაჭედილიყო, რომ ერთი დაუდევარი მოძრაობაც კმაროდა მის გასაჭყლეტად...

ოპერაციის შემდეგ ბიჭები ისვენებენ. მათთან გასაუბრებით ვცდილობ გავარკვიო, რატომ მიუწევთ გული ამ სამსახურისკენ.

დათო ღვინიაშვილი დიდი ხანი არ არის, რაც აქ მუშაობს. 2004 წელს გამხდარა მაშველი. მაშველობა ყველაზე ჰუმანურ სამსახურად მიაჩნია და ამიტომაც გაუკეთებია ასეთი არჩევანი.

— პირველად რომ გავედი შემთხვევაზე, ცოტა კი გამიჭირდა, მაგრამ წამებში გავიაზრე, როგორ ვჭირდებოდი ვიღაც განწირულს. ამ დროს საკუთარ თავზე ფიქრის დრო არ გაქვს, სხვისი სიცოცხლე უნდა იხსნა.

**— შეიძლება თუ არა თქვენი სამუშაო დაყოთ ძნელად და მარტივად?**

— არა. როდესაც მაშველი სჭირდებათ, ესე იგი, საქმე ცუდადაა. მაშველობა ძნელია ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც. შემთხვევაზე გასვლის წინ ვნატრობ ხოლმე,



**სამაშველო ოპერაცია რომ ეფექტიანი იყოს, მაშველი ათობით პროფესიას უნდა ფლობდეს...**







კრიტიკული სიტუაციების დროს მაშველებისთვის არც ავდარია და არც დასვენება. მათი საქმე სხვების დახმარებაა



ხშირად ისეა საქმე, ნიჩბის გადაგდება და ფრჩხილებით თხრა გიწევს...

ნეტავ დაშავებულები ცოცხლები დაგვხვდნენ-მეთქი. ყველაზე ხშირად კი იმას ვნატრობ, მაშველი არავის დასჭირდეს.

მახარე ბზეკალავაზე ამბობენ, მაშველისთვის ყველაზე შესაფერი სახელი ჰქვიაო: — სამაშველო სამსახურში მოსვლამდე სპორტსმენი ვიყავი; გუნდურ სახეობაში ვვარჯიშობდი და კარგად ვიცოდი ურთიერთგაგების ფასი. აქაც იგივეა. თუ მაშველებს ერთმანეთი არ უყვართ, ვერავის უშველიან.

აჩიკო ქავთარაძეს ყველაზე დიდ სიხარულს ნანგრევებიდან ადამიანის ამოყვანა ჰგვრის: — ამ დროს უდიდეს პასუხისმგებლობას ვგრძნობ და სამშვიდობოს გამოყვანილი კაცი რომ ამოისუნთქავს, გული სიხარულით მღერის. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მართლა მღერის.

როდესაც ვიცი, რომ დაშავებულს ცოცხალს ვეღარ ნახავ, ძებნის აზარტი მინელდება. დიდუბეში, რომ დავრწმუნდით, დაზარალებულს ცოცხალს ამოვიყვანდით, ვეხუმრებოდი, გოგი ძია, არ წახვიდე, დაგველოდე-მეთქი. ისიც მპასუხობდა, ჰო, გელოდებიო. ნანგრევში ჩაფლულ მის სახეს ვერ ვხედავდით და ვეკითხებოდი, საით იყურები-მეთქი? — ლანჩხუთისკენო. გაგვიმართლა, რომ გურული იყო. სულით ძალიან ძლიერი იყო, თორემ მისი გადარჩენა გაგვიჭირდებოდა. მის გადარჩენაში ღვთის ხელი ერია.

გიორგი აფციაურს თურმე სიცოცხლე ემატება, როდესაც გასაჭირში ჩავარდნილ კაცს გადაარჩენს.

როგორც მითხრეს, ბიჭები ჟურნალისტებზე ყოფილან განაწყენებული. თურმე ჩემი კოლეგები სამაშველო სამუშაოების დროს ხელს უშლიან. მათ მოსაგერიებლად სპეციალური მეცადინეობებიც კი უტარდებათ. ჩივიან, ხანდახან არასწორად აშუქებენ ფაქტებსო.

თურმე სამაშველო სამუშაოების დროსაც შეიძლება შეიქმნას კურიოზული სიტუაცია. მახარემ გაიხსენა: „შარშან, შემოდგომაზე, წყალდიდობისას მდინარე გუბაზოულს კაცი მიერიყა. გამაღებული ვმუშაობდით მის გადასარჩენად. ამ დროს გამგებელი მოვიდა და გასძახა, რას აკეთებ მანდო, ქვირითს ყრი, გენაცვალეო, გამოსძახა გამწარებულმა.

ერთხელ კი ავტოავარიის გამო მანქანაში ჩაჭედილი კაცი გადავარჩინეთ. ჟურნალისტები მიცვივდნენ, ვინ გამოგიყვანათ მანქანიდანო, ამანაც უპასუხა, მაშველებმა გადამარჩინეს, მადლობა პატრულსო.

როგორც ბიჭები ამბობენ, ყოველი ოპერაციის დროს გრძნობენ, რომ იდუმალი ძალა მფარველობთ.

აჩიკო: – 2004 წელს ირანში, ბამზე, მიწისძვრა რომ მოხდა, სამაშველო ოპერაციებში ჩვენც ვმონაწილეობდით. მაშინ დაგვიახლოვდნენ კორეელი მაშველები. საინტერესო რამ გვითხრეს: ჩვენთვის თითოეული გამოძახება ეშმაკთან ბრძოლას ნიშნავსო. დაზარალებულის საშველად იმ განწყობით მიდიან, რომ ღვთის სათნო საქმე გააკეთონ. ამ ამბავმა ძალიან დამაფიქრა. სამაშველო ოპერაციის დროს მართლაც სიკვდილს ამარცხებ და ამის განცდა უდიდეს სიამოვნებას განიჭებს. იმ მომენტში, როდესაც მუშაობ, არც დაღლილობა გახსოვს და არც სხვა რამ. თან, ემოციაც არ უნდა მოგერიოს; ფხიზლად, ცივი გონებით უნდა იმოქმედო. მაშველის შრომა საათის მექანიზმის მუშაობას ჰგავს. როგორც კი რაღაც შეგეშლება, საათიც მოიშლება და შესაძლოა, ყველაფერი სავალალოდ დამთავრდეს.

2002 წელს ტაბაწყურის ტბაზე შვიდი კაცი დაიღუპა ერთდროულად. ოჯახი ამოწყდა, ნავი გადაბრუნდა. მხოლოდ ერთადერთი ბავშვი გადარჩა. მან მიგვითითა დაღუპულების სავარაუდო ადგილი. ერთი კვირის განმავლობაში ვეძებდით დაღუპულებს. პირველივე დღეს ვიპოვეთ ხუთი ცხედარი. ორი ბავშვი კი ერთ კვირას ვეძებეთ. გადავატრიალეთ ყველაფერი. წყალში ყოფნის ნორმებიც კი დავარღვიეთ. ორგანიზმი გადაგვიცივდა. 20-მეტრიან სიღრმეზე ყვინთვას თავისი წესები აქვს. მე და მახარე ვმუშაობდით წყვილში. წყალში მხედველობა არ იყო. ხელის ცეცებით ვეძებდით გვამებს. დილით ჩვენი მეგობარი ილო ჯამრიშვილი ჩავიდა და გოგონა იპოვა, მე კი პატარა ბიჭი. შესაძლოა, დაუჯერებლად გეჩვენოთ, მაგრამ ფსკერზე მუხლებზე დავვარდი. ბავშვი გულში ჩავიხუტე. პირჯვარი გადავიწერე და „მამაო ჩვენო“ ვთქვი. არ ვიცი, რა ძალამ მიბიძგა ამისკენ. რომ ამოვედით, ბავშვი ისე გამომართვეს, როგორც ცოცხალი. გაოგნებული ვიყავი. მკოცნიდნენ. დედა ტიროდა, შენ მე შვილი დამიბრუნეო. ცუდად გავხდი. გული მეტკინა. მეც ადამიანი ვარ. გამოვედი, კიბეზე ჩამოვჯექი და ვიღაცამ დამცინა, ესენი არიან მაშველებიო. უფრო მეტკინა გული, როგორც ჩანს, ზოგიერთს ჰგონია, უგულოები ვართ. ურწმუნო რომ იყო და სანთელიც კი არასოდეს გქონდეს ანთებული, სამაშველო სამსახურში მიხვდები, რომ ღმერთი უთუოდ არსებობს. ამ დროს რაღაც უხილავი ძალა გმფარველობს და ამას მთელი არსებით გრძნობ...

შესვენება დამთავრდა. ჯგუფი აუდიტორიაში მიდის, სადაც ვიდეოკამერით გადაღებული ავტოსაგზაო შემთხვევა უნდა განიხილონ. ეს შემთხვევაც დადგმულია. ავთანდილ წიკლაური მიხსნის, რომ „სპექტაკლი“ ფრანგი ექსპერტების მითითებით დადგეს. ქართველ მაშველებს სწორედ ფრანგები ამეცადინებდნენ ავტოსაგზაო შემთხვევის დროს შესასრულებელ სამუშაოებში.

კადრში გამოჩნდა აყირავებული მანქანა; საჭესთან ფეხები ჩასჭედვია მძღოლს. ავარიის ადგილზე პირველად საპატრულო პოლიცია მიდის და სახანძრო, სასწრაფო-სამედიცინო და სამაშველო სამ-







ავტოსაგზაო შემთხვევების დროს ადამიანის ბედ-იღბალს ხშირად წამები წყვეტს. ამიტომ გამუდმებითი ვარჯიში შანსებს გვმატებს...

სამწუხაროდ, ტექნოგენური კატასტროფები გაგვიხშირდა...

სახურებს იძახებს. ბიჭები მსჯელობას იწყებენ: პატრულმა უსაფრთხოების წესები დაარღვია, მანქანაში არ უნდა შესულიყო. „ყველამ თავისი საქმე უნდა იცოდეს და ერთმანეთის კომპეტენციაში არ უნდა ერეოდნენ. ჩვენთან ეს საკითხი ცოტა ვერ არის რიგზე. ყველა სამსახური ერთდროულად უნდა მიდიოდეს შემთხვევის ადგილზე. ასე, მაგალითად, საფრანგეთში. იქ სასწრაფო-სამედიცინო დახმარების, სახანძრო და სამაშველო სამსახურები ერთდროულად, ერთი სადგომიდან გადიან შემთხვევის ადგილზე. პრობლემის ოპერატიული მოგვარებისთვის ასე სჯობია“, — ამბობს ავთანდილ წიკლაური.

მაშველი გადაბრუნებულ მანქანაში დაზარალებულთან შედის, მის ფიზიკურ მდგომარეობას ამოწმებს და თავს უკავებს. ბიჭები მიხსნიან, რომ ის დაზარალებულთან მანქანიდან გამოყვანამდე უნდა დარჩეს და ამ ხნის განმავლობაში ეჭიროს მისი თავი; განუწყვეტლივ უნდა ელაპარაკოს, რათა ფსიქოლოგიურად განმუხტოს.

პოლიცია ცდილობს სეირის მაყურებელი ხალხი და ჟურნალისტები მოიგერიოს, რომლებიც აშკარად ხელს უშლიან მუშაობაში. მაშველები მანქანას ამაგრებენ, რომ არ გადაყირავდეს. ამ შემთხვევაში ყველაზე დიდი საფრთხე დაზარალებულს ემუქრება. მას თხელი საბანი გადააფარეს, მანქანის დაჭრისას მტვერი რომ არ დაეყაროს.

გიორგი აფციაური: — ზოგჯერ მანქანის პატრონი, მიუხედავად იმისა, რომ დაშავებულია, გვეხვეწება, მანქანა არ დაჭრათო. ქონებას უფრთხილდებიან, საკუთარი თავი კი ავიწყდებათ. მანქანას იმიტომ ვჭრით, რომ სივრცე გაფართოვდეს დაზარალებულის გამოსაყვანად.

ძალზე ძნელია მუშაობა, თუ დაშავებული შოკშია და თავს ვერ აკონტროლებს, — გლანძღავს, გცემს კიდეც. ამ დროს ვცდილობთ, დაზარალებული გამოვაფხიზლოთ. აჩიკო: — დაზარალებულის ამოყვანის დროს თითოეულ მოძრაობას დიდი მნიშვნელობა აქვს. ერთ არასწორი მოძრაობა და შესაძლოა, ისეთი ზიანი მიადგეს, რომ მერე სამედიცინო სამსახურმა ველარაფერი უშველოს. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს სიმშვიდეს. აი, ნახეთ კადრში რა ჩანს. ექიმები იმდენად შევიდნენ როლში, რომ მართლა უკეთებენ ნემსს. დაზარალებული ყვირის, რას შვრებით, რას შვრებითო, მაგრამ ნემსი უკვე ვენაშია...

მაინტერესებს, ქალებს თუ აქვთ მაშველებად მუშაობის სურვილი. ცნობილია, რომ წყალქვეშ ქალის ფილტვები უფრო დიდხანს ძლებს უჰაეროდ და სიცივესაც კაცზე უკეთ იტანს ქალი. მიუხედავად ამისა, ბიჭები ამბობენ, რომ ქალის მაშველობას ქართული ხასიათი ვერ შეეგუება.

აჩიკო: — აბა, როგორ გაგიძლებს გული, რომ ქართველმა კაცმა ქალი მძიმე სამუშაოზე მიუშვა.

ავთანდილი: — ისე, ჩვენთან შესაძლოა, ქალისთვისაც მოიძებნოს საქმე.

სპიტაკში ერთი ქალი რამდენიმე დღე იყო ნანგრევებში; ამბობდა, ისეთ მდგომარეობაში ვარ, თუ ქალები არ მოვლენ, არ ამოვალო; მზად იყო, ნანგრევებში მომკვდარიყო, ოღონდ კი მამაკაცებს არ ენახათ.

ილო ხურციძის თქმით, მალე თბილისის მერიას თავისი სამაშველო სამსახური ეყოლება და მხოლოდ ის მოემსახურება ქალაქს: „ჩვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში დაგვიკავშირდებიან, თუ ვერ გაუმკლავდებიან საქმეს. მერიის მაშველთა ჯგუფიც ჩვენთან მოემზადება. მართლაც, სჯობია, ქალაქს სხვა სტრუქტურაც ჰყავდეს, რომელიც შედარებით მარტივ პრობლემებს გაუმკლავდება ჩვენ კი უფრო რთული შემთხვევების დროს ჩავერთოთ ხოლმე“.

გიორგი აფციაური ხალისით იხსენებს ერთ ამბავს: „ერთხელ გამოგვიძახეს, კარი ჩაგვეკეტა, შინ კი ბავშვს სძინავს, იქნებ გვიშველოთო. კარი რომ გავაღეთ და დედა საძინებელში შევიდა, მერე მადლობა გადაგვიხადა და დაგვემშვიდობა. დავინტერესდით, ბავშვი რა ასაკის იყო; 17 წლისო, რომ გვითხრა, ჯერ გაგვეცინა, მერე კი ვუსაყვედურეთ, ამხელა მუტრუკის გამო რატომ გამოგვიძახე-მეთქი, ნასვამიაო“.

ერთ ქალბატონს დაურეკავს მაშველებთან, ჩემი პატარა ხეზე აძვრა და ველარ ჩამოდის, მიშველეთო. „პატარა“ კატა აღმოჩნდა და არა ბავშვი, როგორც მაშველებს ეგონათ.

„არსენალი“ იმითაც დაინტერესდა, რა ხდება დეპარტამენტში, როდესაც მაშველები შემთხვევის ადგილზე მუშაობენ.

კრიზისების მართვის განყოფილების უფროსის ვახტანგ გლოველის თქმით, მსხვილმასშტაბიანი სტიქიური უბედურების ან ტექნოგენური კატასტროფის შემთხვევაში საგანგებო სიტუაციათა მართვის დეპარტამენტი განიხილავს შექმნილ მდგომარეობას. პრობლემის ხასია-

თისა და მასშტაბების მიხედვით განსაზღვრავს საქმეში სამინისტროებისა და სხვადასხვა სამსახურის ჩართვის საკითხს. საგანგებო სიტუაციების კრიზისის მართვის განყოფილება კი მუშაობას 24-საათიან კრიზისულ რეჟიმში იწყებს. სამინისტროებისა და სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებს შეტყობინება დაეგზავნებათ. დათქმულ დროზე კრიზისის მართვის ცენტრში შეიკრიბება მართვის ჯგუფი, რომელიც შემთხვევის ადგილზე მყოფი მაშველებისგან გამუდმებით იღებს ცნობებს. მიღებული ინფორმაცია მუშავდება კრიზისის მართვის, პროგნოზისა და ანალიზის განყოფილებებში. თუ სახელმწიფო მის ხელთ არსებული ძალებით ვერ უმკლავდება პრობლემას, მოითხოვს საერთაშორისო დახმარებას.

სამოქალაქო უსაფრთხოების სამმართველოს ანალიზისა და პროგნოზის განყოფილების ინსპექტორი გელა ცაავა: – საერთაშორისო დახმარების შესახებ განაცხადს საგარეო საქმეთა მინისტრი აკეთებს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, რის შემდეგაც ჩვენი დეპარტამენტის ხელმძღვანელობა ოფიციალურად მოითხოვს საერთაშორისო ჰუმანიტარულ დახმარებას. ამისთვის არსებობს სპეციალური მიმართვის ფორმა, რომელიც ეგზავნება NATO-ს კატასტროფებზე რეაგირების ევროატლანტიკურ საკოორდინაციო ცენტრს, გაეროს ჰუმანიტარულ საქმეთა ოფისს (UNO, OCHA). დახმარების მოთხოვნას წინ უძღვის პირველადი ინფორმაცია კრიზისული სიტუაციის შესახებ; მიღებული ინფორმაცია დამუშავდება და 24 საათის განმავლობაში გადაეგზავნება NATO-ს წევრ და არაწევრ სახელმწიფოებს. ქვეყნები, რომლებიც დახმარების სურვილს გამოთქვამენ, დაუკავშირდებიან NATO-ს საკოორდინაციო ცენტრს ან ჩვენ. ამის შემდეგ ვიცავთ ყველა იმ პროცედურას, რომელიც საჭიროა საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების მისაღებად. ეს პროცესი ორ-სამ დღეს გრძელდება. სულ ბოლოს საერთაშორისო დახმარება ბორჯომი-ხარაგაულის ტყეპარკში გაჩენილი ხანძრის გამო დაგვჭირდა. ჩვენმა დეპარტამენტმა თურქეთიდან და უკრაინიდან ჩამოიყვანა ვერტმფრენები.

— **შეიძლება დაასახელოთ პრობლემები, რომელთა მოგვარება კიდევ უფრო გააძლიერებს ქართულ სამაშველო სამსახურს?**

ვახტანგ გლოველი: – ჩვენი სამსახური ჯერჯერობით საერთაშორისო მოთხოვნას ვერ უპასუხებს. სამინისტრო ძალიან გვეხმარება. უცხოეთში ინტენსიური კავშირები გვაქვს არა მარტო ჩვენნაირ უწყებებთან, NATO-ს ევროატლანტიკური რეაგირების ცენტრთანაც. ძალიან გვეხმარება აშშ-ც. წელიწადში რამდენჯერმე ეწყობა საერთაშორისო სწავლებები, ტრენინგები, სემინარები, სადაც ჩვენც ვმონაწილეობთ.

თუ სახელმწიფო ეკონომიკურად გაძლიერდება, ჩვენი ფინანსური მდგომარეობაც გაუმჯობესდება. სამდურავი მაინც არ გვეთქმის. გვაქვს კარგი კომპიუტერული ბაზა, კრიზისის მართვის ცენტრი. მართალია, საერთაშორისო ორგანიზაციები გვეხმარებიან, მაგრამ სახელმწიფოს წილიც დიდია. მხოლოდ მაშველების ჩაცმა-დახურვას სჭირდება დიდი თანხები, რომ აღარაფერი ვთქვათ აღჭურვილობაზე. ის, რაც ანგარში ნახეთ, ყველა რაიონის სამაშველო სამსახურს უნდა ჰქონდეს.

— **ვფიქრობ, ერთი ძალიან მნიშვნელოვანი სამაშველო იარაღი — შვეულმფრენი გაკლიათ.**

შსს ხელმძღვანელობა განიხილავს ჩვენთვის შვეულმფრენის შეძენის საკითხს და, ალბათ, უახლოეს ხანში ეს პრობლემაც მოგვარდება.

თავის დროზე დეპარტამენტს კინოლოგიური სამსახურიც ჰქონია, რომელიც ასევე უსახსრობის გამო გაუუქმებიათ. არადა, ძაღლები ძალიან ძნელ სამუშაოებს ასრულებენ. ისინი უბადლო ყოფილან ნანგრევებში დაკარგულების მოსაძებნადაც.

მაშველებს აწუხებთ დაუდევარი უცხოელი ტურისტების საქციელიც.

„ჩამოდიან საქართველოში და ისე დახეტიალობენ ჩვენს მთებში, რომ არავის არაფერსატყობინებენ. მერე, რომ დაიკარგებიან, ძნელია მათი პოვნა. ლაპარაკია იმ ხალხზე, ვინც თავისი ინიციატივით ჩამოდის საქართველოში და არა ტურისტული სააგენტოების დახმარებით. ასეთმა დაუდევრობამ კი, მოგეხსენებათ, რა შედეგიც მოიტანა შარშან პოლონელი და კანადელი ალპინისტების შემთხვევაში. ადგილობრივი სამაშველო-დამხმარე ჯგუფებიც კი არ ჰყავდათ გაფრთხილებული, რომ აღარაფერი ვთქვათ ცენტრალურ სამაშველო სამსახურზე. ყველა, ვინც უსაფრთხოების წესებს იცავს, მოდის და რეგისტრირდება ჩვენთან. გვიტოვებენ მარშრუტს და თუ სურთ, მეგზურებად მაშველებსაც ვაყოლებთ. ბრმად მთაში კი არა, ბარშიც არ შეიძლება სიარული", — ჩივის ილია ხურციძე.

მახარე მიმტკიცებს, რომ დავით აღმაშენებელსაც ჰყოლია სამაშველო ჯგუფები, რომლებიც სტიქიური უბედურების დროს ეხმარებოდნენ ხალხს. ამ ჯგუფს ბრძოლაც შეეძლო და სამაშველო ოპერაციების ჩატარებაცო.

თანამედროვე მაშველები საომარი ოპერაციების დროს არ იბრძვიან. ომში მათ თავიანთი საქმე აქვთ და რომელ ქვეყანასაც უნდა წარმოადგენდნენ, ხელშეუხებელი არიან. ამ წესს, ძირითადად, ყველგან იცავენ, მაგრამ ზოგჯერ ისეც ხდება, რომ მაშველებსაც და ჟურნალისტებსაც ერჩიან.

ეკა ლომიძე

ხარაგაულ-ბორჯომის ტყე-პარკში ქართველ მაშველებს უცხოელი კოლეგების დახმარება დასჭირდათ



ეროვნული ბიბლიოთეკა

# რომაელი ლეგიონერების საბრძოლო ძაღლები

**საბრძოლო მოქმედებებში ცხოველების გამოყენების ისტორია ისევე ძველია, როგორც თავად ბრძოლების ისტორია. არც ერთი საბრძოლო ლაშქრობა, თვით მე-20 საუკუნის შუახანებამდე, არ ჩატარებულა ცხოველების გარეშე. ყველაზე გავრცელებული ცხენები და აქლემები იყო, ვირს კი დღესაც ვერ მოუნახეს შემცვლელი მთაში უღელტეხილების გადასვლისას; საბრძოლო სპილოებს არაერთხელ უკუუქცევიათ მტრის ლეგიონები; ვერაგი ინდიელები ალყაშემორტყმულ ციხესიმაგრეებში შხამიანი გველებით სავსე კალათებს ისროდნენ; რომაელი ლეგიონერები კი მტერს საბრძოლო ძაღლებითაც სცემდნენ თავზარს.**





რომაელთა ზორბა, მეტრამდე ნიდაოთი, საზარელი შესახედაობის საბრძოლო ძაღლებს საგანგებო საბრძოლო საჭურველი ემოსათ. როგორც წესი, საჭურველი მეტალის ან ძროხის მოთრიმლული ტყავის ბაკანს წარმოადგენდა, ძაღლს რომ ზურგსა და გვერდებს უფარავდა. მუცელსა და უფრო მოძრავ ნაწილებზე მეტალის რგოლების აბჯარი ეცვათ. ხშირად ძაღლებს თავზე წვეტებიან ან ბასრსამართებლიან მეტალის მუზარადს ახურავდნენ. მთავარი „მორთულობა" ოცდაათიოდე სანტიმეტრის ხშირწვეტებიანი საყელური იყო. საყელურს ისე უმაგრებდნენ, რომ ზედა წვეტი ან სამართებელი, რომლებითაც ძაღლი ცხენებს მუცლებს უფატრავდა, გვერდზე ან ქვემოთ არ გადაბრუნებულიყო და ძაღლი არ დაეჭრა...

ბრძოლის წინ რამდენიმე ასეული ძაღლი ხმის ჩახლეჩამდე ყეფდა, საბელების გაგლეჯასა და მტერზე თავდასხმას ლამობდნენ. ზოგიერთი უტყვად, ერთიანად დაძაგრული გაირინდებოდა, ძალას უქმად არ კარგავდა და მხოლოდ წინ გადახრილი კორპუსით ეტყობოდა ბრძოლისათვის მზადყოფნა. ამ ძაღლებს ბევრჯერ ჰქონდათ ნაგემები სისხლის გემო და ხმლის პირის სიმწვავე, მათ სხეულებს რომ სხეპდა, მაგრამ ასეთები ცოტანი იყვნენ, რადგან ბევრი იშვიათად თუ მიაღწევდა მეორე ბრძოლამდე, მით უმეტეს, მესამემდე.

ძაღლი მონას გაჰყავდა ბრძოლის ველზე და მისი ბრძანების გარეშე ნაბიჯსაც არ წადგამდა წინ. როგორც კი საბრძოლო დაფდაფების ხმა გაისმოდა, მონა და ძაღლი ერთად დაიძვრებოდნენ მტრისაკენ.

ძაღლების შერჩევა, რომელთაც რომაელთა ლეგიონებში უწევდათ სამსახური, ლეკვების დაბადებიდან მეორე-მესამე კვირას იწყებოდა. ასე, ნახევარ მეტრამდე, დამრეცპირიან ორმოს ამოთხრიდნენ და წვიმიან ამინდში (ან უბრალოდ წყალს ჩაასხამდნენ) ორმოში ნაყარს ჩაყრიდნენ. მეძუძურ ძუკნას შორიახლოს მიაბამდნენ. იმ ლეკვებს, რომლებიც ორმოდან ამოსვლას შეძლებდნენ, ახალი გამოცდა ელოდათ, დანარჩენებს კი იმავე ორმოში მარხავდნენ.

რომში საბრძოლო ძაღლებს უმეტესად მონები წვრთნიდნენ. ძაღლსაშენი ყაზარმების ახლოს იყო, იქ, სადაც მებრძოლები ვარჯიშობდნენ, ხმლებით, შუბებითა და ნაჯახებით ერკინებოდნენ ერთმანეთს. ამიტომაც ძაღლები ლეკვობიდანვე იყვნენ შეჩვეულნი ბრძოლის ხმებსა და ყიჟინას.

ლეკვებს ძუძუ რაც შეიძლება დიდხანს უნდა ეწოვათ, ამაზე სრულფასოვან კვებას სად იპოვიდნენ, მაშინ ხომ მშრალი საკვები და საკვები დანამატები არ არსებობდა. შემდეგ კი კვებას ასე აგრძელებდნენ: სალაფავიან ჯამს მაღლობზე შემოდგამდნენ, ლეკვებიანი ჩარდახები და გალიები კი ქვემოთ იდგა. მაღლობის ფერდობები მორებითა და ურმებით, ძველი ფარებითა და მიწაში ჩარჭობილი შუბებით იყო მოფენილი და ბრძოლის ველს ჰგავდა. საკვებამდე რომ მიეღწიათ, ლეკვებს წინააღმდეგობა უნდა გადაელახათ, თანაც, რაც შეიძლება სწრაფად, ბოლოს ხომ აღარაფერი შეხვდებოდა. კვირაში ერთხელ მორებს, შუბებსა თუ ფარებს გადააადგილებდნენ, რადგან ძაღლები იოლ ბილიკს გაკვალავდნენ ხოლმე და მერე მხოლოდ მას მიჰყვებოდნენ.

ექვსი თვის შემდეგ ძაღლებს ცალ-ცალკე კვებავდნენ, წინააღმდეგობათა ზოლზე კი ახლა უკვე მეომრებთან ერთად გარბოდნენ. ამ დროს იწყებდნენ მათ გაწვრთნას ტაცების უნარის გასავითარებლად. გალიებში ძაღლებს ტყავით ან ჩვრებით სქლად გადახვეულ ძროხისა ან ცხენის მენჯ-სახსრის ძვლებს ჯაჭვებით დაუკიდებდნენ. ძვლის ხელში ჩასაგდებად ძაღლს გვარიანი გარჯა უწევდა. ხის მძიმე შოთებით თამაშსაც აჩვევდნენ — სირბილითა და შოთების აქეთ-იქით გადატანით კისრის კუნთებსა და

ქებს უვარჯიშებდნენ. წლისა რომ შესრულდებოდა, საკმაოდ მძიმე საჭურვლის ტარებას ასწავლიდნენ, მაგრამ მაშინაც კი, როცა ძაღლი საჭურვლის სიმძიმეს ვეღარ გრძნობდა, მისი ძალისა და ამტანობის გასაზრდელად წვრთნა მაინც გრძელდებოდა.

ყველაზე მნიშვნელოვანი ძაღლებში უცხო ადამიანებისადმი უნდობლობისა და აგრესიულობის გამომუშავება იყო, მაგრამ აღმზრდელები მკაცრად ადევნებდნენ თვალს, რომ ძაღლები ერთმანეთს არ წაჰკიდებოდნენ და ამისათვის მკაცრადაც სჯიდნენ. მათ, ვინც ურჩობას იჩენდა, ხოცავდნენ. ერთ ძაღლსაც კი, რომელიც ჩხუბს წამოიწყებდა, შეეძლო საბრძოლო წესრიგი დაერღვია და მთელი არმია დაეზარალებინა.

მიქსევაზე ვარჯიშს ახალგაზრდა და გამოუცდელი ძაღლებიც ესწრებოდნენ, ამიტომაც პირველი მეცადინეობისათვის უკვე მზად იყვნენ, დაეგლიჯათ მტერი. მათთვის მხოლოდ და მხოლოდ ისღა უნდა ესწავლებინათ, როგორ გაეკეთებინათ ეს უფრო უკეთ.

პირველ მეცადინეობას უფრო გამოცდილი მონა ატარებდა. ტანთ სქელ, მაგრამ რბილ, ძაღლისათვის საკბენად სასიამოვნო დამცავ ტყავს გადაიცვამდა. პირველი ტაცება ძალზე მნიშვნელოვანია — ძაღლს თავდასხმის სტერეოტიპი უყალიბდება, რასაც არასოდეს გადაუხვევს. ამიტომაც თითოეულ ძაღლს ინდივიდუალურად წვრთნიდნენ, მისი მიდრეკილებებიდან და ანატომიური თავისებურებებიდან გამომდინარე. საშუალო სიდიდის ძაღლებს პირველად საზარდულს ან აქილევსის მყესს მიუშვერდნენ, უფრო დიდრონებს — ხელებსა და ყელს. მასიურ ძაღლებს მოკლე და მძლავრ ტაცებას ასწავლიდნენ, უფრო მოძრავებს სასიკვდილო ჩაჭერებს კორპუსის ჩართვით, ე. წ. „გამოვლებას“.

თანდათან მეცადინეობები რთულდებოდა — „მტერი“ დაეცემოდა, ძაღლისთვის დარტყმის მიყენებას ცდილობდა, ღრიალებდა. შემდეგ თავდამსხმელების რაოდენობას ზრდიდნენ და ერთდროულად რამდენიმე ძაღლს მიუშვებდნენ. მეცადინეობებზე ცდილობდნენ შესაძლო მოწინააღმდეგის საჭურველი გამოეყენებინათ. არცთუ იშვიათად წვრთნის ბოლო სტადიებზე ნამდვილ მოწინააღმდეგესაც გამოიყვანდნენ, მისდა საუბედუროდ რომ ტყვედ იყო ჩავარდნილი.

ბრძოლის წინ ძაღლებს წითელი ფხვნილით (რომლის შემცველობა, სამწუხაროდ, არ შემონახულა) უხვად გაზავებულ სალაფავს მისცემდნენ და მერე ძაღლს დიდხანს ჰქონდა კაშკაშა წითელი ხახა, ნერწყვიც კი წითლად ელებებოდა, რაც მოწინააღმდეგეზე დამთრგუნველად მოქმედებდა. ზოგიერთი ცნობით, საბრძოლო ძაღლების სალაფავში ისეთ მცენარეთა და ბალახეულის ნაყენს ურევდნენ, რაც ძალზე აქვეითებდა ტკივილის შეგრძნებას, სამაგიეროდ, ზრდიდა აგრესიულობას.

ბრძოლის შემდეგ მონები ძაღლებს მიიხმობდნენ, დალუპულებს საჭურველს მოხსნიდნენ და დაჭრილებს კი დახოცილი მეომრებისა და ცხენების ქვემოდან ათავისუფლებდნენ. მათ, ვინც თავად მივიდოდა სალაფავიან და წყლიან ჯამთან, ჭრილობას დაუმუშავებდნენ და შეუხვევდნენ, მაგრამ ხშირად ამის გამკეთებელი არავინ იყო, რადგან მონებიც ძაღლებივით იხოცებოდნენ...

როგორც ამბობენ, რომაელ ლეგიონერთა საბრძოლო ძაღლების წინაპარი მოლოსური ძაღლი იყო. რომაელ მოლაშქრეებს შეუყვანიათ ის პირველად რომის იმპერიაში. სწორედ იმ რომაელი ძაღლების შთამომავლებად მიიჩნევიან როტვეილერი, კანეკორსო, ნეაპოლური მასტიფი და სხვ.. ბუნებრივია, მათ დღეს ბრძოლებში არავინ იყენებს, მაგრამ როცა მათ შევყურებთ, მიახლოებით მაინც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორი იყო რომაელ ლეგიონერთა საბრძოლო ძაღლი.



# სამხედრო ლექსიკონი

**მოგეხსენებათ, ხშირია შემთხვევები, როდესაც ქართველი სამხედრო თუ სამოქალაქო პირები რუსულ სამხედრო ტერმინოლოგიას იყენებენ. ეს იმიტომ ხდება, რომ მათ ამ სიტყვების ქართული შესატყვისი არ იციან. ამ ხარვეზის გამოსასწორებლად „არსენალი“ აგრძელებს რუსული სამხედრო ტერმინების ქართული შესატყვისების გამოქვეყნებას.**

кавалерист — მხედარი, კავალერისტი
кавалерия — ცხენოსანი ჯარი, კავალერია
казарма — ყაზარმა
калибр — კალიბრი
камера — კამერა
камнемет — ქვასატყორცნი
камора — სათავსი
кампания военная —სამხედრო კამპანია
камуфляж — კამუფლაჟი
канал1 — არხი
канал2 — ღრუ
канцелярия ротная — ასეულის კანცელარია
каньон —კანიონი, ღრმული
капельно-жидкий — წვეთურ თხევადი
капитуляция — იარაღის დაყრა, კაპიტულაცია
капсюль — ფისტონი, კაფსული
капсюль-патронный — ვაზნის კაფსული
капсюль-воспламенитель —კაფსულ-მაალებელი
капсяль-детонатор — კაფსულ-დეტონატორი
каптенармус — მეკუჭნავე, კაპტენარმუსი
кара — სასჯელი
карабинер — კარაბინერი
карантин — კარანტინი
карательный — დამსჯელი
караул — ყარაული, გუშაგი
карта — რუკა
карцер — კარცერი
каска — ჩაჩქანი, ზუჩი
катапулта — კატაპულტა
катер — კატარღა
катер десантный — სადესანტო კატარღა
катер жозорный — მზირი კატარღა
катер минный — სანაღმე კატარღა
катушка — კოჭა
качка — რწევა, რყევა, ქანაობა
качка бортовая — გვერდული რწევა
качка килевая — გრძელი რწევა



# ნადირობა ჰიტლერზე

**ყველაზე ნაკლებცნობილი თავდასხმა ფიურერზე 1943 წლის მარტისთვის დაიგეგმა. ჩანაფიქრი, როგორც ყველაფერი გენიალური, უბრალო და მარტივი იყო, — ჰიტლერი თავისი თვითმფრინავით ფრენისას უნდა აეფეთქებინათ, თანაც ისე, რომ ტრაგედია უბედურ შემთხვევას დაჰბრალებოდა. ტერაქტის მოსაწყობად, არმიის ცენტრის დაჯგუფების სარდალმა, გენერალ-პოლკოვნიკმა ჰენინგ ფონ ტრესკოვმა ჰიტლერი დაარწმუნა, რომ გერმანელი ჯარისკაცების საბრძოლო სულის განსამტკიცებლად აუცილებელი იყო მისი აღმოსავლეთის ფრონტზე ჩასვლა. ფიურერი სმოლენსკში გასაფრენად მოემზადა. მანამდე ეს ძველი რუსული ქალაქი თებერვლის თვეში აბვერის შეფმა, ცბიერი მელას სახელით ცნობილმა ადმირალმა კანარისმა მოინახულა, რომელსაც თან თავისი უწყების ოფიცრები ახლდა. მათ შორის იყო მაღალი რანგის მზვერავი ჰანს ფონ დონანი. მან სრულიად საიდუმლოდ (რა თქმა უნდა, კანარისმა ყველაფერი იცოდა) თან უახლესი ინგლისური ასაფეთქებელი მასალა ჩამოიტანა, რომელიც საგოზავს წააგავდა (თანამედროვე პლასტიკის წინამორბედი ნაირსახეობა) და ფონ ტრესკოვის ადიუტანტ ფაბიან ფონ შლაბრენდორფს გადასცა...**

### აბვერის შეფი ადმირალი ფრიდრიხ კანარისი

1943 წლის 13 მარტს, როცა ფიურერმა ცენტრალური დაჯგუფების ჯარების ინსპექტირება დაამთავრა და შინ, აღმოსავლეთ პრუსიაში გაფრენას აპირებდა, აეროდრომზე ჰიტლერის ამალის ერთ-ერთ ოფიცერს, პოლკოვნიკ ბრანდტს ლეიტენანტი ფონ შლაბრენდორფი მიუახლოვდა და შეფის, გენერალ ფონ ტრესკოვის სახელით სთხოვა, ბერლინში გენშტაბის გენერალ შტიფისთვის ამანათი წაეღო (ქაღალდში შეფუთული კონიაკი). ბრანდტს თხოვნაზე უარი არ უთქვამს.

სანამ ფიურერი გამგზავრების წინ არმიის დაჯგუფების გენერალიტეტთან ერთად თვითმფრინავის შორიახლო დასეირნობდა, ფონ ტრესკოვი თავის გაბედულ ადიუტანტს ჩამოეფარა, მან კი ყველასგან შეუმჩნევლად ამანათში ჩამონტაჟებული ამფეთქებლის მჟავიანი კაფსულა გატეხა, რის შემდეგაც შლაბრენდორფმა ასაფეთქებლად გამზადებული „ეშმაკის მანქანა" ფრთხილად გადასცა ბრანდტს, რომელიც უკვე ტრაპზე ადიოდა. ასე აღმოჩნდა „კონიაკი" თვითმფრინავში.

ნაღმი აფრენიდან ნახევარი საათის შემდეგ უნდა აფეთქებულიყო, როცა თვითმფრინავი ქალაქ მინსკის მისადგომებს მიუახლოვდებოდა, მაგრამ მოხდა მოულოდნელი რამ, — ძლიერმა სიცივემ მჟავის მოქმედება გაანეიტრალა და ნაღმი არ აფეთქდა. ასე რომ, ფიურერის თვითმფრინავი მშვიდობიანად დაეშვა რესტენბურგში.

თავზარდაცემულ შეთქმულებს ახლა თავის გადარჩენაზე უნდა ეზრუნათ. გენერალი შტიფი შეთქმულებაში არ მონაწილეობდა და საერთოდ, ბაიბურშიც არ იყო, ის ფონ ტრესკოვის „საჩუქარს" აუცილებლად კონტრდაზვერვას გადასცემდა და შეთქმულებაც გაიხსნებოდა.

პოლკოვნიკი ბრანდტი კი უკვე ბერლინში გასამგზავრებლად ემზადებოდა და თან, რა თქმა უნდა, ამანათის წაღებასაც აპირებდა, რომ ამ დროს სატელეფონო ზარი გაისმა: აღელვებულმა ფონ ტრესკოვმა მოუბოდიშა ბრანდტს — გაუგებრობა მოხდა, ჩემს ადიუტანტს აერია და გენერალ შტიფისათვის გადასაცემი ამანათის ნაცვლად სულ სხვა გადმოგცათ, ამიტომ ნუ იჩქარებთ მის მიტანას, შლაბრენდორფი ხვალ ჩამოფრინდება და შეცდომას გამოასწორებსო.

გაბედული ლეიტენანტი შლაბრენდორფი მართლაც ჩავიდა დათქმულ დროს რესტენბურგში. ბრანდტს, რომელსაც გზავნილის შემოწმება აზრადაც არ მოსვლია, ნაღმი გამოართვა და ზუსტად ისევე შეფუთული ორი ბოთლი ქართული კონიაკი „გრემი" გადასცა, რომელსაც წერილი ახლდა თან: „ეს კონიაკი სტალინმა ჩერჩილს გაუგზავნა საჩუქრად. გასინჯეთ! ფრანგულ კონიაკს არაფრით ჩამოუვარდება. პატივისცემით ფონ-ტრესკოვი".

## შეთქმულებს მოსკოვთან კავშირი არ ჰქონიათ

გასაიდუმლოებული საარქივო მასალების მიხედვით, ლავრენტი ბერიას უწყება დაინტერესებული ყოფილა ფიურერისადმი ოპოზიციურად განწყობილი წრეებით, მაგრამ პოლკოვნიკ შტაუფენბერგსა და ჰიტლერიზმის სხვა საიდუმლო მოწინააღმდეგეებთან, რომლებიც ინგლისური ორიენტაციისანი იყვნენ, კავშირი არ ჰქონიათ.

1941 წლის ივლისამდე ჰიტლერის თავიდან მოცილება ლუბიანკის თავკაცებს ფიქრადაც არ მოსვლიათ. გერმანიასთან ხომ „თავდაუსხმელობის“ ხელშეკრულება იყო გაფორმებული. მართალია, ნაცისტური რაიხი არასაიმედო პარტნიორად ითვლებოდა, მაგრამ სტალინის აზრით, ნაკლებსახიფათო იყო, ვიდრე საფრანგეთისა და ინგლისის „პლუტოკრატიის“ აშკარა მტრული გამოხდომები. ისინი ხომ საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომის (1939წ.) დროს ამ უკანასკნელს აშკარად უჭერდნენ მხარს და ფინეთის ჩრდილოეთით ასიათასკაციანი დამხმარე საექსპედიციო კორპუსის გადმოსხმას აპირებდნენ. შემდეგ კი, პარიზის დაცემამდე (1940წ.), კავკასიის ნავთობის საბადოების დაბომბვას გეგმავდნენ, რათა გერმანიისთვის საბჭოთა კავშირიდან მიმავალი „შავი ოქროს“ სადინარი გადაეკეტათ.

საინტერესოა, რომ 1939 წლის ნოემბერში მიუნხენის ლუდხანა „ბიურგერბროიკელერში“, „ლუდის პუტჩის“ მე-16 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე ჰიტლერზე თავდასხმამ სტალინის დაცვის გაძლიერებისკენ უბიძგა ლავრენტი ბერიას. სწორედ ამ ამბის შემდეგ დაექვემდებარა გულმოდგინე წინასწარ ჩხრეკას ყველა ის ადგილი, სადაც ბელადი აპირებდა მისვლას. კრემლში კი ყველა, განურჩევლად ჩინისა და წოდებისა, შემსვლელის ჩანთების, პორტფელებისა და ჯიბეების გაჩხრეკა წესად შემოიღეს.

## „ბიურგერბროიკელერში“ მომხდარი აფეთქების საიდუმლო

მესამე რაიხის საგარეო-პოლიტიკური დაზვერვის შეფმა ვალტერ შელენბერგმა (1939 წლის შემოდგომიდან იგი გესტაპოს კონტრდაზვერვას ხელმძღვანელობდა) სიკვდილამდე რამდენიმე ხნით ადრე მოგონებები გამოაქვეყნა, რომელშიც სალუდეში მომხდარი აფეთქება ცბიერ და ვერაგულ პროვოკაციად მოიხსენია, რომელიც სს-ის ბრიგადენფიურერმა მიულერმა ჰეიდრიხისა და ჰიმლერის ბრძანებით მოაწყო. მათ სურდათ ფიურერის ყოფილ თანამოაზრეებთან, რომლებმაც ანტიჰიტლერული ორგანიზაცია „შავი ფრონტი“ შექმნეს, ანგარიშსწორების საბაბი ჰქონოდათ.

როგორც შელენბერგი წერს, ღამით იგი საწოლიდან რაიხსფიურერის სატელეფონო ზარმა წამოაგდო, რომელმაც შეატყობინა, რომ ლუდხანა „ბიურგერბროიკელერში“ ჰიტლერის სიტყვით გამოსვლის შემდეგ აფეთქება მოხდა. ბელადი „ბედნიერი შემთხვევის წყალობით“ აფეთქებამდე 10 წუთით ადრე გავიდა სამიკიტნოდან. მისი წარმოთქმული სიტყვა ჩვეულებრივზე მოკლე გამოდგა და არც „ძველ თანამებრძოლებთან“ გაუბამს მეგობრული საუბარი, როგორც სჩვეოდა ხოლმე. როგორც შემდგომ გაირკვა, ჰიმლერი და გერინგი აფეთქებისას მნიშვნელოვან პარტიულ ღონისძიებას არ ესწრებოდნენ... ტერაქტმა მესამე რაიხში, რა თქმა უნდა, დიდი აღშფოთება გამოიწვია. აფეთქებამ ნაცისტური მოძრაობის 7 ვეტერანი შეიწირა, ქაფიანი სითხის 63 მოყვარული კი დაიჭრა.

გერმანიის რეპრესიულ-სადამსჯელო აპარატის მთელი ძალები ბოროტმოქმედთა ძებნას შეუდგა. 1939 წლის 10 ნოემბერს, ესე იგი, მეორე დღეს, შვეიცარიის საზღვარზე გადასვლისას დააპატიმრეს 1903 წელს დაბადებული დურგალი, ვინმე იოჰან გეორგ ელზერი. მას ჯიბეში აღმოაჩნდა საფოსტო ღია ბარათი, რომელზეც ლუდხანა „ბიურგერბროიკელერის“ დარბაზი იყო გამოსახული. მასზე მელნით ჯვარი ჰქონდა დასმული ერთ-ერთ სვეტს, რომელშიც, როგორც გამოძიებამ დაადგინა, ნაღმი იყო ჩადებული. ელზერი მაშინვე გამოაცხადეს ბოროტმოქმედად, რომელსაც „შავი ფრონტისა“ და ინგლისური საიდუმლო სამსახურების დავალებით ადოლფ ჰიტლერის მოკვლა ჰქონდა განზრახული.

რაში სჭირდებოდა ტერორისტ ელზერს მელნით დანიშნული საფოსტო ღია ბარათის საზღვარზე გადატანა, რომელიც მის ერთადერთ მამხილებელ საბუთად ჩაითვალა, დოქტორ ჰებელსის პროპაგანდისტებს არც გერმანელი ხალხისთვის და არც მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის არ განუმარტავთ...

ელზერი არ გაუსამართლებიათ. იგი საკონცენტრაციო ბანაკში ჰყავდათ დატყვევებული, 1945 წლის აპრილში კი ჰიმლერის ბრძანებით საიდუმლოდ დახვრიტეს... სამაგიეროდ, შელენბერგმა ჰიტლერზე „თავდასხმის“ შემდეგ რაიხსფიურერის დავალებით, შურისძიების მიზნით, ნეიტრალური ჰოლანდიის ტერიტორიიდან ჯერ ორი ბრიტანელი ოფიცერი მოიტაცა, რომლებთანაც ელზერს ვითომ კავშირი ჰქონდა, შემდეგ კი ასობით აგენტი გააგზავნა პორტუგალიაში „შავი ფრონტის“ ლიდერის, ოტო შტრასერის კვალის აღმოსაჩენად.

შტრასერს ჰიტლერის რეჟიმის განმტკიცებამდე (1934 წლის ზაფხულის „გრძელი დანების ღამემდე“, როცა ჰიტლერისადმი არალოიალურად განწყობილი მოიერიშეთა მეთაურები გაანადგურეს), კრემლში ისტერიული რაიხსკანცლერის ალტერნატივად მოიაზრებდნენ, მაგრამ დრომ ილუზია გაფანტა...

## ყველა გზა მოსკოვში მიდის

1941 წლის 5 ივლისს ლავრენტი ბერიამ, შეტევაზე გადმოსული მტრის ზურგში სადაზვერვო-სადივერსიო ოპერაციების ჩატარების მიზნით, გამოსცა ბრძანება, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საგანგებო დანიშნულების მოტომსროლელი ბრიგადის ჩამოყალიბებას, რომლის მეთაურად ამ საქმის დიდი სპეციალისტი პავლე სუდოპლატოვი დანიშნა.

როცა 1941 წლის შემოდგომაზე გერმანელები საბჭოთა სახელმწიფოს დედაქალაქს მიადგნენ და მოსკოვიც დასაცემად იყო განწირული, პაველ ანატოლიევიჩ სუდოპლატოვმა ლავრენტი ბერიას მითითებით ჰიტლერის ლიკვიდაციის გეგმა დაამუშავა. დედაქალაქიდან სახელმწიფო დაწესებულებების ევაკუაცია გრძელდებოდა, მთავრობა კარგა ხანია, კუიბიშევში იყო გადაბარგებული; მიუხედავად იმისა, რომ კრემლში მხოლოდ სტალინი და ბერია იყვნენ დარჩენილნი, ქალაქის დაცემის ალბათობა მაინც დიდი იყო. ლუბიანკის მაღალჩინოსნები ვარაუდობდნენ, რომ საბჭოთა ქვეყნის მოძულე ჰიტლერი უარს არ იტყოდა ისევე ტრიუმფალურად შესულიყო მოსკოვში, როგორც დაცემულ პარიზში შევიდა და თუ ფიურერი დიდი თეატრის ან სხვა რომელიმე ღირსშესანიშნავი ადგილის მონახულებას განიზრახავდა, „სასიამოვნო“ სიურპრიზი უნდა დახვედროდა, მაგალითად, საორკესტრო ორმო აფეთქდებოდა მუსიკოსებიანად... იმ დღეებში სუდოპლატოვი შემთხვევით არ შეხვედრია კომპოზიტორ კნიპერსა და მის მეუღლეს მარია გარიკოვნას, რომლებსაც ნაცისტური რაიხის კოლეგებთან შემოქმედებითი კავშირები ჰქონდათ. დოკუმენტები, რომლებიც ნათელს მოჰფენდა სუდოპლატოვის გეგმის დეტალებს, ჯერჯერობით, გამოქვეყნებული არ არის. შესაძლოა, არც შემონახულა, მაგრამ თვით სუდოპლატოვის ნაამბობიდან გაირკვა, რომ ჰიტლერის სალიკვიდაციოდ მოსკოვში მან სამი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი აგენტურული ქსელი შექმნა. მათში ისეთი პირები შედიოდნენ (გამოჩენილი მსახიობები,



ვილჰელმ კანარისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები), რომლებსაც ჰიტლერთან, საბჭოთა ხალხის ბოლშევიკური დესპოტიზმისგან გათავისუფლების სულისჩამდგმელთან, შეხვედრა აუცილებლად მოუწევდათ. საბჭოთა არმიის დეკემბრის კონტრშეტევებმა ჰიტლერის ოცნება მოსკოვის აღებისა სამუდამოდ დაასამარა, შესაბამისად, სუდოპლატოვსაც აღარ მოუწია დიდი თეატრის საორკესტრო ორმოს აფეთქება და მან სხვა გეგმაზე დაიწყო ფიქრი.

## მსახიობი ქალისა და მოჯრივის ტანდემი

იმედს სუდოპლატოვი ახლა ცნობილ მსახიობ ქალზე, მსახიობ მიხაილ ჩეხოვის მეუღლესა და ისევ დირიჟორ კნიპერის დაზე, ოლგა კონსტანტინოვნა ჩეხოვაზე ამყარებდა, რომელიც 1922 წელს საბჭოთა რუსეთიდან გერმანიაში კინემატოგრაფიის შესასწავლად გაემგზავრა და იქ შემოქმედებითი მწვერვალები დაიპყრო. რადგან კნიპერების ოჯახი გარუსებულ გერმანელებად ითვლებოდნენ, ნაცისტები მათ „არაადამიან სლავებად“ არ მიიჩნევდნენ და არიელებად თვლიდნენ. ოლგა ჩეხოვას თაყვანისმცემლები იყვნენ ჰებელსი, გერინგი და თვით ადოლფიც კი, ხოლო ჰიტლერის საყვარელი ევა ბრაუნი ოლგას უახლოესი მეგობარი და გულის მესაიდუმლე იყო. საზღვარგარეთ გამგზავრებამდე ოლგა ჩეხოვა-კნიპერს ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსთან, ლეგენდარულ არტურ არტუზოვთან. 1923 წელს ჩეხოვასთან ბერლინში მცირე ხნით ცხოვრობდა ლარისა რეისნერი, რომელიც გერმანიაში პროლეტარული რევოლუციის შემთხვევაში გერმანელ თანამოძმეებს უნდა დახმარებოდა... დასავლელი მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ჩეხოვას საბჭოთა დაზვერვასთან მრავალწლიანი კავშირი ფაქტებით მტკიცდება, მაგრამ საბჭოთა ოფიციალური წყაროები მსახიობს მოიხსენიებენ არა როგორც აგენტს, არამედ პირს, რომელიც ნებაყოფლობით უწევდა მათ დახმარებას.

მოცემულ შემთხვევაში ზუსტ ტერმინოლოგიას ნაკლებად აქვს მნიშვნელობა: მთავარი ის არის, რომ ჩეხოვასგან წლების განმავლობაში მოსკოვში მიდიოდა ინფორმაცია ჰიტლერისა და მასთან დაახლოებული პირების პირადი ცხოვრების შესახებ, რომლითაც ერთობ დაინტერესებული ყოფილა ლავრენტი ბერია. თუმცა ოლგას ლვაწლი მაინც არ დაუფასდა. 1945 წელს დამარცხებულ გერმანიაში იგი „სმერშის“ კონტრდაზვერვის თანამშრომლებმა დაატყვევეს, მოსკოვში გადააგზავნეს და „საქმის შეკერვა“ დაუპირეს, ფაშისტების უმაღლეს პირებთან კავშირი გაუხსენეს. როგორც ამბობენ, საბჭოთა „გულაგისგან“ ჩეხოვა ისევ ლავრენტი ბერიამ იხსნა. გერმანიაში დაბრუნებულმა მსახიობმა თავის ყველა კურატორზე მეტხანს იცოცხლა და 1980 წელს 84 წლის ასაკში გარდაიცვალა. 1941 წლის დეკემბერში ჩეხოვა-კნიპერთან კავშირის დასამყარებლად გერმანიაში გადააგზავნეს ვითომ გამცემი და მოღალატე საბჭოთა მზვერავი იგორ მიკლაშევსკი. იგი მოსკოვის ჩემპიონი იყო კრივში. მზვერავს მეორე დავალებაც ჰქონდა, მას თავისი ბიძა ვსევოლოდ ბლუმენტალ-ტამარინი უნდა მოეკლა. ბულმენტალ-ტამარინი გერმანიის რუსული რადიოს თანამშრომელი იყო და საპროპაგანდო გადაცემებში დაჟინებით მოუწოდებდა საბჭოთა მეომრებს გერმანელთა მხარეზე გადასვლისკენ.

მიკლოშევიჩზე მხოლოდ მწირი ცნობები არსებობს; მისი დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებიც კი დღემდე გასაიდუმლოებულია, მაგრამ ცნობილია, რომ 1942 წელს იგი რინგზე შეხვდა რაიხის ჩემპიონ მაქს შმელინგს და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა, რითაც დიდი პოპულარობა მოიხვეჭა. ჩეხოვას საშუალებით მიკლოშევიჩის შანსი, ჰიტლერის გარემოცვას ფიურერის მოსაკლავად დაახლოებოდა, დღითი დღე იზრდებოდა.

## „ჩვენ ჰიტლერს არ მოვკლავთ“...

1943 წლისთვის სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. სტალინმა გადაწყვიტა, რომ ჰიტლერის თავიდან მოშორება აღარ იყო საჭირო, პირიქით, სახიფათოც იქნებოდა. ამასთან, საგარეო დაზვერვის ლონდონისა და სხვა ქვეყნის რეზიდენტურისაგან შემაშფოთებელი ცნობები მოდიოდა...

ზაფხულის ერთ დღეს, როცა ის-ის იყო, კურსკის რკალზე ბრძოლა უნდა დაწყებულიყო, უმაღლესმა მთავარსარდალმა თავის აგარაკზე სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარი მერკულოვი სუდოპლატოვთან ერთად გამოიძახა: სტალინმა მათ ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე განუცხადა: „ჩვენ ჰიტლერს არ მოვკლავთ! გასაგებია, ამხანაგო სუდოპლატოვ?“ მიკლოშევიჩმა, რომელიც უკვე მზად იყო ჰიტლერის წინააღმდეგ ტერორისტული აქტი მოეწყო, მოსკოვიდან ბრძანება ვერ მიიღო. 1944 წელს მან თავისი ბიძა, კოლაბორაციონისტი (კოლაბორაციონიზმი — მტერთან თანამშრომლობა) ბლუმენტალ-ტამარინი მოკლა და საფრანგეთში გაიქცა, სადაც წინააღმდეგობის ფრონტის რიგებში იბრძოდა. შემდეგ ორი წლის განმავლობაში კვალში ედგა საბჭოთა მართლმსაჯულებისაგან თავდაღწეულ ვლასოველებს. მოსკოვში დაბრუნების შემდეგ, 1947 წელს, იგი წითელი დროშის ორდენით დააჯილდოეს, რის შემდეგაც მრავალი წლის განმავლობაში მოკრივეთა მწვრთნელად მუშაობდა.

## როგორ დასდევდა გესტაპო მიულერს

1944 წლის ოქტომბერში იუგოსლაველ პარტიზანებს ორი საბჭოთა პარაშუტისტი შეუერთდა. ერთ მათგანს გერმანელი სამხედრო კორესპონდენტის „ლიუფტვაფეს“ ობერლეიტენანტ ჰაინც კრიუგერის საბუთები ჰქონდა, მეორეს, ასევე სამხედრო ჟურნალისტის, ლეიტენანტ პაულ ლემანისა. ისინი გერმანელი ანტიფაშისტები ჰაინც მიულერი და პაულ ლამპე იყვნენ, რომლებიც საბჭოთა დაზვერვამ გადაიბირა. 28 წლის მიულერი საბჭოთა მხარეზე გადასვლამდე „ლიუფტვაფეს“ ზურგის ნაწილებში უნტერ-ოფიცრად მსახურობდა და არასაიმედო ელემენტად ითვლებოდა. სამხედრო სამსახურში გაწვევამდე საარის მხარეში ანტიფაშისტურ მოძრაობაში ირიცხებოდა, რის გამოც არაერთხელ დააპატიმრეს და საკონცენტრაციო ბანაკის ორწლიანი პატიმრობაც კი მოახდევინეს. ადამიანთა რესურსების უკმარისობამ განაპირობა ის, რომ 1943 წლიდან ვერმახტში მისნაირების, გაუმჭვირვალეების (გესტაპოს ტერმინია) გამოძახებაც დაიწყეს. ავსტრიაში ავიამექანიკოსების კურსების დამთავრების შემდეგ იგი საფრანგეთში მსახურობდა, შემდეგ კი პირველ სამხედრო-სატრანსპორტო, საჰაერო ესკადრაში გადაიყვანეს. ისინი ტყვია-წამლითა და პროდუქტით ამარაგებდნენ მტრის ზურგში დარჩენილ გერმანულ დაჯგუფებებს ყირიმისა და ნიკოლაევის რაიონში. 1944 წლის 4 იანვარს ყირიმიდან უკან მობრუნებისას ბორტმექანიკოსმა მიულერმა იარაღის მუქარით აიძულა სატრანსპორტო „იუნკერსის“ (საბორტო ნომერი X-FG) პილოტი, მოწინააღმდეგის აეროდრომზე დაშვებულიყო. წითელარმიელებს მან თავისი და ეკიპაჟის წევრების იარაღი ჩააბარა, შემდეგ კი უნტერ-ოფიცრის საბუთი და საკონცენტრაციო ბანკ დაჰაუში ტყვედ ყოფნის დამამტკიცებელი მოწმობა აჩვენა...

თითქმის ასეთივე ბიოგრაფია ჰქონდა პაულ ლამპესაც. კრასნოგორსკის ცენტრალური ანტიფაშისტური სკოლისა და მოკლევადიანი სადაზვერვო კურსების დამთავრების შემდეგ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის საგარეო დაზვერვის უფროსი პოლკოვნიკი კოროტკოვი მიულერისა და ლამპეს მტრის ღრმა ზურგში, კერძოდ კი ბერლინში გადასასროლად მომზადებას შეუდგა. ერთ-ერთი ინსტრუქტაჟის დროს მიულერმა საბჭოთა პოლკოვნიკს თავისი სანუკვარი ოცნება გაანდო: მას სურდა მაღალი რანგის გერმანელი ოფიცრის ფორმაში გამოწყობილს რაიხსკანცელარიაში შეეღწია და ჰიტლერი მოეკლა. ეტყობა, კოროტკოვმა არ იცოდა, რომ სტალინმა ჰიტლერის განადგურებას ტაბუ დაადო. ასე რომ, 1944 წლის ოქტომბერში „გერმანელმა სამხედრო ჟურნალისტებმა“ საგანგებო დავალება მიიღეს. როგორც დაზვერვის ისტორიკოსი ფიოდორ გლადკოვი წერს, რაიხის დედაქალაქში მათ უნდა აღმოეჩინათ ერთი ზესაიდუმლო სამხედრო დაწესებულება; ან გაერკვიათ, ბერლინიდან სად გადაბარგდა მნიშვნელოვანი ობიექტი, გარდა ამისა, საჭიროებისამებრ, შეეძლოთ სამხედრო ოპერაციების

ჩატარებაც, რისთვისაც პარაშუტისტები საათისმექანიზმიანი ასაფეთქებელი ნივთიერებებით შეაიარაღეს. როგორც ჩანს, მიულერს მისი გმირული ეპოპეის დასასრულად ჰიტლერის ბუნკერის აფეთქება ესახებოდა.

ბერლინის ცენტრში კონსპირაციული ბინის პატრონები, ცოლ-ქმარი ჰერტრუდა და კარლი (რომელთა გვარებიც დღემდე უცნობია) საბჭოთა საგარეო დაზვერვის ძველი აგენტები იყვნენ. ლუბიანკიდან გაგზავნილ აგენტებს ისინი ლეგალიზაციაში დაეხმარნენ და ფაშისტების ბუნაგში ზოგიერთ ნაცნობთანაც დააახლოეს, რომლებიც ჰიტლერიზმის წინააღმდეგ იყვნენ განწყობილნი.

ასე შეიქმნა იატაკქვეშა ჯგუფი, რომელიც 15 კაცისგან შედგებოდა.

დავალების „ნომერი პირველი მიზანი" – სამხედრო ობიექტი მზვერავებმა საკმაოდ სწრაფად, გერმანელი ამხანაგების დახმარებით გამოთვალეს. სამხედრო ობიექტი შვარცენგრუნდის რაიონში წინასწარ შექმნილი სამხედრო-საგანგებო საველე შტაბი აღმოჩნდა, რომლის ამოცანასაც ბერლინის შორი მისადგომებიდან დაცვა წარმოადგენდა. მეორე სამიზნე კალტენბრუნერისა და ჰიმლერის დაქვემდებარებაში მყოფი უწყება იყო, რომელიც გერმანიის ოკუპაციის შემთხვევაში საბჭოთა ზურგში სამოქმედოდ დივერსანტებსა და ტერორისტებს ამზადებდა. როგორც გაირკვა, ორგანიზაცია კარლსბადში გადაიტანეს. დაშიფრული ინფორმაცია ორივე ობიექტის შესახებ მოსკოვში გაიგზავნა. ამის შემდეგ მიულერმა საგანგებო შემთხვევისათვის შემონახული ბერლინის მე-3 სამხედრო ოლქის კონტრდაზვერვის რწმუნებულის მოწმობა გამოიყენა და ერთ-ერთი მსხვილი საარმიო შტაბის აფეთქებისთვის მზადებას შეუდგა. მისი აზრით, ეს ჰიტლერის ბუნკერის აფეთქებისწინა სავარჯიშო აქცია უნდა ყოფილიყო.

შტაბის აფეთქებას ჰანსი იმავე მეთოდით აპირებდა, რომლითაც თანამედროვე ისლამისტი შაჰიდები მოქმედებენ: მას გადაწყვეტილი ჰქონდა, ასაფეთქებელი მასალა ავტომობილში მოეთავსებინა. უკეთესი იქნებოდა, თუ მანქანას ვერმახტის სანომრე ნიშნები ექნებოდა, ამით საკონტროლო პუნქტის გადალახვა გაადვილდებოდა. ასეთი ავტომობილის შოვნა კი ბერლინის დასავლეთით, ასაფეთქებელი ობიექტის სიახლოვეს, ისარივით სწორ გზატკეცილზე შეიძლებოდა.

1945 წლის 31 მარტს სამხედრო ფორმაში გამოწყობილი, პისტოლეტითა და ხელყუმბარებით შეიარაღებული და საგზაო მოძრაობის მარეგულირებელი კვერთხით ხელდამშვენებული მიულერი, ლამპე და ორი მათი ამხანაგი ოპერაციაზე გავიდნენ. სადგურ გრიუნვალდის მახლობლად მათ ექვსადგილიანი „ოპელ-ადმირალი" გააჩერეს, რომელსაც სამხედრო ნომერი ჰქონდა. სამ მგზავრს, რომლებსაც შავი ტყავის ლაბადები და სს-ის მუნდირები ეცვათ, ლიმუზინით უამრავი დალუქული პაკეტი გადაჰქონდა. მას შემდეგ, რაც მძღოლი „კანონის დამცველის" ნიშანს დაემორჩილა და მანქანა გააჩერა, ლიმუზინს მიულერი მიუახლოვდა და სამივე, მძღოლი და ორი მგზავრი, თითო გასროლით ჩააკლა სალონში, მაგრამ როცა შეთქმულები სს-ელების გვამებს ბუჩქებში დასამალავად მიათრევდნენ, მოულოდნელად გზატკეცილზე კიდევ ერთი ავტომობილი გაჩერდა, საიდანაც სამი ოფიცერი გადმოვიდა. მათ მარცხენა სახელოებზე ამოტვიფრული ასოები მოწმობდა, რომ უშიშროების სამსახურის თანამშრომლები იყვნენ. ატყდა სროლა, რომელიც მიულერის ჯგუფისთვის უდანაკარგოდ დამთავრდა, მაგრამ შტაბის აფეთქების ოპერაცია, რა თქმა უნდა, ჩაიშალა.

მეორე დღეს, 3 აპრილს, მიულერმა გაზეთ „ბერლინერ მორგენპოსტში" ამოიკითხა, რომ წინა დღეს ბერლინის გზატკეცილზე მოკლულ იქნა იმპერიის უშიშროების მთავარი სამმართველოს სამი თანამშრომელი და რომ სს-ის რაიხსფიურერმა ჰიმლერმა ბოროტმოქმედთა შესახებ ცნობების მიწოდებისთვის 100 ათასი რაიხსმარკა დააწესა; 12 აპრილისთვის ეს თანხა მილიონამდე გაიზარდა.

ამ დროისთვის მიულერმა თავი დაანება ჰიტლერის ბუნკერის აფეთქებაზე ოცნებას და უფრო საჭირო საქმეებს მიჰყო ხელი. ის სადაზვერვო ცნობებს აწვდიდა, რითაც ბერლინის მისადგომებთან მიახლოებულ საბჭოთა ჯარების სარდლობას ეხმარებოდა. გარდა ამისა, იგი სადივერსიო და ტერორისტულ მუშაობასაც ეწეოდა. ჯერ აღმოსავლეთის სამდინარო ნავსადგურთან არსებული საარტილერიო ჭურვების მსხვილი საწყობი ააფეთქა, შემდეგ რუდოლპალცზე ფაუსტპატრონების საწყობი. მიულერის ჩატარებული აქციებიდან უკანასკნელი ჰუმანიტარული ხასიათისა იყო. ჰანსმა და მისმა მეგობრებმა სს-ელებს ჩაუშალეს აღმოსავლეთის ნავსადგურში დიდი რაოდენობით საკვების განადგურების ოპერაცია, რომელსაც ფაშისტების აზრით, მშვიდობიან გერმანელ მოსახლეობაში შიმშილობა უნდა გამოეწვია. „ობერლეიტენანტმა ჰანს კრიუგერმა" და „ლეიტენანტმა პაულ ლემანმა" ვერმახტის ფორმა 1945 წლის 23 აპრილს გაიხადეს, როცა ბერლინის ქუჩებში ბრძოლები მიმდინარეობდა.

25 აპრილს სამოქალაქო ტანსაცმლით შემოსილი მიულერი თავშესაფრიდან რამშეშტრასეზე გამოვიდა და პირველივე საბჭოთა ოფიცერს უახლოეს შტაბში მიყვანა სთხოვა. ინფორმაციამ, რომელიც მან შტაბში საბჭოთა სარდლობას გადასცა, მათ შორის, რაიხსკანცელარიისა და ჰიტლერის ბუნკერის შესახებ, წითელი არმიის სარდლობის ომის დამაგვირგვინებელი ეტაპის მოქმედებების სწორად დაგეგმვას შეუწყო ხელი.

ომის დამთავრების შემდეგ ჰანს მიულერი თავის საფრენოსნო პროფესიას დაუბრუნდა და მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა გდრ-ის სამოქალაქო ავიაციაში.

1945 წლის მაისის დასაწყისში რაიხსკანცელარიის ეზოში ჰიტლერისა და ევა ბრაუნის ნახევრად დამწვარი გვამების აღმოჩენის შესახებ პირველი ინფორმაცია მოსკოვს სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის საგარეო დაზვერვის რეზიდენტმა ალექსანდრ კოროტკოვმა მიაწოდა.

**ბერლინი. 1945 წელი**



# ქართული არტილერია XVIII საუკუნეში



**პირველი ფეთქებადი ნივთიერება ჩინეთში გამოიგონეს. შემადგენლობით ის თანამედროვე კვამლიან დენთს ძალიან წააგავდა და ცეცხლგამჩენ საშუალებად გამოიყენებოდა. მოგვიანებით დენთის საიდუმლოებას ინდოელები და არაბები ეზიარნენ...**

არაბებმა დენთში გამტყორცნი თვისებები აღმოაჩინეს, რაც ცეცხლსასროლი იარაღისა და, კერძოდ, ზარბაზნის შესაქმნელად გამოიყენეს. XIII-XIV საუკუნეებში მოღვაწე არაბ მწერალ შამს-ედ-დინ მაჰომედს აღწერილი აქვს რკინის მილი დახშული ძირით, რომელშიც დენთი იყრებოდა და ფალიის ნახვრეტიდან გაცხელებული მავთულით ცეცხლი ეკიდებოდა. მილი სფერულ ტყვიებსა და ისრებს ისროდა.

არაბული ზარბაზნის ლულა რკინის ორი ნაჭრისგან იჭედებოდა და შემდეგ ორივე ნახევარს სიგრძეზე ერთმანეთთან მირჩილვით აკავშირებდნენ. მეტი სიმტკიცისათვის დამატებით რკინის სალტოებით იკვრებოდა. ამდაგვარი ზარბაზნები არაბებმა 1118 წელს სარაგოსის ალყის დროს გამოიყენეს.

არაბეთიდან ცეცხლსასროლი იარაღი ევროპაში შემოვიდა. 1326 წელს მისი ნიმუშები ჯერ იტალიაში, ორი წლის შემდეგ საფრანგეთსა და შემდეგ ევროპის სხვა ქვეყნებში გავრცელდა.

ზარბაზნის პირველი ნიმუშები პრიმიტიული და არასაიმედო იყო, ხოლო დამზადების ტექნიკა არასრულყოფილი და კუსტარული. თითოეული ოსტატი დამოუკიდებლად წყვეტდა ზომას, მასალებს, თვითონვე უზრუნველყოფდა ქვის, რკინის, სპილენძის ან ტყვიის სფეროს ფორმის ბირთვებით. ამის გამო ზარბაზნების კალიბრი ძალზე მრავალფეროვანი იყო.

XIV-XV საუკუნეებში ზარბაზნები ტრანსპორტირებისათვის ჯერ კიდევ მოუხერხებელი იყო, ხოლო სროლის დაბალი ტემპი ბრძოლის ველზე გამოყენებას აძნელებდა. მეტ ეფექტს ციხეების თავდაცვისას ან ციხეების შტურმის დროს იძლეოდა.

XV საუკუნის ბოლოს და XVI საუკუნის დასაწყისში ევროპის ქვეყნები ზარბაზნების სპილენძის ან ბრინჯაოსგან ჩამოსხმით დამზადებაზე გადავიდნენ. გამოჩნდა ხის ლაფეტი და თუჯის ჭურვები, რომელიც დამრტყმელი ძალის შენარჩუნებით, კალიბრის შემცირებისა და სროლის სიშორის გაზრდის საშუალებას იძლეოდა.

საქართველოში ზარბაზნები პირველად 1488 წელს თურქმენებმა კოჯრის ციხის აღების დროს გამოიყენეს. საქართველოს სუსტი ეკონომიკური ბაზა ადგილზე ცეცხლსასროლი იარაღის წარმოებისათვის საჭირო პირობების შექმნის საშუალებას არ იძლეოდა. თოფებისა და დამბაჩების რაღაც რაოდენობა, ალბათ, ევროპიდან შემოდიოდა, მაგრამ ქვეყნის მაშინდელი რთული მდგომარეობის გათვალისწინებით, ლაშქრის აღჭურვისათვის ეს საკმარისი არ იყო. დიდი დროის განმავლობაში ქართველებს ბრძოლა ცივი იარაღით უწევდათ, თუმცა ცეცხლსასროლ იარაღზე თავს არც მტერი იწუხებდა.

ისტორიული წყაროების ცნობით XVIII საუკუნის პირველ ნახევარში თბილისში თოფხანაში გლუვლულიან თოფებსა და დამბაჩებთან ერთად, სპილენძისაგან ზარბაზნებსაც ასხამდნენ.

ზარბაზნები სხვადასხვა ციხეში იყო დაყენებული და მათი ზალპები ხშირად ღირსშესანიშნავ დღეებს უკავშირდებოდა. 1744 წელს, როცა თბილისში ქართლის მეფე თეიმურაზი შემოვიდა და მეტეხის ხიდზე ფეხი შემოდგა, მას ზარბაზნების ზალპი მიესალმა. ქვიშხეთში ერეკლეს ქორწილის ღამეს მექორწილეებს დროდადრო სურამის ციხის ზარბაზნები ამხნევებდა. ზარბაზნები გორის ციხესაც იცავდა.

საქართველოს მუზეუმში დაცულია ქართული ზარბაზნის ლულა ასომთავრული წარწერითა და თარიღით. ლულა ძირიდან წვერისაკენ თანაზომიერად წვრილდება და ტუჩთან საგრძნობლად განიერია. ლულის ზედაპირზე ამოტვიფრულია გეომეტრიული ფიგურები. აქეთ-იქით მიმაგრებული აქვს სახელურები და ორი ყური თითო რგოლით. ლულას მეტი სიმტკიცისათვის შვიდი რკალი არტყამს. წინა რკალში ამოტვიფრულია ფიგურა ქართული ასომთავრული წარწერით – „მეფე თეიმურაზი“, ხოლო ზევით ჯვარი და თარიღი – „1750“ აქვს დასმული.

ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში რამდენიმე ზარბაზანი ინახება და ერთ-ერთი იმერთა მეფე სოლომონ პირველმა 1780 წლის მარტში რუხის ციხის აღების შემდეგ თურქებს წაართვა. 80 მილიმეტრიანი ზარბაზანი თუჯისგან არის ჩამოსხმული და სიგრძით 167 სმ-ია. აქვეა ერეკლე II-ის მიერ მეფე სოლომონისათვის ნაჩუქარი 45 მილიმეტრიანი თუჯის ზამბურაკი ხის ლაფეტით.

საარტილერიო საქმის გასაუმჯობესებლად გაერთიანებული ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II ბევრს ცდილობდა. სამხედრო ნიჭითა და ალღოთი დაჯილდოებული მეფე ერეკლე სალად აფასებდა ომში არტილერიის მნიშვნელობას. ხედავდა ქვეყნის გაჭირვებულ მდგომარეობას, რომელიც თავდაცვის სათანადო დონეზე ორგანიზების საშუალებას არ იძლეოდა და დახმარებისათვის მეზობელ რუსეთს მიმართავდა.

არაერთგზის თხოვნის შემდეგ, 1769 წელს, საქართველოში რუსი გენერლის, ტოტლებენის რაზმი შემოვიდა. რაზმი აღჭურვილი იყო 75 მმ-იანი ზარბაზნებით, რომელთა ლულა 92 კილოგრამს იწონიდა და 4-კილოგრამიან ჭურვს 1500 მეტრზე ისროდა. ზარბაზანი ხის ლაფეტზე იდგა და ბორბლების საშუალებით ცხენებს გადაჰქონდათ. საქართველოში შემოსვლისას ზარბაზნები დაიშალა და ქართველებმა დარიალის ხეობაში ხელით გადმოიტანეს.

ზარბაზნის ჭურვები ძლიერი არ იყო და ციხეების სქელ კედლებს ბევრს ვერაფერს აკლებდა. სამაგიეროდ, ქვეითებისა და კავალერისტების წინააღმდეგ ეფექტიანად მოქმედებდა. 16 რუსულ ზარბაზანს

288 კაცი ემსახურებოდა.

ტოტლებენის რაზმში მსახურობდა ქართველი არტილერისტი, პოდპოლკოვნიკი სვიმონ ჩოლოყაშვილი, რომელსაც ზარბაზნების პროექტისათვის რუსეთის იმპერატორისაგან პრემიაც კი ჰქონდა მიღებული. მანამდე 5 წელიწადს კიევის სიმაგრეების მშენებლობას ხელმძღვანელობდა. მისი დიდი სურვილი ქართველებისათვის საარტილერიო საქმეში დახმარება და სათანადო ცოდნის გადაცემა იყო. გენერალმა ტოტლებენმა ჩოლოყაშვილის საქციელი ღალატად ჩათვალა, დააპატიმრა და იძულებით რუსეთში დააბრუნა.

1770 წლისათვის მეფე ერეკლეს განკარგულებაში 10 ზარბაზანი და 60 კაცი იყო. რა თქმა უნდა, ასეთი მცირერიცხოვანი არტილერია ბრძოლის მსვლელობაზე დიდ გავლენას ვერ მოახდენდა, ხოლო რუსეთიდან ჩამოსული თითო-ოროლა არტილერისტი საქმის გასამართავად საკმარისი არ იყო.

მეფე ერეკლემ 1778 წელს არტილერიის უფროსობა, ანუ თოფჩიბაშობა რუსეთიდან დაბრუნებულ პაატა ანდრონიკაშვილს უბოძა. ანდრონიკაშვილი რუსეთში არტილერისტად მსახურობდა და საქმე იცოდა. მისი მონდომებით თბილისში ზარბაზნების ჩამოსასხმელი ქარხანა მოეწყო, სადაც ევროპული ნიმუშის ზარბაზნებთან ერთად, მორტირები და ჭურვები მზადდებოდა. ხელოსანთა შორის ბევრი რუსი იყო, რომლებმაც რუსეთს თბილისში დარჩენა ამჯობინეს. სავარაუდოდ, ქარხანა ახლანდელი ლესელიძის, შალვა დადიანისა და ენგელსის ქუჩების რაიონში უნდა ყოფილიყო. ანდრონიკაშვილმა ზარბაზნების რაოდენობის 15-მდე გაზრდა შეძლო. პრიმიტიული წარმოება, ალბათ, მეტის საშუალებას არ იძლეოდა.

ქართულ არტილერიაში რუსეთის არმიის მსგავსი წოდებები შემოვიდა: მაიორი, კაპიტანი, პორუჩიკი, სერჟანტი, ჯარისკაცი, არტილერისტი-თოფჩი. არტილერისტები 100-ზე ცოტა მეტნი იყვნენ. თოფჩების უმეტესობა რუსებისაგან შედგებოდა, რომლებიც 1769 წელს და 1787 წელს რუსული რაზმებიდან გამოიქცნენ. ზოგიც მთიელთა ტყვეობიდან გამოისყიდეს. 1794 წლისათვის მათი რიცხოვნება 475 კაცამდე გაიზარდა. მომეტებულმა ნაწილმა ქართველი ქალები შეირთო და აქ დარჩა.

ზარბაზნები ისევ კურტნის ცხენებით გადაჰქონდათ. ზარბაზნის სპილენძის ლულა ხის სადგარზე მაგრდებოდა და ხარებშებმული ურმებით ეზიდებოდნენ. სადაც ურემი ვერ გაივლიდა, იქ ხელით გადაჰქონდათ. სროლისათვის ზარბაზნების მომზადება დიდ დროსა და სიფრთხილეს მოითხოვდა. ლულაში ჯერ იყრებოდა დენთი, რომელსაც სატენით წნეხავდნენ, შემდეგ ჭურვი თავსდებოდა და პატრუქით დენთს ცეცხლს უკიდებდნენ.

გასროლისას ლულის გასკდომა იშვიათობას არ წარმოადგენდა, რაც არტილერიაში ადამიანების მოზიდვას მაინცდამაინც ვერ წაადგებოდა. დამიზნება თვალხედვით, ლულის ხელით მიბრუნება-მობრუნებით ხდებოდა. ჭურვები, დენთი და ცეცხლგამჩენი საშუალებები ცალ-ცალკე დაჰქონდათ. ამის გამო გასროლის მომზადება საკმაოდ მოუხერხებელი და ხანგრძლივი პროცესი იყო.

ისროდნენ ტყვიის ბირთვებსა და კარტეჩს, რომელსაც წინასწარ ტყვიის ან თუჯის ბურთულებად ჩამოასხამდნენ, შემდეგ თოფრაში ან რკინის ფურცლისაგან დამზადებულ ცილინდრში ათავსებდნენ. კარტეჩი 500-600 მეტრზე მიფრინავდა და მჭიდროდ დაწყობილ ქვეითებს ან კავალერისტებს დიდ ზიანს აყენებდა. ასხამდნენ თუჯის ფეთქებად ჭურვებსაც, მაგრამ მათი ეფექტიანობა ბირთვის ჩამოსხმის ხარისხზე ბევრად იყო დამოკიდებული.

დენთს თბილისში აწარმოებდნენ, ხოლო დამზადების რეცეპტი, ალბათ, თურქეთიდან შემოვიდა, სადაც საარტილერიო საქმე საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა. დენთის დასამზადებელი გოგირდი განჯიდან შემოდიოდა, ხოლო გვარჯილა და ხის ნახშირი ადგილზე მოიპოვებოდა. სროლის სიშორეს დენთის ხარისხი განსაზღვრავდა და თბილისში წარმოებული დენთი მთლად კარგი ხარისხის არ უნდა ყოფილიყო.

ქართული არტილერია ძლიერი არ იყო, მაგრამ მეზობლებს შიშის ზარს მაინც სცემდა, რადგან მათ ზარბაზნები საერთოდ არ ჰქონდათ.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსეთსა და ევროპაში ზარბაზნების მანუფაქტურულ დამზადებაზე გადავიდნენ. იყენებდნენ ნახაზებსა და სხვადასხვა მოწყობილობას, რაც ერთნაირი ზარბაზნების დამზადების საშუალებას იძლეოდა.

მეფე ერეკლეს ქართული ზარბაზნების ხარისხი და რაოდენობა არ აკმაყოფილებდა და ზარბაზნებს რუსეთს სთხოვდა. მრავალი თხოვნის შემდეგ იმპერატორმა ეკატერინემ 1784 წელს 24 ზარბაზანი აჩუქა, საიდანაც საქართველოში 12 ჩამოვიდა. ზარბაზნებთან ერთად აუცილებლად ჭურვებიც იქნებოდა. რუსებმა, ალბათ, 3-ფუნტიანი ზარბაზნები გამოაგზავნეს, რომელიც რუსის ჯარში საკმაოდ გავრცელებული იყო და საიმედოობით გამოირჩეოდა. დარჩენილი 12 ზარბაზნის მიღება კი ვერ მოხერხდა და რუსეთში დარჩა.

რომელიმე ბრძოლაში ქართული არტილერიის გადამწყვეტ როლზე ცნობები არ შემონახულა. ასპინძის ბრძოლისას მეფე ერეკლეს 3 ზარბაზანი ჰქონდა. 1770 წლის 2 ივლისს ბაღდადის ციხეს რუსულ-ქართული ჯარი მიადგა და ციხის მიმართულებით ზარბაზნებიდან რამდენჯერმე გაისროლა. ცხადია რამდენიმე ზარბაზნის გასროლა ეფექტის მომცემი არ იქნებოდა.

ერეკლე II ხშირად მიმართავდა სწრაფი მარშიდან შემხვედრ ბრძოლაში გადასვლის ტაქტიკას, რომელიც არტილერიას გაშლისა და მომზადებისათვის დროს აღარ უტოვებდა.

არტილერისტთა ოსტატობა სწავლებებსა და ბრძოლებში იხვეწება, მით უფრო, როცა თითოეულ ზარბაზანს 12-მდე კაცი ემსახურებოდა. საკმაოდ ბევრი დრო მიჰქონდა ზარბაზნების პოზიციებზე განლაგებასა და სროლისათვის მზადებას. ჩანს, ქართველ არტილერისტებს გამოცდილებაც აკლდათ.

ქართულმა არტილერიამ თავისი შესაძლებლობები 1795 წლის 10-11 სექტემბერს, კრწანისის ბრძოლაში გამოავლინა. ქართველებს 35 ზარბაზანი ჰქონდათ, საიდანაც 16 ნარიყალას ციხეს იცავდა და 19 საბრძოლო ველის რამდენიმე მონაკვეთზე იქნა განთავსებული. დანაწევრებული არტილერია ქართველებს კონცენტრირებული და გამანადგურებელი ცეცხლის გახსნის საშუალებას არ მისცემდა. ამასთან, ყიზილბაშთა უმეტესობა ცხენოსნები იყვნენ, რომელთა შეჩერებას მხოლოდ გრიგალისებური ცეცხლი თუ შეძლებდა. კრწანისის ბრძოლაში თავი გამოიჩინეს არტილერიის უფროსმა დავით ბატონიშვილმა (ერეკლეს შვილიშვილმა), მაიორებმა გაბრიელ არეშიშვილმა და გიორგი გურამიშვილმა, ავსტრიელმა ოსიპ გეტინგმა და სხვებმა.

აღა-მაჰმად-ხანმა თბილისის აღების შემდეგ იარაღის სახელოსნოები, საარტილერიო საწყობი, ზარბაზნების ჩამოსასხმელი საშუალებები სპარსეთში გააგზავნა; საარტილერიო საქმის გასაუმჯობესებლად სპარსეთშივე წაასხეს მეიარაღე ოსტატები ოჯახებითურთ და თან ჯამაგირიც დაუნიშნეს.

**თემურ ჩაჩანიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს კონფლიქტური კერების რუსული სცენარები

**ვფიქრობთ, ის ფაქტი, რომ რუსეთის ხელისუფლება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში შეიარაღებული კონფლიქტების განახლებით დაინტერესებულია და ამიტომაც ცდილობს საქართველოს პროვოცირებას, საიდუმლოებას აღარავისთვის წარმოადგენს. კონფლიქტების განახლების შემთხვევაში, მოსკოვი ყოველნაირად შეეცდება საქართველოს ხელისუფლება ომის დამწყებად წარმოაჩინოს, რომელმაც კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრას მაინც სისხლის ღვრა ამჯობინა. გარდა ამისა, ომი ცუდად იმოქმედებს საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტზე, შეაფერხებს ქვეყნის განვითარებას და სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს კიდევ უფრო გაამწვავებს.**

საბრძოლო მოქმედებები აფხაზეთში ან სამხრეთ ოსეთში არ განვითარდება ახალი თაობის ე. წ. „უკონტაქტო ომის" სახით, სადაც გადამწყვეტ სიტყვას ავიაცია ამბობს. მცირერიცხოვან და მოძველებულ ქართულ ავიაციას არ ძალუძს იმ ამოცანების გადაწყვეტა, რომელსაც 2003 წლის ერაყის კამპანიაში აშშ-ის და 2006 წლის აგვისტოში ლიბანში ისრაელის ავიაცია ასრულებდა. შესაბამისად, ომის სიმძიმე ქვეით ქვედანაყოფებზე გადაივლის, რასაც აუცილებლად ადამიანთა დიდი დანაკარგი მოჰყვება.

თვით რუსეთს საშუალება ექნება, ისევე როგორც 1992 წელს, საქართველოს წინააღმდეგ გამოიყენოს ჩრდილო კავკასიაში მოქმედი ნაციონალისტური ძალები და ამით გარკვეულწილად შეასუსტოს საკუთარ ტერიტორიაზე მათი აქტიურობა.

როგორი სცენარით შეიძლება განვითარდეს მომავალი კონფლიქტი? ეს თემა რუსეთისათვის იმდენად აქტუალურია, რომ უკვე რამდენიმე წელია, რუსელი მედია პერიოდულად აშუქებს აფხაზეთში ქართული არმიის შეჭრის ნაირ-ნაირ ვარიანტს, ორივე მხარის ძალთა ბალანსის ჩვენებით. სხვადასხვა ექსპერტისა თუ ჟურნალისტთა ფანტაზიის ნაყოფი ხანდახან საინტერესო მოსაზრებებსა და მიდგომებსაც კი შეიცავს.

საქართველო-აფხაზეთის სამხედრო ბალანსი პირველად 1997 წლის ივლისში იქნა წარმოდგენილი. *მაშინ საქართველოს პოტენციალი შეფასდა: 25000 სამხედრო მოსამსახურით, 100 ტანკით, 180 ჯავშანტრანსპორტიორით, 100 საარტილერიო სისტემით, 15 თვითმფრინავითა და შვეულმფრენით.*

*აფხაზეთის პოტენციალი: 5000 სამხედრო მოსამსახურე, 35 ტანკი, 70 ჯავშანტრანსპორტიორი, 80 საარტილერიო სისტემა, 6 თვითმფრინავი და შვეულმფრენი.*

ჩამოთვლილი შეიარაღებიდან სოხუმის რეჟიმის განკარგულებაში მყოფი ჯავშანტექნიკისა და არტილერიის უდიდესი ნაწილი ქართულ ფორმირებებს ეკუთვნოდა და დამარცხების შემდეგ აფხაზეთის ტერიტორიაზე დარჩა.

რუსი სამშვიდობო ძალების გაყვანის საკითხი იმ დროსაც იდგა და მთიელ ხალხთა კონფედერაციის ერთ-ერთი ლიდერი იუსუფ სოსლანბეკოვი 1997 წლის ზაფხულში, რუსეთის საპარლამენტო მოსმენისას, საჯაროდ ამბობდა, რომ რუს მშვიდობისმყოფელთა გაყვანის შემთხვევაში მთიელ ხალხთა კონფედერაცია ქვედანაყოფებს ჩამოაყალიბებდა და რეგიონში მშვიდობის შესანარჩუნებლად შემოვიდოდა.

1999 წლის სექტემბერში აფხაზეთში ქართული არმიის შეჭრის დაწვრილებითი საჰაერო-სადესანტო ოპერაციის გეგმა გამოჩნდა. გეგმის მიხედვით, ქართული საჰაერო-საზღვაო დესანტი დაიკავებდა ბაბუშერის აეროდრომს, დიდ დასახლებულ პუნქტებს, პორტებს, მდინარე ფსოუზე რუსეთ-საქართველოს საზღვარს და ა.შ.

რუსი ექსპერტების აზრით, აგრესია რუსი მშვიდობისმყოფელების ნეიტრალიზაციით დაიწყებოდა. ამისათვის საქართველო რუსების სამშვიდობო ძალებს მანდატს არ გაუგრძელებდა, მოუწყობდა დივერსიებსა და პროვოკაციებს, დახურავდა რუსეთის არმიის ყველა ობიექტს ქვეყნის ტერიტორიაზე. გამორიცხული არ იყო საზღვაო ინციდენტები. დაიწყებოდა ლტოლვილთა მასობრივი გამოსვლები ზუგდიდში, ხოლო გალის, ოჩამჩირისა და ტყვარჩელის რაიონებში დივერსიული ომი გააქტიურდებოდა. გალის ქართველი მოსახლეობა იარაღს მიიღებდა. ასეთ პირობებში რუსი სამხედროები კონფლიქტის ზონას იძულებით დატოვებდნენ.

საბრძოლო მოქმედებები განახლდებოდა კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო ძალების ყოფნისას ან მათ გარეშე. სადესანტო ოპერაციაში გადამწყვეტ როლს ითამაშებდა სადესანტო ხომალდები, სადესანტო-მოიერიშე შვეულმფრენები და ავიაციის მასიური მხარდაჭერა (აქცენტი კეთდება „იროკეზებსა" და Су-25-ზე).

აგრესიის ნიშნების გამოვლენისთანავე აფხაზეთის არმია მობილიზაციას გამოაცხადებდა და ორ დღეში 20-25 ათასი რეზერვისტიდან 15-20 ათასს კაცს გამოიყვანდა.

აფხაზეთში მოქმედებს რეზერვისტთა შვეიცარიული მოდელი, როცა თითოეული მათგანი იარაღს სახლში ინახავს.

1999 წლის გეგმაში ადგილი NATO-საც მოეძებნა. რატომღაც ჩაითვალა, რომ NATO ულტიმატუმის ფორმით აფხაზეთს დათმობაზე წასვლას მოსთხოვდა, თუმცა აუცილებლად უარს მიიღებდა.

ამის შემდეგ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი 10 სამიზნეს დაასახელებდა, რომელსაც სახომალდო, ტაქტიკური ან შესაძლოა, სტრატეგიული ავიაციის გამოყენებით დაბომბავდა. დაიბომბებოდა: სოხუმის ტელერეტრანსლატორი, რადიოლოკაციური სადგურები, აფხაზეთის სამხედრო-საზღვაო ბაზა, აეროდრომი ბამბორა და სხვა.

აფხაზეთის წინააღმდეგ დაწყებული ომი გადაიქცეოდა ომად მთელი ჩრდილო კავკასიისა და სამხრეთ რუსეთის წინააღმდეგ და NATO-ს მოქმედებებს მხოლოდ ეს თუ შეაჩერებდა.

ამ გეგმაში საინტერესო დასკვნაა გაკეთებული: აფხაზეთის არმიას შესწავლილი აქვს აშშ-ისა და მისი მოკავშირეების გამოცდილება სპარსეთის ყურესა და იუგოსლავიაში, ამდენად, მოულოდნელი მისთვის არაფერი იქნება.

ქართული არმიის ქვედანაყოფები კი მსხვილ დასახლებულ პუნქტებში იქნებოდა თავმოყრილი და ადგილობრივ მოსახლეობას დასაშინებლად დივერსიულ-ტერორისტულ აქტებს მოუწყობდა, ხოლო აფხაზთა ნაწილების წინააღმდეგ მოქმედებებს სადაზვერვო-დამრტყმელი და სარეიდო-მოიერიშე თავდასხმების ხასიათი მიეცემოდა.

აფხაზები ქართული არმიის შეკავებას მობილური საცეცხლე ბარიერების, ინჟინრული საფრებისა და ბუნებრივი წინააღმდეგობების გამოყენებით შეეცდებოდნენ. ამასობაში კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაცია საქართველოს ომს გამოუცხადებდა და დარტყმებს ჩრდილო კავკასიის

რესპუბლიკებიდან მიაყენებდა. ცეცხლოვან რკალში მოქცეული საქართველო დარტყმებს მეგობრული ქვეყნების ტერიტორიიდანაც მიიღებდა. ქვეყნების ჩამონათვალი დაზუსტებული არ არის, მაგრამ ცხადია, რუსეთს გულისხმობს. ასეთი ომის შემდეგ საქართველოს 4-6 ნაწილად დაშლა მოელოდა.




2001 წლის ოქტომბერში კიდევ ერთი გეგმა მოგვევლინა, რომელსაც მეტი თვალსაჩინოებისათვის თან მხარეთა სამხედრო ბალანსი ახლდა.

*საქართველო: 23800 სამხედრო მოსამსახურე, 70 ტანკი, 180 ჯავშანტრანსპორტიორი, 78 საარტილერიო სისტემა, 15 „გრადი“, 7 თვითმფრინავი (Су-25), 7 შვეულმფრენი;*

*აფხაზეთი: 5000 სამხედრო მოსამსახურე (49-50 ათასი რეზერვისტი), 35 ტანკი, 70 ჯავშანტრანსპორტიორი, 80 საარტილერიო სისტემა, 6 თვითმფრინავი.*

გეგმით ქართული მხარე სოხუმში, გუდაუთაში, ბიჭვინთასა და გაგრაში საზღვაო დესანტს გადასხამდა. დესანტი არაეფექტიანი აღმოჩნდებოდა, რადგან 2-3 დღეში ცოცხალი ძალისა და მატერიალური საშუალებების რესურსები დასჭირდებოდა, მაგრამ აფხაზთა აქტიურობა დახმარების მიღებაში ხელს შეუშლიდა.

აქვე საინტერესო და საკმაოდ პრაქტიკული მოსაზრება გამოითქმება: სპეცქვედანაყოფები როგორი სუპერმომზადებულიც უნდა იყვნენ ან ზესაუკეთესო ალჭურვილობას ფლობდნენ, ომს მაინც ვერ მოიგებენ. სპეცრაზმს შეუძლია ამა თუ იმ ოპერაციაში წარმატების მიღწევა, მნიშვნელოვანი დოკუმენტების ხელში ჩაგდება, დივერსიების მოწყობა, რაიმე შტაბის განადგურება, ანუ გამარჯვებაში თავისი წვლილი შეაქვს, მაგრამ მთავარ სიტყვას მაინც ავიაცია, არტილერია, ტანკები და ქვეითები ამბობენ.

გეგმის დასკვნით ნაწილში ნათქვამია, რომ აფხაზი მოსახლეობის ანტიქართული განწყობილება საქართველოს გამარჯვების შანსს არ მისცემს.

2004 წლის ივნისში ოდნავ განსხვავებული სცენარი გამოქვეყნდა. გეგმაში წარმოდგენილი სამხედრო ბალანსი 2001 წლის მონაცემებისაგან ბევრით არ განსხვავდება.

*საქართველო: 20000 სამხედრო მოსამსახურე, 70 ტანკი, 180 ჯავშანტრანსპორტიორი, 80 საარტილერიო ერთეული, 15 „გრადი“, 10 თვითმფრინავი (Су-25), 12 შვეულმფრენი;*

*აფხაზეთი: 5000 სამხედრო მოსამსახურე, 35 ტანკი, 70 ჯავშანტრანსპორტიორი, 80 საარტილერიო სისტემა, 6 თვითმფრინავი.*

გეგმის თანახმად, კოდორიდან აფხაზეთის ტერიტორიაზე დივერსიების მოსაწყობად შვეულმფრენები ტაქტიკურ დესანტს (ასეულზე ოდნავ მეტი) გადასხამს. პარალელურად განიხილება ზუგდიდი-ოჩამჩირე-სოხუმი-გუდაუთა-გაგრის გზის მიმართულებით მასირებული შეტევის, სოხუმსა და გუდაუთაში საზღვაო დესანტის, ხოლო გაგრაში საჰაერო-საზღვაო დესანტის გადმოსხმის შესაძლებლობა.

დასკვნაში გაკეთებულია შეფასება: ქართული არმია ასეთი ოპერაციისათვის მოუმზადებელია და უახლესი 2-3 წლის განმავლობაში აფხაზეთში შეჭრა არ მოხდება, შეჭრის მცდელობაც კი აუცილებლად მარცხით დასრულდება.

2005 წლის ბოლოს რიგით მეოთხე გეგმა გამოჩნდა სამხედრო ბალანსში მნიშვნელოვანი ცვლილებებით.

*საქართველო: 36703 სამხედრო მოსამსახურე, 80-120 ტანკი, 117 საარტილერიო სისტემა, 18 „გრადი“, 190 ჯავშანტრანსპორტიორი, 17 თვითმფრინავი (7 Су-25 და 10 L-39), 28 შვეულმფრენი;*

*აფხაზეთი: 4500-10000 სამხედრო მოსამსახურე, 28000 რეზერვისტი, 100 ტანკი, 237 საარტილერიო სისტემა, 27 „გრადი“,*



ეროვნული ბიბლიოთეკა

*175 ჯავშანტრანსპორტიორი, 7 თვითმფრინავი (2 Су-27, 1 МиГ-23, 2 Су-25, 2 L-39), 2 შვეულმფრენი;*

გეგმის თანახმად, საქართველო ენგურჰესის დაკავებასა და სპეცძალებით ზუგდიდი-სოხუმი და სოხუმი-გაგრის გზების გაკონტროლებას შეეცდება. სპეცძალებს ზღვიდან მხარდაჭერას კატარღები და საზღვაო ქვეითები გაუკეთებენ. აფხაზები ქართულ არმიას გააფთრებულ წინააღმდეგობას გაუწევენ.

ომი ტურისტული სეზონის ბლოკირებას გამოიწვევს. აფხაზეთი შემოსავლებს დაკარგავს და მოლაპარაკებებზე დათანხმდება.

გამორიცხული არ არის, რომ ამგვარი გეგმებით რეგულარულად ინფორმირებულმა და დაშინებულმა ბევრმა რუსმა ტურისტმა წელს აფხაზეთში დასვენებისაგან თავი შეიკავა.

ორიგინალობით გამოირჩევა 2006 წლის აგვისტოს გეგმა, რომელიც კოდორის უახლესი მოვლენების გათვალისწინებით არის შექმნილი.

*საქართველო: 29703 სამხედრო მოსამსახურე, 80-120 ტანკი, 117 საარტილერიო სისტემა, 18 „გრადი", 190 ჯავშანტრანსპორტიორი, 17 თვითმფრინავი, 28 შვეულმფრენი.*

*აფხაზეთი: 4500-10000 სამხედრო მოსამსახურე, 100 ტანკი, 237 საარტილერიო სისტემა, 27 „გრადი", 175 ჯავშანტრანსპორტიორი, 7 თვითმფრინავი, 7 შვეულმფრენი.*

აფხაზეთში კოდორის ხეობიდან ქარ-თული არმია 3-3,5 ათასი სამხედრო მო-სამსახურით, 40 ტანკითა და 60 ჯავშანტექნიკის ერთეულით შეჭრას შეეცდება. აფხაზური დაჯგუფება, რომელიც 3500 კაცს ითვლის, რამდენიმე დღეში რეზერვისტების ხარჯზე 10 ათასამდე გაიზრდება. მათ შეიარაღებაში არსებული ძლიერი საარტილერიო და ტანკსაწინააღმდეგო, საჰაერო თავდაცვის საშუალებები ქართული ჯავშანტექნიკისა და ავიაციის მოქმედებებს ძლიერ დარტყმებს მიაყენებს.

მთავარ დარტყმას აფხაზები მაინც ზუგდიდის მხრიდან და ზღვიდან მოელიან. გალის მიმართულებაზე მოწყობილი თავდაცვის ძირითადი, სათადარიგო და ცრუკვანძების დასაძლევად ქართულ არმიას საარტილერიო ცეცხლის სიმჭიდროვე არ ეყოფა. რაც შეეხება სანაპირო ზოლს, მისი დაცვა КС-19 ტიპის საზენიტო ქვემეხებმა უნდა უზრუნველყოს, რომლისთვისაც საბრძოლო ჭურვების მარაგი საკმარისად არის.

გეგმის დასკვნაში ნათქვამია: ქართველ სამხედროებს აშშ-ის და NATO-ს სამხედრო ინსტრუქტორები ამზადებენ, მაგრამ ისინი რეგიონს ცუდად იცნობენ, ამიტომ გეგმის შემუშავებასა და, მით უფრო, ოპერაციის პრაქტიკულ რეალიზაციაში ეფექტიანი დახმარების გაწევას ვერ შეძლებენ. ეს საერთაშორისო სკანდალს გამოიწვევს.

რუსი სამხედრო ანალიტიკოსის აზრით, აფხაზეთში საბრძოლო მოქმედებებში ჩეჩნეთის, ჩრდილო ოსეთისა და ყაბარდო-ბალყარეთის მოსახლეობა მონაწილეობას აუცილებლად მიიღებს, ხოლო ადგილობრივი ხელისუფლების და თვით რუსეთის პრეზიდენტის ვერანაირი მოწოდება ამას ვერ შეაჩერებს.

ყველა გეგმაში შესამჩნევია სანაპირო ზოლისა და იქ ქართული საზღვაო დესანტის გადმოსხმის საშიშროებით გამო-წვეული განსაკუთრებული შეშფოთება. ასევე, ჩანს, აფიქრებთ კოდორის ხეობის მიმართულება, რომელსაც სოხუმი-ოჩამჩირის დამაკავშირებელ მაგისტრალამდე სამ ათეულამდე კილომეტრი აშორებს.

იმ დროს, როცა აფხაზეთი თავდაცვაზე საქართველოსთან შედარებით 38-ჯერ ნაკლებ თანხას ხარჯავს, რუსების სურვილია, სეპარატისტები რაც შეიძლება კარგად შეიარაღებულ-აღჭურვილი და საქართველოს ტოლფასი სამხედრო პოტენციალის მქონე მხარედ წარმოადგინონ.

სეპარატისტთა ფინანსების სიმცირეს რუსეთიდან დახმარების სახით შემოტანილი სამხედრო ტექნიკა და აღჭურვილობა მთლიანად ფარავს, რაც სოხუმს არმიის მაღალ ბრძოლისუნარიანობაზე ლაპარაკის საშუალებას აძლევს. მხოლოდ ბოლო სამ წელიწადში მიღებულია: „შმელის" ტიპის სამდინარო დაჯავშნული კატარღები, „ფაგოტისა" და „კორნეტის" ტიპის ტანკსაწინააღმდეგო რაკეტები, ხელით გადასატანი საზენიტო კომპლექსები „სტრელა-2M", დინამო-რეაქტიული მოქმედების ქვემეხები, ხელის ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნები, 12,7 მმ-იანი სნაიპერული მსხვილკალიბრიანი შაშხანები და მრავალი სხვ.

როგორც ზემოთ მოყვანილი გეგმებიდან ჩანს, ბევრად მოიმატა „გრადების" რაოდენობამ, ხოლო ტანკების რიცხვი 35-დან 100-მდე, არტილერიის 80-დან 237-მდე, ჯავშანტრანსპორტიორების 70-დან 190-მდე არის გაზრდილი.

ექსპერტთა მონაცემებით, საბრძოლო მოქმედებათა განახლების შემთხვევაში, სოხუმი 28 ათასი რეზერვისტის მწყობრში ჩაყენებასა და შესაბამისად აღჭურვას შეძლებს. ასევე უპრობლემოდ მოახერხებს რუსეთიდან შემოსული 5 ათასი მოხალისის შეიარაღებას.

2001 წლის ოქტომბერში, როცა კოდორის ხეობიდან აფხაზეთში გელაევის რაზმი გადავიდა, მაშინ აფხაზი რეზერვისტები ვაზნებისა და კავშირის საშუალებათა ნაკლებობაზე საჯაროდ ლაპარაკობდნენ. ახლა სამხედრო სწავლებებს სისტემატური ხასიათი მიეცა და ლამის ყოველთვე ტარდება და აღარც ვაზნების დეფიციტს უჩივიან.

მომავალი ომის სავარაუდო შედეგის პროგნოზირება სახიფათოა. ისტორიაში არაერთი შემთხვევა არის ცნობილი, როცა მოწინააღმდეგის ძალთა შეუფასებლობამ ძალზე ცუდი ნაყოფი გამოიღო. თუმცა მომავალ კონფლიქტებში სოხუმისა და ცხინვალის გამარჯვებისათვის რუსეთი ყველაფერს იღონებს.

საქართველოსა და სოხუმის დაპირისპირების კლასიკურ სამხედრო ბალანსში განხილვის თვით იდეა, უაზრობაა. სეპარატისტული რეჟიმების უკან მდგომ რეგულარულ თუ ნახევრად რეგულარულ ფორმირებათა პოტენციალის შეფასება, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

ლიბანის ახლანდელ ომში ისრაელი „ჰეზბოლაჰის" პარტიზანულ რაზმებთან შედარებით უზარმაზარ უპირატესობას ფლობდა. „ჰეზბოლაჰის" მხოლოდ მსუბუქი იარაღით აღჭურვილი მებრძოლებისაგან მსოფლიოში ერთ-ერთმა საუკეთესოდ მომზადებულმა და აღჭურვილმა ისრაელის არმიამ ცოცხალი ძალისა და ჯავშანტექნიკის ისეთი დანაკარგები განიცადა, რომ სამხედრო ექსპერტებს თელ-ავივის პირველ წარუმატებელ კამპანიაზე მსჯელობის საბაბი მისცა.

ტანკსაწინააღმდეგო შეიარაღების ზოგიერთი რუსული ნიმუში, რომლითაც არაბები ისრაელის არმიის „მერკავას" ტიპის ტანკებს წვავდნენ, აფხაზთა ფორმირებების აღჭურვილობაშიც შედის.

ომს ადგილობრივ მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლი და ლტოლვილებიც მოჰყვება. აფხაზეთის ან სამხრეთ ოსეთის მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებში საცეცხლე წერტილებისა და სამხედრო ობიექტების გასანადგურებლად მძიმე ტექნიკის გამოყენება სამოქალაქო მოსახლეობის მრავალრიცხოვან მსხვერპლს გამოიწვევს. ამის შემდეგ ტერიტორიული მთლიანობისათვის დაწყებული ომი ადგილობრივი მოსახლეობის გენოციდად იქნება შერაცხული და სეპარატისტებს სამართლიანი ომის აბრის ქვეშ ამოფარვის საშუალებას მისცემს.

კარგა ხნის წინ ჩართული რუსული საინფორმაციო-პროპაგანდისტული მანქანა მთელი სიძლიერით მუშაობს და ყოველდღიურად საზოგადოებას საქართველოს შესახებ დეზინფორმაციას აწვდის. ზემოთ მოყვანილი გეგმები ინფორმაციული ომის ერთ-ერთი ნიმუშია და მოსკოვი, ალბათ, მომავალშიც შემოგვთავაზებს ახალ-ახალ სცენარებს.

**თემურ ჩაჩანიძე**

# არსენალვორდი



**თარაზულად:** 1. გერმანული ავტომატური პისტოლეტი; 6. ნორვეგიული პისტოლეტი; 7. ფეხბურთის მატჩის ნახევარი; 8. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია; 9. ამერიკული ავტომატი; 12. წყალქვეშა კლდე; 13. ფინური პისტოლეტი; 15. ავსტრალიური გამნალმველი დისტანციური მართვის მანქანა; 16. ჰორიზონტალურად გაჭიმული სატანვარჯიშო ბადე; 17. მედლის წინა მხარე; 18. სამხედრო ფორმის პალტო; 20. საგანგებო სასამართლო; 22. ჯარების განლაგება ბრძოლის დროს; 24. სპეციალურად მოწყობილი მოედანი ტანკებისა და სხვა საბრძოლო მანქანების გამოსაცდელად; 27. სტიქიური აჯანყება; 28. რძის ნაწარმი; 29. სამხრეთ კორეის დედაქალქი; 30. ამერიკული ტაქტიკური გამანადგურებელი. **შვეულად:** 1. პატარა საგუშაგო რაზმი; 2. ჯარისკაცების წყობა მწკრივში სიმაღლის მიხედვით; 3. ძველი პარიზის ციხე; 4. სახელმწიფო ევროპაში; 5. ამერიკული პისტოლეტი; 9. არმიის უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობა; 10. დაზვერვის საიდუმლო წარმომადგენელი უცხო სახელმწიფოს გარკვეულ რაიონში; 11. გენერალ-გუბერნატორი ძველ ჩინეთში; 13. ამერიკული რევოლვერის „ჰაი სტანდარდის“ მოდელი; 14. გამაგრებული ციხის ზედამხედველი; 16. აშშ-ს პრეზიდენტი; 19. რუსი გენერალისიმუსი; 21. ლაოსის ძირითადი მოსახლეობა; 23. ამერიკული რევოლვერის „კოლტის“ მოდელი; 25. იაპონური პისტოლეტი; 26. აშშ-ს სახელმწიფო მდივანი.

*ჟურნალის წინა ნომერში გამოქვეყნებული „არსენალვორდის“ პასუხები:* ***თარაზულად:*** 1. დისლოკაცია; 5. რემინგტონი; 7. ოქრუაშვილი; 8. შენებისგერი; 11. გალიფე; 14. კომერი; 15. ბაიონი; 16. გასური; 17. ოდისეა; 19. ბაუერი; 20. კარე; 22. პოლიცია 23. რეკეტი; 25. ჯავშანი; 27. კავე; 28. ნეშტი; 29. შერიფი. ***შვეულად:*** 1. დარდო; 2. სამურაი; 3. ცთომილი; 4. ალიბი; 6. გოშია 8. შიკლგრუბერი 9.ნამუსი; 10. რეიკიავიკი; 11. გაბილონდო; 12. ლაიტნინგი; 13. ემიგრაცია; 18. ჩელენჯერი; 21. რევანში; 24.ლიბია; 26. ვანი.

**„არსენალი“ გთავაზობთ ოქტომბრის თვეში მომხდარი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი და საინტერესო ისტორიული მოვლენების ჩამონათვალს.**

# არსენალის ოქტომბრის კალენდარი

**1 ოქტომბერი**

1827 წელი – რუსთა ჯარმა ირანელთა საუკუნოვანი ბატონობისგან გაათავისუფლა ერევანი. ქალაქის აღება-გათავისუფლებაში მეწინავეობდა 600 ქართველი მეომარი, რომელთაც გენერალ-მაიორი რომან ბაგრატიონი (პეტრე ბაგრატიონის უმცროსი ძმა) მეთაურობდა.

1945 წელი – ნიურნბერგში დასრულდა მეორე მსოფლიო ომის ნაცისტ სამხედრო დამნაშავეთა ჯგუფის სასამართლო პროცესი.

**2 ოქტომბერი**

1187 წელი – მუსლიმანმა სულთანმა სალადინმა აიღო იერუსალიმი და 1099 წელს ჯვაროსანთა მიერ დაპყრობილ ქალაქში აღადგინა მუსლიმანობა.

1804 წელი – დაიბადა გრიგოლ ორბელიანი – ცნობილი პოეტი, საზოგადო მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი (წოდება მიიღო 1856 წ.).

1847 წელი – დაიბადა პაულ ფონ ჰინდერბურგი – გენერალ-ფელდმარშალი, გერმანიის პრეზიდენტი (1925 წლიდან, გარდაიცვალა 1934 წელს).

**3 ოქტომბერი**

1629 წელი – გიორგი სააკაძე, მისი ვაჟი ავთანდილი და თანმხლები 40-50 კაცი მოღალატურად დახოცეს ალეპოში, ოსმალეთის დიდი ვეზირის, ხუსრევ ფაშას ბრძანებით.

1770 წელი – მეფე სოლომონთან ურთიერთობის გამწვავების შემდეგ რუსმა გენერალმა ტოტლებენმა საკუთარი ნებით ფოთის ციხის ალყა დაიწყო, მაგრამ გამაგრებული ქალაქი ვერ აიღო.

1952 წელი – დიდმა ბრიტანეთმა ავსტრალიის სამხრეთში, უდაბნოთა რაიონებში, განახორციელა პირველი ატომური ბომბის აფეთქება.

**4 ოქტომბერი**

1895 წელი – დაიბადა რიჰარდ ზორგე – ცნობილი საბჭოთა მზვერავი.

**5 ოქტომბერი**

1795 წელი – ახალგაზრდა ბრიგადის გენერალმა ნაპოლეონმა პარიზში ჩააქრო როიალისტების აჯანყება.

1920 წელი – დაიბადა მელიტონ ქანთარია – სსრკ გმირი, რაიხსტაგზე დროშის ამტანი.

**6 ოქტომბერი**

1930 წელი – დაიბადა ჰაფეზ ასადი – სირიის არმიის გენერალი (მფრინავ-გამანადგურებელი), 1971 წელს გახდა სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი.

**7 ოქტომბერი**

1815 წელი – ნაპოლეონის მხარდაჭერისთვის სიკვდილით დასაჯეს მიშელ ნეი – საფრანგეთის მარშალი.

1993 წელი – გენერალ-მაიორი ჟიული შარტავა, სოხუმში გმირული სიკვდილის შემდეგ, დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით (2004 წელს მიენიჭა საქართველოს ეროვნული გმირის წოდება).

1997 წელი – ყულევის სამხედრო-სასწავლო პოლიგონზე პირველად გამოიცადა ქართული წარმოების ნაღმი.

**8 ოქტომბერი**

1642 წელი – მონრეალში (კანადა) გაიხსნა პირველი სამხედრო ჰოსპიტალი.

1895 წელი – დაიბადა ხუან დომინგო პერონი – არგენტინის პრეზიდენტი, გენერალი.

**11 ოქტომბერი**

1738 წელი – დაიბადა არტურ ფილიპი – ბრიტანელი ადმირალი (ქ. სიდნეის დამაარსებელი).

1899 წელი – დაიწყო ინგლის-ბურების ომი.

1999 წელი – სამხედრო წოდება „გენერალ-მაიორი“ მიენიჭა ელგუჯა მეძმარიაშვილს.

**12 ოქტომბერი**

1722 წელი – ავღანელთა არმიამ შვიდთვიანი ალყის შემდეგ სპარსეთის დედაქალაქი ისპაჰანი აიღო.

1870 წელი – გარდაიცვალა რობერტ ედუარდ ლი – ამერიკელი სამხედრო მოღვაწე, გენერალი (აშშ-ის სამოქალაქო ომში სამხრეთელთა ჯარების მთავარსარდალი).

1999 წელი – ფოთის პორტში მეგობრული ვიზიტით შემოვიდა გფრ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების სასწავლო გემი „გეორგ ჰოკი“ (პირველი გერმანული გემი, რომელიც საქართველოში მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ იმყოფებოდა).

**13 ოქტომბერი**

1812 წელი – ინგლისელებმა ტყვედ ჩაიგდეს ამერიკელი ვიცე-პოლკოვნიკი ვინფილდ სკოტი; აშშ-ინგლისის ომში მარცხიანი საბრძოლო ნათლობის მიუხედავად, მისი სამხედრო კარიერა შემდგომში წარმატებულად წარიმართა და აშშ-ის სამხედრო ისტორიაში გახდა ერთადერთი გენერალი, რომელიც არმიას ყველაზე მეტხანს (20


ჰაფეზ ასადი


ჰერინგი და ჰესი ნიურნბერგის პროცესზე



„გაქართველებული“
ამერიკული
UH-1 „იროკეზი“

წელიწადს) მთავარსარდლობდა (1841-61 წლებში).

1827 წელი — გენერალ გიორგი ერისთავის სარდლობით რუსთა ჯარმა დაიკავა სამხრეთ აზერბაიჯანის თავრიზი (ეს იყო ირანთან ომში ყველაზე მნიშვნელოვანი წარმატება) — წარმატებული ოპერაციისათვის ქართველი გენერალი იმპერატორმა ალექსანდრე ნეველის ორდენით დააჯილდოვა.

1899 წელი — გარდაიცვალა ფ. კოლომბი — ინგლისელი ვიცე-ადმირალი, სამხედრო-საზღვაო თეორეტიკოსი (ბრიტანეთის იმპერიის სამხედრო-საზღვაო პოლიტიკის — „ზღვათა ფლობის“ — თეორიის ფუძემდებელი).

**14 ოქტომბერი**

1806 წელი — შავი დღე დაუდგა პრუსიას: ნაპოლეონმა იენა-აუერშტადთან გაანადგურა მისი ჯარი (დაუხოცა და დაუჭრა 22 ათასი კაცი, ტყვედ იგდო 18 ათასი და ალაფად ხელს გააყოლა 200 ქვემეხი...), ხოლო 4 დღის შემდეგ ბერლინში შევიდა.

1890 წელი — დაიბადა დუაიტ დევიდ ეიზენჰაუერი — აშშ სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, არმიის გენერალი, ქვეყნის პრეზიდენტი 1953-62 წლებში.

1944 წელი — ჰიტლერმა ორი გენერალი მიუგზავნა მარშალ ერვინ რომელს მზაკვრული წინადადებით: აერჩია თვითმკვლელობა ან გასამართლება...

**15 ოქტომბერი**

1946 წელი — ციხეში თავი მოიკლა გერმანიის ავიაციის სარდალმა ჰერმან გერინგმა.

**16 ოქტომბერი**

1795 წელი — 26 წლის ნაპოლეონ ბონაპარტი დივიზიის მეთაურად დაინიშნა და გენერლის წოდება მიიღო.

1853 წელი — თურქეთის სულთანმა ომი გამოუცხადა რუსეთს (ყირიმის ომის დასაწყისი).

1964 წელი — ჩინეთმა გამოსცადა ატომური ბომბი.

1973 წელი — ისრაელსა და არაბულ სახელმწიფოებს შორის დაიწყო 16-დღიანი ომი.

1981 წელი — გარდაიცვალა მოშე დაიანი — ისრაელელი გენერალი.

**17 ოქტომბერი**

1813 წელი — პოლონელმა თავადმა და გენერალმა იუზეფ პონიატოვსკიმ მიიღო საფრანგეთის მარშლის ჩინი (იმავე დღეებში დაიღუპა ლაიფციგის ბრძოლაში, მდინარეში ცხენიანად ჩაიძირა).

1903 წელი — დაიბადა ანდრეი გრეჩკო — საბჭოთა კავშირის მარშალი, სსრკ და ჩეხოსლოვაკიის გმირი, სსრკ თავდაცვის მინისტრი.

**18 ოქტომბერი**

1663 წელი — დაიბადა ევგენი სავოიელი — ავსტრიელი მარშალი, გენერალისიმუსი.

1993 წელი — აშშ-ის არმიების შტაბების უფროსთა გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილი — არმიის გენერალი.

**19 ოქტომბერი**

1739 წელი — ინგლისმა ომი გამოუცხადა ესპანეთს (საბაბი გახდა არაორდინარული ფაქტი: ინგლისელი კაპიტანი ჯენ კინსი პარლამენტს წარუდგა ესპანელების მიერ... მოჭრილი ყურით).

1781 წელი — ჯორჯ ვაშინგტონმა მიიღო ინგლისელთა არმიის კაპიტულაცია.

1812 წელი — ნაპოლეონის არმიამ მოსკოვიდან უკუდახევა დაიწყო.

1954 წელი — ინგლისის ჯარებმა დატოვეს სუეცის არხი.

**20 ოქტომბერი**

1949 წელი — მაო ძე-დუნმა ჩინეთი გამოაცხადა სახალხო რესპუბლიკად.

1962 წელი — დაიწყო ჩინეთ-ინდოეთის ომი.

**21 ოქტომბერი**

1804 წელი — გაიმართა ტრაფალგარის საზღვაო ბრძოლა (იქ დაიღუპა ცალთვალა და ცალხელა ბრიტანელი ვიცე-ადმირალი ნელსონი).

**22 ოქტომბერი**

1605 წელი — აჯანყებულმა კახელებმა ბელაქნის წყალზე გამართულ ბრძოლაში მოკლეს კონსტანტინე მირზა.

1812 წელი — ნაპოლეონმა მოსკოვის კრემლის აფეთქების ბრძანება გასცა.

1917 წელი — თბილისის თავისუფალმა თეატრმა ცხენოსან-მეტყვიამფრქვევეთა რაზმის ფონდის გასაძლიერებლად წარმოადგინა აკაკი წერეთლის ისტორიული დრამა „პატარა კახი“.

**23 ოქტომბერი**

1944 წელი — ინგლისმა ცნო საფრანგეთის დროებითი მთავრობა გენერალ შარლ დე გოლის მეთაურობით.

2001 წელი — თბილისში, ალექსეევკის სამხედრო-საჰაერო ბაზაზე, გაიმართა საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალებისათვის ამერიკული „იროკეზის“ ტიპის ვერტმფრენების გადმოცემის ცერემონიალი.

**24 ოქტომბერი**

1854 წელი — გაიმართა ინკერმანის ბრძოლა (ყირიმის ომის პერიოდში) — მასში თავგამოჩენისათვის გენერალმა ნიკოლოზ გარსევანიშვილმა დაიმსახურა ოქროს ხმალი წარწერით „მამაცობისათვის“.

1942 წელი — დაიღუპა საფრანგეთის უცხოური ლეგიონის პოლკოვნიკი დიმიტრი ამილახვარი — საფრანგეთის ეროვნული გმირი, მის სახელს ატარებს ლეგიონის ერთ-ერთი ბაზა.

**26 ოქტომბერი**

1958 წელი — სსრკ თავდაცვის მინისტრის პოსტიდან მოხსნეს გიორგი ჟუკოვი.

1999 წელი — რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში მოწყობილ მსოფლიო გამოფენაზე „ექსპომილ-99“ საქართველომ პირველად წარადგინა საკუთარი წარმოების სამხედრო პროდუქცია.

**27 ოქტომბერი**

1999 წელი — საქართველოს ტერიტორია დატოვა რუსეთის სასაზღვრო სამსახურის უკანასკნელმა წარმომადგენელმა.

**28 ოქტომბერი**

1799 წელი — სამხედრო წოდება „გენერალისიმუსი“ მიენიჭა ალექსანდრ სუვოროვს.

**29 ოქტომბერი**

1923 წელი — მუსტაფა ქემალმა (ათათურქმა) თურქეთი გამოაცხადა რესპუბლიკად და გაპრეზიდენტდა.

1997 წელი — ხელმოწერილ იქნა საქართველო-უკრაინის შორის სამხედრო თანამშრომლობის დამატებითი ოქმი.

1999 წელი — პირველად საქართველოში მარნეულის სამხედრო აეროდრომზე ამერიკულმა ვერტმფრენებმა „იროკეზებმა“ გამართეს საფრენოსნო-საწვრთნელი ჩვენება.

**31 ოქტომბერი**

1887 წელი — დაიბადა ჩან კაიში — ჩინელი ნაციონალისტი და ანტიკომუნისტი, თვითმარქვია გენერალისიმუსი.

1918 წელი — პიატიგორსკში, მაშუკის მთასთან, ბოლშევიკებმა დახვრიტეს ქართველ გენერალთა და პატრიოტთა ჯგუფი: ალექსანდრე და ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკები, გიორგი თუმანიშვილი, კონსტანტინე თავართქილაძე, დიმიტრი ბაგრატიონი, გიორგი გაბაშვილი, ილია ბარათაშვილი, ალექსანდრე ალაპიშვილი, პოლკოვნიკები — პეტრე ჭიჭინაძე, გიორგი მახათაძე, წულუკიძე...

1966 წელი — დაიბადა გიორგი ყარყარაშვილი — გენერალ-მაიორი, საქართველოს თავდაცვის ექსმინისტრი და პარლამენტის ყოფილი წევრი.

შეადგინა
ამირან ტალახაძემ



# RAV-4

თამამად შეიძლება ითქვას, რომ RAV-4 ევროპის ავტობესტსელერია, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული „მსუბუქი“ (მასა 2100 კგ) ავტომობილი...

რუსებს ისე შეუყვარდათ RAV-4, რომ სახელიც კი შეუცვალეს და მოფერებით „რაფიკ“ დაარქვეს (რატომ მაინცდამაინც „რაფიკა“ და არა „რუბიკა“, გაუგებარია). ჩვენში კი, როგორც ყველა ამ კლასის ავტომობილს, უბრალოდ „ჯიპს“ უწოდებენ (ეტყობა რუსებისგან განსხვავებით, ფანტაზია გვაკლია).

მიუხედავად იმისა, რომ Toyota RAV-ის პირველი და მეორე მოდელები კვლავინდებურად პოპულარულია, იაპონურმა კონცერნმა მესამე მოდელის გამოშვება გადაწყვიტა. ახალი მოდელის დამუშავებისას დიზაინერ-კონსტრუქტორებმა ზომიერი კონსერვატიზმი გამოიჩინეს: წინა ბამპერმა, ახალმა უკანა მაშუქებმა და ნისლსაწინააღმდეგო ფარებმა მის იერს დინამიურობა და აგრესიულობა შესძინა, მაგრამ არც ადრე ეთქმოდა ფლეგმატური. უკანა კარზე მიმაგრებული სათადარიგო ბორბლის დეკორატიული შალითისათვის ხელის ხლება არ ღირდა (ზოგიერთი მას გემოვნების მიხედვით ირჩევს), მაგრამ ძარის ორფერად ორიგინალურ შეღებვას მიზანმიმართული მისამართი აქვს, – ასე შეღებილი სამკარიანი ავტომატური სიჩქარეთა კოლოფიანი ავტომობილები კაცობრიობის სუსტი მეორე ნახევრისთვისაა განკუთვნილი.

მესამე თაობის RAV-ის საბაზო კომპლექტაციაში გათვალისწინებულია მაშუქების მწმენდავები და გვერდითა სარკეების გამათბობლები, რომლებიც ზამთარში სამთო კურორტებზე მოგზაურ ავტომოყვარულებს გამოადგებათ. კლიმატ-კონტროლის სასიამოვნო დამატებას წარმოადგენს ელექტროამძრავით მოქმედი ჭერის ხუფი, რომელიც ზოგიერთი მოდიფიკაციისთვისაა გათვალისწინებული.

ძარის 35 სანტიმეტრით გაზრდის ხარჯზე სალონი უფრო ხალვათი გახდა, საარსებო სივრცე გაიზარდა, როგორც პირველი რიგის, ისე მეორე რიგის მგზავრებისთვის. სასიამოვნო სიახლეა ბუნებრივტყავგადაკრული საჭე, რომელზეც აუდიოსისტემის კლავიშებია დატანილი:

Toyota-ში უსაფრთხოებაზე არასდროს კეთდებოდა ეკონომია. ყველა სტანდარტული RAV-4 აღჭურვილია საკურსო მდგრადობის VSC სისტემით, მოცურების საწინააღმდეგო TRC და სამუხრუჭო გამაძლიერებელი სისტემებით (Trake Assist). აირბალიშებზე რომ არაფერი ვთქვათ, რომლებიც წინა მგზავრსა და მძღოლს იცავს, ჩვენი დროის უსაფრთხო ავტომობილს დამატებით ატრიბუტებად აქვს გვერდითა საჰაერო გასაბერი ფარდები, რომლებიც მგზავრებს გვერდითა დარტყმებისგანაც იცავს.

RAV-4-ზე ძრავა ძველი დატოვეს: დროით გამოცდილი საიმედო VVT-1 სისტემის ბენზინის მოტორი, რომლის მოცულო-





ა 2,0 ლიტრია, სიმძლავრე 150 ცხენის ძალა (6000 ბრ/წთ), რომელიც კომპლექტდება როგორც ხუთსაფეხურიანი მექანიკური, ისე ოთხსაფეხურიანი ავტომატური სიჩქარეების კოლოფით. ძველი მოტორი გარდა იმისა, რომ ყველა რეჟიმში ელასტიკურად მუშაობს, ამ კლასის მანქანებს შორის ყველაზე ეკონომიურია.

ტრანსმისიას არავითარი ცვლილება არ განუცდია: მუდმივი სრული ამძრავი დემულტიპლიკატორების გარეშე, სიჩქარეებისა და დიფერენციალების შემაყოვნებლები. არც წინა საკიდრები შეცვლილა „მაკფერსონის“ ტიპისა, უკანა კი ბერკეტის ტიპისა.




მიუხედავად იმისა, რომ RAV-4-ის სამკარიან მოდიფიკაციაში მძღოლის ჩათვლით მხოლოდ ოთხი კაცი ეტევა, დიზაინერებმა სალონის ტრანსფორმაციის რამდენიმე ვარიანტი შემოგვთავაზეს: უკანა სავარძლის აკეცვა და წინ წაწევა შეიძლება როგორც მთლიანად, ისე ნაწილ-ნაწილ. თუ გარემოება მოითხოვს, სავარძელი ხელის მსუბუქი მოძრაობით ისე დაიკეცება, რომ საერთოდ აღარ გამოჩნდება.

RAV-4-ის 2006 სამოდელო წლის ფასები 31700-დან 35200 ევრომდე კომპლექტაციის მიხედვით მერყეობს. გასაკვირი არ იქნება, თუ 2006 წლისათვის RAV-4 თავის კლასში ყველაზე უფრო პოპულარულ „ასფალტის ჯიპად“ დარჩება. მას ასეთი გამორჩეული ბედი დაჰყვა...










ეროვნული ბიბლიოთეკა

# კვალიფიციური რჩევები

„არსენალი" აგრძელებს რუბრიკას, რომელშიც კვალიფიციურ პასუხს გავცემთ ყველა დაინტერესებულ პირს მათთვის საინტერესო საკითხებზე კითხვებზე უპასუხებს ასოციაცია „სამართალი და თავისუფლება", რომელიც უფასო იურიდიულ მომსახურებას სთავაზობს წვევამდელებსა და სამხედრო მოსამსახურეებს. საკონტაქტო ტელეფონი: 95-89-80

**1. დაწყებულია თუ არა სამხედრო სავალდებულო გაწვევა?**

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად გაწვევა დაწყებული იქნა 2006 წლის 3 აგვისტოდან და დამთავრდება 25 ნოემბერს.

**2. ვინ თავისუფლდება სამხედრო სავალდებულო სამსახურისაგან?**

სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან თავისუფლდებიან:

ა) ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სამხედრო სამსახურისათვის უვარგისად ცნობილი პირი;

ბ) პირი, რომელმაც სამხედრო სამსახური სხვა სახელმწიფოს სამხედრო ძალებში გაიარა;

გ) პირი, რომელიც სისხლის სამართლის მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის არის ნასამართლევი;

დ) პირი, რომელიც გადის არასამხედრო, ალტერნატიულ, შრომით სამსახურს;

ე) ასპირანტი;

ვ) პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს სამეცნიერო ხარისხი და ეწევა პედაგოგიურ ან სამეცნიერო მუშაობას;

ზ) ერთადერთი ვაჟი ოჯახში, რომლის ერთი წევრი მაინც დაიღუპა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში ან სამხედრო სამსახურის გავლისას.

2. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია გაათავისუფლოს სამხედრო ვალდებულების მოხდისაგან განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული წვევამდელი.

**3. ვის გადაუვადდება სამხედრო სავალდებულო სამსახური?**

წვევამდელს სამხედრო სამსახურში გაწვევა გადაუვადდება, თუ:

ა) ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სამხედრო სამსახურის გავლისათვის დროებით უვარგისად არის ცნობილი – ვადით ერთ წლამდე;

ბ) მის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე – შესაბამისი ორგანოების მიერ სათანადო გადაწყვეტილების მიღებამდე;

გ) არის აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი – სწავლის დამთავრებამდე, უმაღლესი განათლების თითოეულ საფეხურზე;

დ) მან გადაიხადა სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადებისათვის „სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებელი (2000 ლარი, რომლის გადახდის უფლებაც წვევამდელს ენიჭება 25 წლამდე მხოლოდ 2-ჯერ, აღნიშნული თანხით წვევამდელს გადაუვადდება სამხედრო ვალდებულება 18 თვით);

ე) არის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის, დაწყებითი პროფესიული ან საშუალო სპეციალური სასწავლებლის მოსწავლე – 20 წლის ასაკამდე, თუ მას სასწავლებელში ჩარიცხვამდე არ ჰქონდა საშუალო განათლება;

ვ) პატრონობს შრომისუუნარო, მის კმაყოფაზე მყოფ ბებიას ან პაპას, თუ მას არა ჰყავს სხვა კანონიერი მომვლელი, რომელსაც შეუძლია მისი მოვლა-პატრონობა;

ზ) ჰყავს ორი ან ორზე მეტი შვილი;

თ) მის კმაყოფაზეა ოჯახის შრომისუუნარო წევრი, რომელიც საჭიროებს მუდმივ მზრუნველობას და არა ჰყავს სხვა კანონიერი მომვლელი, რომელსაც შეუძლია მისი მოვლა-პატრონობა;

ი) მის კმაყოფაზეა ოჯახის შრომისუუნარო წევრი, რომელიც საჭიროებს მუდმივ მზრუნველობას, ჰყავს ცალკე ოჯახად მცხოვრები და, რომელსაც არ შეუძლია ოჯახის შრომისუუნარო წევრის მოვლა-პატრონობა;

კ) მის კმაყოფაზეა არასრულწლოვანი ან/და ობოლი და-ძმა;

ლ) არის მღვდელმსახური ან სწავლობს სასულიერო სასწავლებელში;

მ) არის დეპუტატი;

ნ) მუშაობს სოფელში მასწავლებლად ან ექიმად;

ო) გაწვევის გადავადების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით;

პ) ჰყავს ერთი შვილი – შვილის შეძენის დღიდან სამი წლის ვადით.

2. თუ წვევამდელი გაწვევის დღისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულია, როგორც საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი, მას სამხედრო სამსახურში გაწვევა გადაუვადდება არჩევნების შედეგების დამტკიცებამდე. საქართველოს პარლამენტის წევრად არჩევის შემთხვევაში იგი თავისუფლდება სამხედრო ვალდებულების მოხდისაგან.

**4. სამხედრო-საკონტრაქტო (პროფესიული) სამსახურის მოსამსახურეების მიერ ჩადენილი რა ქმედებები ისჯება საქართველოს სამხედრო ძალების საჯარისო სადისციპლინო წესდების მიხედვით?**

*– საქართველოს სამხედრო ძალების საჯარო წესდების მიხედვით, სამხედრო-საკონტრაქტო (პროფესიული) სამსახურის შემადგენლობის მიერ ისჯება შემდეგი ქმედებები:*

*(გაგრძელება. დას. იხ „არსენალი" №9)*

## სამხედრო ფორმის ტანსაცმლის, ფეხსაცმლის ან სხვა ნივთების სამოქალაქო პირებისათვის მიცემა ან მიყიდვა

სამხედრო ფორმის ტანსაცმლის, ფეხსაცმლის ან სხვა ნივთების სამოქალაქო პირებისათვის მიცემა ან მიყიდვა, რაც არ შეიცავს სისხლის სამართლის ნიშნებს, გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – ადმინისტრაციულ პატიმრობასა და შესაბამისი ინვენტარის ღირებულების ანაზღაურებას.

## პირადი ნივთების მოუვლელობა

1. პირადი ნივთების მოუვლელობა, ე.ი. სამხედრო-საკონტრაქტო (პროფესიულ) სამსახურში მყოფი პირის მიერ სამსახ-

ურებრივი პირადი ნივთების შენახვის, მოხმარებისა და სხვა წესების დარღვევა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მათი დაზიანება, დაკარგვა ან განადგურება, გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას — შენიშვნას;

2. იგივე ქმედება ჩადენილი არაერთგზის გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას — ხელფასიდან 25 პროცენტის დაქვითვას.

### სამხედრო აღჭურვილობის მოუვლელობა

1. სამხედრო აღჭურვილობის მოუვლელობა, ე.ი. სამხედრო-საკონტრაქტო (პროფესიულ) სამსახურში მყოფი პირის მიერ სამხედრო აღჭურვილობის შენახვის, მოხმარებისა და სხვა წესების დარღვევა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მათი დაზიანება, დაკარგვა ან განადგურება, გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას — საყვედურს;

2. იგივე ქმედება ჩადენილი არაერთგზის გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას — ხელფასიდან 20 პროცენტის დაქვითვას ექვსი თვის ვადით.

### სამხედრო ფორმის ტანსაცმლის ტარების წესის დარღვევა

1. სამხედრო ფორმის ტანსაცმლის ტარების წესის დარღვევა გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას — საყვედურს;

2. იგივე ქმედება ჩადენილი არაერთგზის გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას — ხელფასიდან 20 პროცენტის დაქვითვა.

### სამხედრო სამსახურისათვის შეუფერებელი ვარცხნილობის ტარება

სამხედრო სამსახურისათვის შეუფერებელი ვარცხნილობის ტარება, ე.ი. სამხედრო-საკონტრაქტო (პროფესიულ) სამსახურში მყოფი პირის მიერ სამხედრო სამსახურისათვის შეუფერებელი თმის ვარცხნილობა, გაუპარსავი ყოფნა, წვერულვაშის მიუღებელი ვარცხნილობები გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას — საყვედურს.

### სამკაულების ტარება

1. სამკაულების ტარება, ე.ი. სამხედრო-საკონტრაქტო (პროფესიულ) სამსახურში მყოფი პირის მიერ მიუღებელი მოსართავი სამკაულების (პირსინგის) ტარება გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას — საყვედურს;

2. იგივე ქმედება ჩადენილი არაერთგზის გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას — ხელფასიდან 5 პროცენტის დაქვითვას.

### სამსახურებრივი ნიშნების ტარება უფლებამოსილებათა გარეშე

1. სამსახურებრივი ნიშნების ტარება უფლებამოსილებათა გარეშე, ე. ი. სამხედრო-საკონტრაქტო (პროფესიულ) სამსახურში მყოფი პირის მიერ სამხედრო ფორმის ტანსაცმლის, ატრიბუტიკის, ინსიგნიების ან ღილკილოების ტარება უფლებამოსილებათა გარეშე, გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას — საყვედურს;

2. იგივე ქმედება ჩადენილი არაერთგზის გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას — ხელფასიდან 20 პროცენტის დაქვითვას.

### საბუთების გაყალბება

საბუთების გაყალბება, ე.ი. სამხედრო-საკონტრაქტო (პროფესიულ) სამსახურში მყოფი პირის მიერ შესაბამის ხელმისაწვდომ დოკუმენტაციაში მცდარი მონაცემების შეტანა, რაც არ შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს, გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას — ადმინისტრაციულ პატიმრობას.

### სამხედრო ნაწილის (ქვედანაყოფის) ტერიტორიის დაბინძურება

1. სამხედრო ნაწილის (ქვედანაყოფის) ტერიტორიის დაბინძურება გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას — საყვედურს.

2. იგივე ქმედება ჩადენილი არაერთგზის გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას — ხელფასიდან 20 პროცენტის დაქვითვას.

### არაეთიკური ქცევა მწყობრში, სამხედრო მოსამსახურეთა კრებაზე, სემინარზე, კონფერენციასა და სხვა ოფიციალურ თავშეყრის ადგილებში

1. არაეთიკური ქცევა მწყობრში, სამხედრო მოსამსახურეთა კრებაზე, სემინარზე, კონფერენციასა და სხვა ოფიციალურ თავშეყრის ადგილებში, ე. ი. სამხედრო მოსამსახურის მიერ მიუღებელი ფრაზებით, ჟესტიკულაციით ან ჟარგონებით საუბარი, გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას — საყვედურს.

2. იგივე ქმედება ჩადენილი არაერთგზის გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას — ხელფასიდან 20 პროცენტის დაქვითვას.

### ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის წესების დარღვევა

1. ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის წესების დარღვევა, ე.ი. სამხედრო-საკონტრაქტო (პროფესიულ) სამსახურში მყოფი პირის მიერ მასზე ტაბელით გათვალისწინებული ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის ან მოვლის წესების დარღვევა, რასაც შეიძლება მოჰყვეს მისი დაზიანება, დაკარგვა ან განადგურება, გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას — საყვედურს;

2. იგივე ქმედება ჩადენილი არაერთგზის გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას — ხელფასიდან 20 პროცენტის დაქვითვას სამი თვის ვადით.

### ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება არადანიშნულებისამებრ

ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება არადანიშნულებისამებრ, ე. ი. სამხედრო-საკონტრაქტო (პროფესიულ) სამსახურში მყოფი პირის მიერ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლა არადანიშნულებისამებრ, რასაც არ მოჰყოლია მძიმე შედეგი, გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას — ხელფასიდან 20 პროცენტის დაქვითვას ექვსი თვის ვადით.

### ცეცხლსასროლი იარაღიდან გაუფრთხილებლობით გასროლა

ცეცხლსასროლი იარაღიდან გაუფრთხილებლობით გასროლა, რასაც არ გამოუწვევია მძიმე შედეგი, გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას — ხელფასიდან 15 პროცენტის დაქვითვას სამი თვის ვადით.

# "კრასავჩიკი" კალაშნიკოვისგან



„Брат, **это** мой „Красавчик“ и не на что я его не променяю“ – ეს სიტყვები გროზნოს დამცველ ერთ ჩია ჩეჩენ მებრძოლს ეკუთვნის, როდესაც დანგრეულ გროზნოში ყოფნისას ვკითხე, კმაყოფილი იყო თუ არა თავისი ПКМ ტიპის ტყვიამფრქვევით.

„კრასავჩიკის“ სახელით ცნობილ ამ მართლაც მრისხანე ტყვიამფრქვევს პოსტ-საბჭოური სხვა შეიარაღებული კონფლიქტების მონაწილეებიც მოიხსენიებენ, ПКМ-სა და მის შესაძლებლობებზე არაკებს ჰყვებიან.

1961 წელს შექმნილი ერთიანი ტყვიამფრქვევი ПК დღეს, შესაძლოა, მოძველებულად ჩაითვალოს, მაგრამ მაინც ძალზე მნიშვნელოვან ჯგუფურ იარაღს წარმოადგენს.

საბჭოთა არმიაში, მეორე მსოფლიო ომის დროს, ეფექტიანი საბრძოლო ტყვიამფრქვევის მწვავე დეფიციტი იყო, რადგან რევოლუციის დროინდელი „მაქსიმი“ უკვე ისტორიის კუთვნილება იყო, ისევე როგორც დეგტიარევის ДП, ხოლო იმ დროისთვის შექმნილ გორიუნოვის СГМ-სა და დეგტიარევის РП-46-ს ბევრი ნაკლი აღმოაჩნდა.

1958-61 წლებში მიხეილ კალაშნიკ-

**ჩვენი დოსიე:** ПКМ ვაზნების გარეშე 7,5 კგ-ს იწონის (100 ვაზნით დატენილ ლენტასთან ერთად ტყვიამფრქვევის წონა 11,4 კგ-მდე იზრდება, 200 ვაზნასთან ერთად კი 15,5 კგ-მდე). ПКМ-ის სიგრძე 1,17 მ-ს აღწევს, აქედან ლულაზე 66 სმ მოდის. ტყვიის საწყისი სიჩქარე 825 მ/წმ-ს შეადგენს. სროლის ტემპი წუთში 650 გასროლაა. დამიზნებით სროლა 1,5 კმ-ის სიშორეზეც შეიძლება.





ეროვნული ბიბლიოთეკა



დასაკეცსადგამიანი ПКМ-ი

ოვმა ცნობილი ავტომატის კონსტრუქტორმა ერთიანი ტყვიამფრქვევი • შექმნა,რომელიც 7,62X54 ტიპის ვაზნების მოხმარებაზე იყო გათვლილი. ეს სწორედ ის ნახევარსაუკუნოვანი ვაზნა გახლდათ, რომელიც ჯერ სამხაზიან შაშხანებისა და „მაქსიმის“ ტყვიამფრქვევებისთვის გამოიყენებოდა (სხვათა შორის, ეს ვაზნა საუკუნეზე მეტია, რაც შეიარაღებაშია).

ПК ტიპის ტყვიამფრქვევისა და 1969 წელს მოდერნიზებული მისი ვარიანტის ПКМ-ის დაყენება შეიძლება როგორც გასაშლელ ფეხებზე, ისე სტეპანოვის უნივერსალურ დაზგაზე. ამ დაზგაზე დამაგრებული ПКМ-დან შეიძლება დამიზნებით სროლა მოწინაალმდეგის ქვეითების მიმართულებით, ასევე საჰაერო



ჯავშანტექნიკაში დასამონტაჟებელი ПКМТ-ი

ობიექტების მხარესაც. არსებობს ПКМ-ის მოდიფიკაციები, რომლებიც ტანკებისა და ჯავშანმანქანების შესაიარაღებლადაა გამიზნული.

ПКМ-ის ვაზნებით უზრუნველყოფა მეტალიზებული ლენტიდან ხდება. ლენტში შეიძლება 100, 200 ან 250 ვაზნის მოთავსება. ტყვიამფრქვევი მხოლოდ ავტომატურ ჯერს ისვრის. არ არის რეკომენდებული შეუჩერებლივ გრძელი ჯერის გასროლა, რაც ლულის გადახურებას იწვევს. ტყვიამფრქვევს სათადარიგო ლულაც მოჰყვება, რომლის შეცვლას წამები ჰყოფნის.

„არსენალმა“ ПКМ-ის ტყვიამფრქვევი ერთ-ერთ პოლიგონზე გამოსცადა. ПКМ-დან სროლისას გრძნობ, რომ ხელით მართლაც რომ მრისხანე იარაღი გიპყრია, რომელიც მოწინაალმდეგეს რამდენიმე ასეულ მეტრის დისტანციაზეც გადარჩენის შანსს არ უტოვებს. კარგად გავარჯიშებულ მებრძოლს ორ-ორტყვიიანი ჯერის გაშვებაც შეუძლია, რაც აუცილებელია ვაზნების მარაგის სიმცირის დროს.

დასაკეცი ფეხები ПКМ-ს გრუნტზე კარგად ფიქსირების საშუალებას იძლევა. ცხელ ამინდში და ინტენსიური სროლის დროს ტყვიამფრქვევის ლულის თავზე სამიზნესთან სიცხის ბული დგება, რაც ერთგვარ მირაჟს წარმოქმნის და აძნელებს ზუსტ დამიზნებას (ახალ რუსულ ტყვიამფრქვევში Печенег-ში ეს ნაკლი აღმოფხვრილია). ზოგ ფიზიკურად ძლიერ მებრძოლს ПКМ-ის სროლა ხელითაც შეუძლია, მაგრამ რამდენად ზუსტად მოარტყამს მიზანს, ძნელი სათქმელია.

არსებობს ПКМ-ის სპეციალური ვარიანტები, რომელზეც მძლავრი ოპტიკური სამიზნეები და ღამის ხედვის მოწყობილობები ყენდება. არსებობს სპეციალური მცირეგაბარიტიანი სადაზვერვო რადიოლოკაციური სადგურიც, რომლის დახმარებითაც ПКМ-იდან იმ სამიზნის დაზიანება შეიძლება, რომელიც თვალით არ მოჩანს, მაგრამ მის მოძრაობას არეკლილი რადიოსხივები აფიქსირებენ.

რუსეთის გარდა ПКМ-ებს სერიულად აწარმოებენ ბულგარეთი, ჩინეთი, პოლონეთი, რუმინეთი და იუგოსლავია. ПК და ПКМ-ები ქართული არმიის შეიარაღებაშიცაა, მათი რიცხვი ბოლო დროს შესამჩნევად გაიზარდა.

*ირაკლი ალადაშვილი*



უნივერსალურ დაზგაზე დამაგრებული ПКМС-ი


არსენალი
ПКМ